

**GSM სტანდარტის მობილური ქსელების  
გამტარუნარიანობის გაზრდის ალგორითმების ანალიზი  
და დამუშავება**

**გიორგი შამანაძე**

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

-----, 2013 წ.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგი შამანაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „GSM სტანდარტის მობილური ქსელების გამტარუნარიანობის გაზრდის ალგორითმების ანალიზი და დამუშავება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: \_\_\_\_\_

ხელმძღვანელი: პროფესორი,

ბერიძე ჯ. ლ.

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013 წ.

ავტორი: შამანაძე გიორგი

დასახელება: GSM სტანდარტის მობილური ქსელების  
გამტარუნარიანობის გაზრდის აღმოჩენის ანალიზი  
და დამუშავება

ფაკულტეტი: ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარებულია: \_\_\_\_\_ 2013 წ.

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ,  
ზემოთმოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის  
შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების  
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც  
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა და  
სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი  
ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო  
უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის  
მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ  
მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო  
ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომის, “GSM სტანდარტის მობილური ქსელების გამტარუნარიანობის გაზრდის ალგორითმების ანალიზი და დამუშავება”, მიზანს წარმოადგენს GSM სტანდარტის ქსელების გამტარუნარიანობის გაზრდის ამოცანის გადაწყვეტა, მასობრივი მომსახურების თეორიის საფუძველზე დამუშავებული მათემატიკური მოდელით.

დღევანდელ პირობებში საქართველოში მიმდინარეობს სატელეკომუნიკაციო სფეროს სწრაფი განვითარება, როგორც მონაცემთა გადაცემის ასევე სატელეფონო ტრაფიკის გატარების განხერით. მობილური სატელეკომუნიკაციო მიმართულებით საქართველოში ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა GSM სტანდარტის მობილურმა ქსელებმა. აღნიშნული ქსელებისათვის განკუთვნილი სიხშირული სპექტრი მთლიანადაა ათვისებული, ამიტომ არსებული მობილური ოპერატორებისათვის ქსელის გაფართოების და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით უალტერნატივოა სხვადასხვა ოპციების გამოყენება.

დასახული მიზნის შესასრულებლად საჭირო გახდა გადაგვეწყვიტა შემდეგი ამოცანები:

- GSM სტანდარტის ქსელებში აბონენტების მობილურობის შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე ქსელის მათემატიკური მოდელის პარამეტრების განსაზღვრა, რომლებიც იწინასწარმეტყველებდნენ ქსელის გადატვირთულობას საბაზო სადგურის რაფიონტერფეისის ქვესისტემისათვის.
- არსებული ოპციების გამოყენებისას პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავება, რომლებიც მოგვცემდნენ მობილური ქსელის ტევადობის გაზრდის საშუალებას.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში ჩამოყალიბებულია ნაშრომის აქტუალობა, მოყვანილია საკვლევი საკითხების მოკლე მიმოხილვა, ფორმულირებულია მიზნები და ამოცანები, ძირითადი დებულებები, რომლებიც გამოტანილია დაცვაზე.

პირველ თავში მოცემულია იმ ძირითადი ოპციების კლასიფიკაცია და აღწერა, რომლებსაც იყენებენ მობილური კომპანიების უმრავლესობა და რომლებიც საშუალებას იძლევიან გაიზარდოს მობილური ქსელის ტევადობა.

მეორე თავში განხილულია GSM მობილური ქსელის ხარისხის შეფასების მეთოდები, როგორიცაა: დრაივ-ტესტის ჩატარება, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომლებიც აღებულია მობილური ქსელის ისეთი ელემენტებისათვის, როგორიცაა ბაზური სადგურის და კომუტაციის ქვესისტემები, სხვადასხვა ინტერფეისზე აღებული ტრასირების ანალიზი.

მოყვანილია ხარისხის ინდიკატორის ფორმირების ძირითადი პრინციპები, ასევე დამუშავებულია მიდგომა ხარისხის მაჩვენებელი ფორმულების შესადგენად.

მესამე თავში მოცემულია ქსელის აწყობის ალგორითმები GSM სტანდარტის ქსელის გამტარუნარიანობის გაზრდისათვის. მობილური ქსელის გადატვირთულობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მეთოდის, “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის მაგალითზე ნაჩვენებია მისი გავლენა ქსელის ხარისხის ისეთ მაჩვენებელზე, როგორებიცაა, უარის ალბათობა, შეერთების პოცესის გაწყვეტის და წარუმატებელი შეერთების პროცენტი. ამ პროცედურის მუშაობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ გამოძახება მომსახურებისათვის შეიძლება გადაეცეს ფიჭას ცუდი რადიოპირობებით, რამაც თავის მხრივ გამოიწვიოს შეერთების შემდგომი გათიშვა. ამიტომ მნიშვნელოვანია მოიძებნოს კომპრომისი გადატვირთულობის მნიშვნელობის გაუმჯობესებასა და შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობის ზრდას შორის.

დისერტაციის მეოთხე თავში აღწერილია მათემატიკური მოდელი, რომელიც გამოიყენება გადატვირთულობის წინასწარმეტყველების ალგორითმების დასამუშავებლად.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები:

- ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულ იქნა ოპციათა კლასიფიკაცია, რომლებიც საშუალებას იძლევიან GSM სტანდარტის მობილურ ქსელებში გაზარდოს ტევადობა დამატებითი ტრანსივერების დაყენების გარეშე.
- პრაქტიკული შედეგების საფუძველზე განსაზღვრულ იქნა GSM სტანდარტის ქსელებში, ქსელის კონფიგურაციიდან, მისი განვითარების ხარისხიდან და ქსელის ხარისხის ძირითადი მაჩვენებლების

მნიშვნელობიდან გამომდინარე, განხილული ოპციების გამოყენების თანმიმდევრობა

3. ჩატარებულ იქნა მობილური ქსელის ხარისხის შეფასების ძირითადი მეთოდების ანალიზი, როგორიცაა: ტესტური გამოძახებები ან დრაივ ტესტები, ტრასირების ანალიზი და ქსელის კონტროლერიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.
4. ჩატარებულ იქნა იმ ოპციათა გავლენის ანალიზი ქსელის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რომლებიც ზრდიან ქსელის ტევადობას.
5. მიღებული თეორიული შედეგების გათვალისწინებით ჩატარებულ იქნა გადატვირთულობის პროცენტირება GSM სტანდარტის „ბილაინის“ მობილურ ქსელში აბონენტების ადგილმდებარეობის განსაზღვრის თავისებურებებიდან გამომდინარე.
6. GSM სტანდარტის „ბილაინის“ მობილური ქსელისათვის განისაზღვრა გადატვირთულობის წინასწარმეტყველების ალგორითმის პარამეტრები.
7. ჩატარებულ იქნა „პირდაპირი გადადანიშნულების“ პროცედურის გავლენის ანალიზი მობილური ქსელის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.
8. ჩატარდა შეფასება და მოძებნილ იქნა რეგრესიის კოეფიციენტის სანდოობის ინტერვალი ანალიტიკური გამოსახულებისათვის.
9. GSM სტანდარტის „ბილაინის“ მობილური ქსელებისათვის, იმისათვის რომ ავამაღლოთ ქსელის გამტარუნარიანობა, შემოთავაზებულ იქნა ქსელის აწყობის ალგორითმი GPRS ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

## **Abstract**

Dissertation, "**Analysis and design of capacity increasing algorithms for GSM standard networks**", aims to increase the capacity of GSM networks in standard tasks based on the theory of mass service.

The rapid development of the telecommunications sector in the current crisis in Georgia, as well as data transfer through the phone or traffic studies. Spread and impact of mobile telecommunications in the direction of Georgia's largest GSM mobile network standard. The frequency range for the network is fully utilized, the existing mobile network operators to expand and improve the quality of existing use of the various options.

For achievement of a goal it was necessary to solve the following problems;

On the basis of the analysis of opportunities of an assessment of mobility of subscribers in networks of the GSM standard to determine parameters of mathematical model for a prediction of overloads on the radio interface of a subsystem of base stations.

To develop practical recommendations about use of the existing options, allowing to increase network capacity.

In introduction relevance of a subject of research is proved, are formulated the purpose and problems of work, the results received in the course of writing of the thesis are listed, defined practical value and areas of applicability of basic provisions of the dissertation work submitted for protection.

In chapter 1 classification and the description of the main options are given, to increase the capacity of a network and the mobile operators who were used by the majority.

In chapter 2 the main methods of an assessment of quality of networks – carrying out the drive tests, the analysis the statistician, received from elements of a network of a subsystem of base stations and switching, the analysis of the traces removed from various interfaces are considered.

The basic principles of formation of indicators of quality are given, and also approach to drawing up formulas is developed for calculation of indicators of quality.

Algorithms of settings are given in a chapter 3 for increase of capacity of networks of the GSM standard. On the example of procedure of "a direct reassignment" – one of the main a way of reduction of overloads - its influence on such indicators of quality of a network, as

probability of refusal, percent of breaks of connections and percent of unsuccessful connections is considered. From the principle of work of this procedure follows that for call service, it is told in copy with the worst radio conditions that can cause the subsequent break of connection. Therefore the compromise between improvement of values of overloads and increase in values of breaks of connections is important.

In chapter 4 the mathematical model used at development of algorithm of a prediction of overloads is described.

In introduction relevance of a subject of research is proved, are formulated the purpose and problems of work, the results received in the course of writing of the thesis are listed, defined practical value and areas of applicability of basic provisions of the dissertation work submitted for protection.

In chapter 1 classification and the description of the main options are given, to increase the capacity of a network and the mobile operators who were used by the majority.

In chapter 2 the main methods of an assessment of quality of networks – carrying out the drive tests, the analysis the statistician, received from elements of a network of a subsystem of base stations and switching, the analysis of the traces removed from various interfaces are considered.

The basic principles of formation of indicators of quality are given, and also approach to drawing up formulas is developed for calculation of indicators of quality.

Algorithms of settings are given in a chapter 3 for increase of capacity of networks of the GSM standard. On the example of procedure of "direct reassignment" – one of the main a way of reduction of overloads - its influence on such indicators of quality of a network, as probability of refusal, percent of breaks of connections and percent of unsuccessful connections is considered. From the principle of work of this procedure follows that for call service, it is told in cells with the worst radio conditions that can cause the subsequent break of connection. Therefore the compromise between improvement of values of overloads and increase in values of breaks of connections is important.

In chapter 4 the mathematical model used at development of algorithm of a prediction of overloads is described.

1 . On the basis of the carried-out analysis classification of the options, allowing to increase capacity in GSM standard networks without installation of additional transceivers is offered.

- 2 . On the basis of practical results the sequence of application of the considered options in GSM standard networks depending on an existing configuration of a network, extent of development, and also values of the main indicators of quality is defined.
- 3 . The analysis of the main methods of an assessment of quality of networks of cellular communication – test calls or the drive tests, the analysis of traces and processing of the statistical information received from controllers of a network is carried out.
- 4 . The analysis of influence of the options increasing capacity of a network, on quality indicators of a network is carried out.
- 5 . Taking into account the received theoretical results the analysis of algorithms of forecasting of overloads in GSM standard "beeline" networks taking into account features of determination of location of subscribers in such networks is carried out.
- 6 . For networks of the GSM standard "beeline" parameters of algorithms of a prediction of overloads are determined.
- 7 . The analysis of influence of procedure of "direct reassignment" on the main quality indicators of a network is carried out.
- 8 . The assessment is carried out and confidential intervals of coefficients of regression for analytical expressions are found.
- 9 . With I aim increases of capacity of networks of the GSM standard the algorithm of control of a network taking into account the GPRS technology was offered.

## სარჩევი

<b>შესავალი</b>	<b>15</b>
<b>თავი 1. მობილური ქსელის ტევადობის გაზრდის ოპციათა ანალიზი</b>	<b>31</b>
1.1 შესავალი	31
1.2 არსებულ ოპციათა კლასიფიკაცია და ანალიზი	31
1.3 პენდოვერის პროცედურა	32
1.4 პენდოვერის პროცედურა იერარქიული სტრუქტურის ქსელებში	42
1.5 ნახევარსიჩქარიანი კოდირება	46
1.6 სიჩქარის ფსევდოალბათური გადაწყობა	49
1.7 სიმძლავრის რეგულირება	52
1.8 ცვლადი გასხივება	54
1.9 დასკვნები პირველ თავთან დაკავშირებით	55
<b>თავი 2. ფიჭური კავშირის ქსელებში ხარისხის შეფასების მეთოდები. ტევადობის გაზრდის ოპციათა გავლენის ანალიზი</b>	
ქსელის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებელზე	57
2.1 შესავალი	57
2.2 ფიჭური კავშირის ქსელის ხარისხის შეფასების მეთოდები	57
2.3 მობილური ქსელის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა	61
2.4 მობილური ქსელის ხარისხობრივი ინდიკატორების გამოთვლის მეთოდები	65
2.5 მობილური ქსელის ტევადობის გაზრდის ოპციათა გავლენის ანალიზი ხარისხობრივ მაჩვენებელებზე	66
2.6 არსებულ ოპციათა გამოყენების ეფექტურობის შეფასება და მათი გამოყენების რეკომენდაციები	71
2.7 დასკვნები მეორე თავთან დაკავშირებით	82
<b>თავი 3. GSM სტანდარტის ქსელებისათვის გამტარუნარიანობის გაზრდის ალგორითმები</b>	<b>85</b>
3.1 შესავალი	85
3.2 “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენა	

ქსელის ხარისხებრივ მაჩვენებლებზე	86
3.2.1 “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენა უარის ალბათობაზე	87
3.2.2 “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენა შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობაზე	91
3.2.3 მიღებული რეგრესიის კოეფიციენტების შეფასება	93
3.3 სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის რესურსების გადანაწილების პარამეტრების აწყობის მეთოდიკა	96
3.4 დასკვნები მესამე თავთან დაკავშირებით	110
<b>თავი 4. ჰენდოვერების ცვალებადობის ინტენსივობის აღმოჩენის</b>	
<b>ალბათობა და GSM სტანდარტის ქსელების გადატვირთულობის პროგნოზირება</b>	113
4.1 შესავალი	113
4.2 GSM სტანდარტის ქსელებში აბონენტთა ადგილმდებარეობის განსაზღვრის თავისებურებანი	114
4.3 მათემატიკური მოდელის აღწერა	118
4.4 მობილურობის პარამეტრების ინტენსივობის ცვლილების მოდელი და მისი პარამეტრები GSM სტანდარტის ქსელებისათვის	122
4.5 აქტიურ და პოტენციურად აქტიურ აბონენტების რაოდენობებს შორისა ურთიერთკავშირი	135
4.6 GSM სტანდარტის ქსელებში გადატვირთულობის წინასწარმეტყველების ალგორითმი და მისი პარამეტრები	137
4.7 GSM სტანდარტის ქსელებში სტატისტიკის შეგროვების პრინციპები	145
4.7 დასკვნები მეოთხე თავთან დაკავშირებით	150
4.9 საბოლოო დასკვნა	152
<b>გამოყენებული ლიტერატურის სია</b>	155

## შემოკლებები და აღნიშვნები

- ACCH - Associated Control Channel – შეთავსებული (ასოცირებული) მართვის არხი
- ACH - Access Channel – მიღწევადი არხი
- ADC - Administration Center – ადმინისტრაციული ცენტრი
- ADPCM - Adaptive Differential Pulse Code Modulation – ადაპტიური დიფერენციალური იმპულსურ კოდური მოდულაცია
- AGC - Automatic Gain Control – გაძლიერების ავტომატური რეგულირება
- AMPS - Advanced Mobile Phone Service – გაუმჯობესებული მობილური სატელეფონო სამსახური
- ANSI - American National Standards Institute – ამეროკული სტანდარტების ნაციონალური ინსტიტუტი
- ARPU - Average revenue per user - ერთი აბონენტის საშუალო შემოსავალი
- BBH (Base Band Hopping – საბაზო ზოლის გადაყვანა
- BCCH - Broadcast Control Channel – გადაცემის ლოგიკური მართვის არხი
- BCH - Bose-Chaudhuri-Hoquenghem code – ბოუზ-ჩოუდხურ-ხოკინგემის კოდი
- BER – Bit Error Rate – შეცდომით მიღებული ბიტების სიჩქარე
- BS - Base Station – საბაზო სადგური
- BSC - Base Station Controller – საბაზო სადგურის კონტროლერი
- BTS - Base Transceiver Station – საბაზო მიმღებ-გადამცემი სადგური
- CAAM - Channel Activation Acknowledge message – აქტივიზაციის ნიშნის შეტყობინების არხი
- CAM - Channel Activation message – არხის აქტივიზაციის შეტყობინება
- CAAM - Channel Activation Acknowledge message - არხის აქტივიზაციის ადიარების შეტყობინება
- CAPICH - Common Auxiliary PICH – პილოტ სიგნალის საერთო დამხმარე არხი
- CCCH - Common Control Channel – მართვის საერთო არხი
- CCH - Common Channel - საერთო არხი
- CCH - Control Channel – მართვის არხი
- CDMA - Code Division Multiple Access – მრავალჯერადი მიღწევა კოდური დაყოფით
- CELP - Code-Excited Linear Prediction – ხაზური წინასწარმეტყველება კოდური აღგზნებით
- CEPT - Conference of European Postal and Telecommunications Operators ფოსტისა კავშირგაბმულობის ადმინისტრაციის ეკროპული კონფერენცია
- CPCH - Common Physical Channel - საერთო ფიზიკური არხი
- CS - Channel Switching – არხების კომუტაცია
- CunSR – წარუმატებელი შეერთების პროცენტი
- DAPICH - Dedicated Auxiliary PICH – პილოტ სიგნალის გამოყოფილი

- დამხმარე არხი
- DB - Data Base** – მონაცემთა ბაზა
- DCCH - Dedicated Control Channel** – მართვის გამოყოფილი არხი
- DCH - Dedicated Channel** - გამოყოფილი არხი
- DCS – Distributed Control System** – განაწილებული მართვის სისტემა
- DCS - Digital Cellular System** – ფიქური კავშირის ციფრული სისტემა
- DPCH - Dedicated Physical Channel** - გამოყოფილი ფიზიკური არხი
- DQPSK - Differential Quadrature Phase Shift Keying** – დიფერენციალური კვადრატურული ფაზური მოდულაცია
- DTCH - Dedicated Traffic Channel** – ტრაფიკის გამოყოფილი არხი
- DTX – Discontinuous Transmission mode-** ცვლადი გასხივება (ცბ)
- EDGE – Enhanced Data rates for GSM Evolution** - მობილური კავშირის ციფრული ტექნოლოგია
- EIA - Electronic Industries Alliance** – ელექტრონული წარმოების წარმომადგენელთა ასოციაცია
- ETSI - European Telecommunications Standards Institute** – კავშირგაბმულიბის სტანდარტების ევროპული ინსტიტუტი
- FACH - Forward Access Channel** – პირდაპირი მიღწევის არხი
- FACCH - Fast Associated Control Channel** – სწრაფი კავშირის მართვის არხი
- FCH - Fundamental Channel** – ძირითადი არხი
- FDMA - Frequency Division Multiple Access** – მრავალჯერადი შეღწევა არხების სიხშირული დაყოფით
- FR - Full Rate** – მთელი სიჩქარე
- GMSK - Gaussian Minimum Shift Keying** – გაუსის მანიპულაცია სიხშირის მინიმალური დაძვრით
- GPS - Global Positioning System** – ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური სისტემა
- GPRS – General Packet Radio Service** - საერთო მოხმარეობის პაკეტური რადიოკავშირი
- GSM - Global System for Mobile Communications** – მობილური კავშირის გლობალური სისტემა
- HC - Handover Command** – პენდოვერის ბრძანება
- HCM - Handover Complete Message** – მთლიანი პენდოვერის გადაცემა
- HR - Half Rate** – ნახევარი სიჩქარე
- IEEE - Institute of Electrical and Electronic Engineers** – ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტი (აშშ)
- ITU - International Telecommunications Union** – ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისი კავშირი
- ITU-T - International Telecommunications Union - Telecommunications Standardization** – ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისი კავშირის ელექტროკავშირგაბმულობის სტანდარტიზაციის სექტორი
- JDC - Japanese Digital Cellular** – ციფრული ფიქური კავშირის იაპონური სტანდარტი

**LCCH - Leash Control Channel** – მყარად მიმაგრებული მართვის არხი  
**MS - Mobile Station** – მოძრავი (მობილური) სადგური – მობილური  
 ტერმინალი (მტ)  
**MSC - Mobile Services Switching Center** – მოძრავი კავშირის კომუტაციის  
 ცენტრი  
**MMS – Multimedia Messaging Service** - მულტიმედიურ შეტყობინებათა  
 სამსახური  
**MR - measurement report** - მონაცემების შეფასების რაპორტი  
**PDCH – Packet Data Channel** – მონაცემთა პაკეტური არხი  
**RXQUAL** – სალაპარაკო სიგნალის ხარისხის მაჩვენებელი  
**SACCH – Slow Associated Control Channel** – ნელი კავშირის მართვის  
 არხი  
**SDAsFR** - მართვის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი  
**SDAsFR\_cong** - მართვის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი  
**SDAsFR\_radio** - მართვის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი  
**SDCDR** - მართვის არხში გამოძახების არსებობისას შეერთების  
 აწყვეტის პროცენტი  
**SDCCH – Stand-alone Dedicated Control Cannel** - მართვის ნდივიდუალური  
 არხი  
**SFH - Slow Frequency Hopping** – სიხშირის ნელი ნახტომისებური  
 გადაწყობა  
**Signal\_Lev min** – სიგნალის მინიმალური დონე  
**SMS – Short Message Service** – მოკლე ტექსტური შეტყობინება  
**TAsFR** - ტრაფიკის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი  
**TAsFR\_cong** - ტრაფიკის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი  
 რესურსის არყოფნიას  
**TAsFR\_radio** - ტრაფიკის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი  
 რადიო არხში პრობლემის გამო  
**TBFunSR\_UL** - უკუ მიმართულებაში **TBF** შეერთების წარუმატებელი  
 დამყარების პროცენტი  
**TBFunSR\_DL** - პირდაპირ მიმართულებაში **TBF** შეერთების  
 წარუმატებელი დამყარების პროცენტი  
**TBFDr\_UL** - უკუ მიმართულებაში **TBF** შეერთების გაწყვეტის  
 პროცენტი  
**TBFDr\_DL** - პირდაპირ მიმართულებაში **TBF** შეერთების გაწყვეტის  
 პროცენტი  
**TBFThrtAvg\_UL** - უკუ მიმართულებაში გადაცემის საშუალო სიჩქარე  
**TBFThrtAvg\_DL** - პირდაპირ მიმართულებაში გადაცემის საშუალო  
 სიჩქარე  
**TBF – Temporary Block Flow** - ბლოკების დროებითი ნაკადი  
**TCDR** - ტრაფიკის არხში გამოძახების არსებობისას შეერთების  
 გაწყვეტის პროცენტი  
**TCH** – სალაპარაკო არხი  
**TS – ტაიმ-სლოტი**  
**TRX – Transceiver** – მიმღებ-გადამცემი (ტრანსივერი)

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** სატელეკომუნიკაციო სფეროში დასაქმებული ხებისმიერი კომპანიის წინაშე დგას ამოცანა მოახდინოს ქსელის მშენებლობაზე და განვითარებაზე დანახარჯების მინიმიზაცია, ისე რომ შეინარჩუნოს მომსახურების ხარისხობრივი მახასიათებლების მისაღები დონე. დღევანდელ დღეს საქართველოში მიმდინარეობს სატელეკომუნიკაციო სფეროს სწრაფი განვითარება, განსაკუთრებით მობილური კავშირგაბმულობის მიმართულებით, ამასთან ყველაზე დიდი გავრცელება მობილურ ქსელებში ჰქონის GSM სტანდარტმა.

მობილური ქსელის რიგითი აბონენტი სულ მეტ და მეტ მომსახურებას ითხოვს, როგორიცაა: GPRS/EDGE ტექნოლოგიის ბაზაზე სხვადასხვა სერვისები, SMS და MMS შეტყობინების გაცვლა. ამასთან, სხვადასხვა შეფასებით აღნიშნული დამატებითი მომსახურებები, შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს ოპერატორის ისეთი საჭირო ეკონომიური მაჩვენებელი როგორიცაა ერთი აბონენტის საშუალო შემოსავალი (ARPU) (15-20)%-ით [12]. ბუნებრივია, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს იმ მოწყობილობების მოდერნიზაციას, რომელზეც იქნება აღნიშული ტექნოლოგია რეალიზებული. ეს პროცესი წარმოადგენს რთულ ამოცანას და მოწყობილობების მწარმოებელი სხვადასხვა კომპანიები თავისებურად წყვეტებ მას. თანაც იცავენ მოთხოვნილ სტანდარტებს (ETSI, ITU და სხვა).

ამასთან, ამა თუ იმ კვანძის რეალიზაციისათვის გამოყენებული მეთოდები, შეიძლება იყოს საერთო. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სიმძლავრის გამაძლიერებლის სწორხაზოვნების მეთოდი [23,62-67,72], რომელთა გამოყენება აქტუალური ხდება EDGE და მესამე თაობის მობილურ ქსელებზე გადასვლისას, სადაც გამოიყენება სიგნალი არა მუდმივი (GSM), არამედ ცვალებადი მომვლებით [12].

მოწყობილობის დამუშავება წარმოადგენს მომწოდებელი კომპანიის პრეროგატივას და მასზე მობილური ქსელის ოპერატორების ზეგავლენა მინიმალურია. ამასთან, ნათელია, რომ რჩევებს და განსაკუთრებით პრეტენზიებს მოწყობილობებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ითვალისწინებენ და შეაქვთ შესაბამისი კორექტივები. უნდა აღინიშნოს, რომ მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორების ძირითად ამოცანას

წარმოადგენს, არსებული მოწყობილობებით, მომხმარებელზე ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა. რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა ოპციებს და აწყობენ ქსელს განსაზღვრული სახით. ამ ნაწილში მობილურ თპერატორს საკმარისი შესაძლებლობები გააჩნიათ.

არ უნდა დავივიწყოთ, განვითარების მოცემულ ეტაპზე, მობილური კაფშირგაბმულობის ძირითადი ფუნქცია – ხმოვანი (სატელეფონო) მომსახურებაა. დღევანდელ დღეს სატელეკომუნიკაციო ბაზრის განვითარების ხარისხი ისეთია, რომ აბონენტებს არა მარტო სურთ ლაპარაკის შესაძლებლობა ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, არამედ ითხოვენ ხარისხიანი მომსახურების მიღებას. ადსანიშნავია, რომ მობილური კაფშირგაბმულობის ნებისმიერი სერვისი იყენებს ერთ და იგივე ფიზიკურ რესურსს – რადიოარხს, ამიტომ პირველ რიგში საჭიროა არსებული რესურსი სწორედ გავანაწილოთ სხვადასხვა სერვისებს შორის და მეორეს მხრივ სხვადასხვა ალგორითმების გამოყენებით მოვახდინოთ მათი ეფექტური გამოყენება. მართვის პრობლემების ანალიზზე, ინფორმაციის შენახვაზე, ასევე მიმდინარე პროცესების მათემატიკურ ალტერაზე, რომლებიც მიმდინარეობენ მასობრივი მომსახურების სისტემებში, მიძღვნილია საზღვარგარეთის მეცნიერთა მრავალი ნაშრომი.

საქართველოში სიხშირული რესურსების ეფექტური გამოყენება, რომელიც გამოყოფილია GSM სტანდარტის მობილური სისტემებისათვის, იმის გამო, რომ მათ წაეყენება სხვადასხვა შეზღუდვები, ძალიან აქტუალურია, განსაკუთრებით (880-915)მჴც. და (925-960)მჴც. (შემდგომში შემოკლებით 900მჴც.) სიხშირულ დიაპაზონში. ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია მობილური ქსელის გაფართოება დამატებითი ტრანსივერის დაყენებით, რადგან ამან სიხშირული ზოლის სიმცირის გამო შეიძლება გამოიწვიოს ინტერფერენცია, რაც თავის მხრივ მკვეთრად აუარესებს მომსახურების ხარისხს. ამიტომ ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სხვადასხვა ალგორითმებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც საშუალებას იძლევიან გადანაწილდეს ტრაფიკი და გაზარდოს მობილური ქსელის ტევადობა, დამატებითი ტრანსივერის დადგმის გარეშე. მით უმეტეს, ხშირ შემთხვევაში ისმება ამოცანა, რომ მობილური ქსელის ტევადობა გაიზარდოს დინამიურად და დროის საჭირო მომენტში, ე.ი. მაშინ როცა სინამდვილეში ადგილი აქვს რადიოინტერფერისში არხების

ნაკლებობას. სხვა სიტყვებით, აუცილებელია გამოყენებულ იქნას ალგორითმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიწინასწარმეტყველოთ მობილური ქსელის გადატვირთულობა და ვმართოთ მისი ტევადობა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტორების გათვალისწინებით ანალიზის ჩატარება, ეფექტურობის შეფასება და მისი გავლება ქსელის ტევადობის გაზრდის ძირითადი ოპციების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ასევე ქსელის გადატვირთულობის წინასწარმეტყველების მათემატიკური მოდელის პარამეტრების განსაზღვრა და GSM სტანდარტის ქსელებში სალაპარაკო და პაკეტური ტრაფიკის გადანაწილება წარმოადგენს აქტუალურ ამოცანებს.

**სამუშაოს მიზანი.** სადისერტაციო სამუშაოს მიზანს წარმოადგენს GSM სტანდარტის ქსელების გამტარუნარიანობის გაზრდის ამოცანის გადაწყვეტა, მასობრივი მომსახურების თეორიის საფუძველზე დამუშავებული მათემატიკური მოდელით.

დასახული მიზნის შესასრულებლად საჭირო გახდა გდაგვეწყვიტა შემდეგი ამოცანები:

- GSM სტანდარტის ქსელებში აბონენტების მობილურობის შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე ქსელის მათემატიკური მოდელის ისეთი პარამეტრების განსაზღვრა, რომლებიც იწინასწარმეტყველებდნენ ქსელის გადატვირთულობას საბაზო სადგურის რაფიონტერფეისის ქვესისტემისათვის;
- არსებული ოპციების გამოყენებისას პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავება, რომლებიც მოგვცემდნენ მობილური ქსელის ტევადობის გაზრდის საშუალებას;
- ქსელის სხვადასხვა ელემენტებიდან მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე, საბაზო სადგურის ლოგიკური პარამეტრების დასაშვები მნიშვნელობის გათვალის ალგორითმის დამუშავება, “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების აწყობისას;
- ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე რადიო ინტერფეისის რესურსების, სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის, გადანაწილების ალგორითმის დასაბუთება და დამუშავება, რათა

მაქსიმალურ ეფექტურად იქნეს გამოყენებული მობილური ქსელის არსებული ტევადობა.

**გამოკვლევის საერთო მეთოდიკა.** საბაზო სადგურის ლოგიკური პარამეტრების დასაშვები მნიშვნელობების გათვლის ალგორითმის დამუშავებისას, “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების აწყობისას, და ქსელის გადატვირთულობის მოდელის პარამეტრების განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა მასობრივი მომსახურების, ტელეტრაფიკის, ალბათობის და სტატისტიკური რადიოტექნიკის თეორიები.

**სამუშაოს ძირითადი სიახლეები და სამუცნიერო შედეგების წარმოადგენა:**

1. განისაზღვრა პარამეტრები, რომლებიც აფასებდნენ აბონენტების მობილურობას, ამასთან ითვალისწინებდნენ GSM სტანდარტის ქსელებში აბონენტების ადგილმდებარეობის განსაზღვრის თავისებურებებს.
2. გამოკვლეულ და დასაბუთებულ იქნა GSM სტანდარტის ქსელის გადატვირთულობის პროგნოზირებისათვის მათემატიკური მოდელი, ასევე განისაზღვრა მისი პარამეტრები მიღებული მობილურობის კოეფიციენტების გათვალისწინებით.
3. დამუშავდა “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების აწყობის ალგორითმი, რომელიც საშუალებას იძლევა საბაზო სადგურის რადიოინტერფეისის ქვესისტემაზე შეამციროს გადატვირთულობა. ამასთან შენარჩუნებულ იქნას შეერთების გაწყვეტის პროცესის მინიმალური პროცენტული დონე.
4. სტატისტიკური მონაცემების დამუშავების (200 000 მეტი ანათვალი „ბილაინი”-ს ქსელი) საფუძველზე მიღებულ იქნა ანალიტიკური დამოკიდებულება საბაზო სადგურის ლოგიკურ პარამეტრების დასაშვები მნიშვნელობების გათვლისათვის “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების აწყობისას. ჩატარდა მიღებული ფორმულის გამოკვლევა და მონახულ იქნა სანდო ინტერგალები.
5. სტატისტიკური მონაცემების დამუშავების (200 000 მეტი ანათვალი „ბილაინი”-ს ქსელი) საფუძველზე დამუშავდა და დასაბუთდა სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის ქსელის რესურსების გადანაწილების მეთოდიკა, რომელიც საშუალებას იძლევა ხარისხის ნორმატივები თრივე მომსახურებისათვის იყოს დაკმაყოფილებული.

**6. სტატისტიკური მონაცემების დამუშავების (300 000 მეტი ანათვალი „ბილაინი”-ს ქსელი) საფუძველზე შემუშავებული იქნა ქსელის ტევადობის გაზრდის ოპციის პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციები.**

**საჯუთარი წელიდღი.** გამოკვლევების თეორიული და პრაქტიკული შედეგები, ასევე მათგან გამომდინარე დასკვნები და რეკომენდაციები მიღებულია ავტორის მიერ.

**პრაქტიკული ფასეულობა.** სადისერტაციო ნაშრომში შესრულებული გამოკვლევები და ქსელის გადატვირთულობის პროგნოზირების მათემატიკური მოდელის მოძებნილი პარამეტრები საშუალებას იძლევიან, ტრაფიკის ზრდის ადრეულ ეტაპზე, მიღებულ იქნას ზომები, რადიოინტერფენსის პარამეტრების გადასაწყობად, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარი აბონენტის მომსახურების დროს.

მობილური ქსელების ხარისხის შეფასების განხილული მეთოდები და მათი გამოყენების რეკომენდაციები, საშუალებას მისცემს მობილური ქსელის ოპერატორებს მუდმივად განახორციელოს ქსელის მდგომარეობის კონტროლი და მიწოდებული მომსახურების ხარისხი შეინარჩუნოს მაღალ დონეზე.

სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი ძირითადი ოპციების დანერგვის რეკომენდაციები, რომლებიც ზრდის მობილური ქსელის ტევადობას, აძლევს მობილური ქსელის ოპერატორს შესაძლებლობას უფრო ეფექტურად და დროულად გაააქტიურონ ისინი თავიანთ ქსელებში, რაც საშუალებას მისცემთ უფრო უკეთ გამოიყენონ არსებული რესურსები.

**“პირდაპირი გადადანიშნულების”** პროცედურის აწყობის დამუშავებული მეთოდიკა უზრუნველყოფს GSM სტანდარტის ქსელებში რადიოინტერფენსიზე გადატვირთულობების შემცირებას, ამასთან დაბალ დონეზე იქნება შენარჩუნებული არსებული შეერთებების გათიშვის მნიშვნელობები, რაც ზრდის არა მარტო არსებული რესურსის გამოყენებას, არამედ მომსახურების ხარისხს.

ანალიტიკური დამოკიდებულება, რომელიც მიიღება საბაზური სადგურის ლოგიკური პარამეტრების დასაშვები მნიშვნელობების გასათვალებლად, “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცესების დროს, გადატვირთულობების პროგნოზირების ალგორითმთან ერთად, მობილური კავშირის ოპერატორებს საშუალებას აძლევს ადრეულ ეტაპზე, არა

მარტო აღმოაჩინონ წარმოქმნილი გადატვირთულობები, არამედ დროულად გაატარონ ზომები მათ შესამცირებლად, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მათი გავლენა ხარისხის შეფასების სხვა ძირითად მაჩვენებელზე.

საპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის რადიონტერფეისის რესურსების გადანაწილების დამუშავებული და დასაბუთებული ალგორითმი, საშუალებას იძლევა რესურსების შეზღუდული მნიშვნელობების დროს, გამოყენებული იქნეს, როგორც სალაპარაკო ინფორმაციის, ასევე მონაცემთა გადასაცემად, ამასთან ერთად შენარჩუნებული იქნება მომსახურების მაღალი ხარისხი.

**სადისერტაციო ნაშრომის შედეგების რეალიზაცია.** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები დანერგილია „ბილაინი”-ს მობილურ ქსელში და გამოიყენება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესში.

**სამუშაოს შედეგების აპრობაცია და გამოქვეყნებული შრომები.**

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები მოხსენებულ და განხილულ იქნა სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებზე და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტუალში”.

**გამოქვეყნებული შრომები.** გამოქვეყნებულია 5 ნაბეჭდი ნაშრომი [82-86]

**დაცვაზე გამოტანილი ძირითადი პოზიციები:**

- მობილური ოპერატორების მიერ ქსელის ტევადობის გაზრდის ძირითადი ოპციების ანალიზის საფუძველზე, დამუშავებულ იქნა მათი გამოყენების რეკომენდაციები, რომლებიც დასაბუთებულია პრაქტიკული შედეგებით:

- მობილური ქსელის დაპროექტების დროს მიზანშეწონილია ორიგინალური გაკეთდეს ტრაფიკის 20-30%-იან ნაწილზე რეჟიმში Half Rate;

- “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გამოყენება საშუალებას იძლევა 25%-მდე გაიზარდოს მობილური ქსელის ტევადობა;

- ორ დიაპაზონიანი ქსელის აწყობა საშუალებას იძლევა 5%-მდე გაიზარდოს მობილური კავშირის ქსელის ფიჭის რესურსის გამოყენების ეფექტურობა;

- სიხშირის გადაწყობის ფსევდოალბათური მეთოდის გამოყენება

საშუალებას იძლევა 15%-ით გაუმჯობესდეს CunSR-ის მნიშვნელობა, ხოლო TAsFR\_radio პარამეტრის მნიშვნელობა კი ორჯერ.

- მობილურობის პარამეტრების საფუძველზე, ქსელის გადატვირთულობის სიხშირის პროგნოზირებისათვის, მათემატიკური მოდელის პარამეტრები, რომელიც გამოთვლილია GSM სტანდარტის მობილური ქსელებისათვის გვიჩვენებენ, რომ ინტენსივობის დროს  $\lambda_{ho}=10\text{აბ/წმ}$  ანალიზისათვის საჭირო ინტერვალი შეადგენს 100-250 წმ., რაც დაახლოებით 3-4 ჯერ ნაკლებია გადატვირთულობის წარმოქმნის რეალურად შესამჩნევ დროზე, “საცობის”, ავარიის ან ამგვარი ტიპის სიტუაციის დროს. რაც საშუალებას აძლევს მობილური კავშირის ოპერატორს მიღებული მოდელი გამოყენებულ იქნას ქსელის რესურსების დინამიურედ გადამწყობ მოწყობილობებში.
- მიღებული ანალიტიკური ფორმულა გვიჩვენებს, რომ სიგნალის დონის მინიმალური მნიშვნელობის  $\text{Signal\_lev}_{min} = -95\text{დბმ}$ . დროს, იმისათვის რომ წარუმატებული შეერთებების რაოდენობა შენარჩუნებულ იქნას არა უმეტეს 2%-ის ფარგლებში, ლოგიკური პარამეტრები, რომლებიც პასუხს აგებენ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურეს მუშაობაზე, ისეთნაირად უნდა აიწყოს, რომ სიგნალის წილი ზღვრული დონის ქვემოთ არ აღემატებოდეს 15%.
- სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის რადიოინტერფეისის რესურსების გადანაწილების ალგორითმის მოძებნილი პარამეტრები საშუალებას იძლევიან  $P_{\text{გათ\_gprs}}=1$  მნიშვნელობა შევინარჩუნოთ (1-2)%-ის ფარგლებში,  $P_{\text{გათ}}=1$  მნიშვნელობაზე მინიმალური ზემოქმედების დროს.

<b>TRX</b> -პარამეტრის რაოდენობა	<b>HIGH_TRAFFIC</b>	<b>MAX_PDCH</b>
1TRX	83%	5
2TRX	92%	12
3TRX	90%	19
4TRX	93%	26
5TRX	94%	34
6TRX	95%	41

- ერთი და ორ ტრანსივერიანი სექტორებისათვის, Half Rate რეჟიმისგან დამოუკიდებლად, MAX\_PDCH და HIGH\_TRAFFIC მნიშვნელობები:

**MAX\_PDCH=TS<sub>რაოდენობას-1</sub>**, სადაც TS იმ ტაიმსლოტების რაოდენობაა, რომლებიც არ არიან დაკავებული სასამსახურო არხებით.

**MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=100\*(MAX\_PDCH)/(TS<sub>რაოდენობა</sub>);**

- სამ და მეტ ტრანსივერიანი სექტორებისათვის **Half Rate** რეჟიმისგან დამოუკიდებლად:

**MAX\_PDCH=TS<sub>რაოდენობას-2</sub>,**

**HIG\_TRAFFIC=\*(MAX\_PDCH)/(TS<sub>რაოდენობა</sub>).**

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავისა და ლიტერატურისაგან. ნაშრომი შეიცავს 165 ნაბეჭდ გვერდს, 58 ნახატს და 9 ცხრილს. გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებულია 86 წერტილი.

### **სამუშაოს შემცველობა**

**შესავალში** დასასაბუთებულია გამოსაკვლევი თემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია სამუშაოს მიზანი და ამოცანები, ჩამოთვლილია შედეგები, რომლებიც მიღებული იყო დისერტაციის დამუშავების დროს, განსაზღვრულია სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული ფასეულობა და გამოყენების სფეროს ძირითადი ასპექტები, რომლებიც გამოტანილია დაცვაზე.

სადისერტაციო ნაშრომის **პირველ თაგში** მოცემულია იმ ძირითადი ოპციების კლასიფიკაცია და აღწერა, რომლებსაც იყენებენ მობილური კომპანიების უმრავლესობა და რომლებიც საშუალებას იძლევიან გაიზარდოს მობილური ქსელის ტევადობა. როგორიცაა: პენდოვერის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის იერარქიული ფიჭისათვის, “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურები, ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმი, სიხშირეების ფსევდოალბათური გადაწყობა, სიმბლავრის რეგულირება და ცვლადი გასხივება. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ფორმულირებულ იქნა ძირითადი გამოსაკვლევი პოზიციები, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაიზარდოს მობილური ქსელის რესურსების გამოყენების ეფექტურობა.

ამა თუ იმ მომსახურების ცუდი ხარისხის გამომწვევ ძირითად მიზეზს წარმოადგენს საბაზო სადგურის რესურსის უკმარისობა, რაც იწვევს რადიოინტერფეისის გადატვირთულობას და/ან გარეშე ხელშეშლებს.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეთავაზებულია ოპციების შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ოპციები, რომლებიც ამცირებენ გადატვირთულობას, ე.ო. რომლებიც საშუალებას იძლევიან მეზობელ ფიჭებს შორის გადაანაწილონ ტრაფიკი (ჰენდოვერის სხვადასხვა სახეობა, ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმი, ქსელის იერარქიული სტრუქტურის გამოყენება);
2. ოპციები, რომლებიც საშუალოდ ამცირებენ ინტერფერენციებს ქსელის შიგნით (სისტემის ფსევდოალბათური გადაწყობა, სიმბლავრის რეგულირება და ცვალებადი გამოსხივება).

მობილური ქსელის განვითარების საწყის ეტაპზე, როდესაც ძირითად პრობლემას წარმოადგენს ქსელის ტევადობის უკმარისობა და აქედან გამომდინარე გადატვირთულობების არსებობა, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ და შესაბამისად ავაწყოთ ოპციები, რომლებიც განთავსებულია პირველ ჯგუფში. შემდგომი, ოპტიმიზაციის პროცესში, როდესაც ძირითად როლს ითამაშებს რადიო პრობლემები, აზრი აქვს ძირითადი ფურადდება დაეთმოს მეორე ჯგუფის ოპციებს.

პრაქტიკული თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პირველ ჯგუფში განთავსებული ოპციები, რამდენათაც მათი გამოყენება, როგორც ტექნიკური, ასევე ეკონომიკური მხრიდან იძლევიან შესამჩნევ შედეგებს. მობილურ ოპერატორს ყველაზე მეტი თავისუფლება გააჩნია “პირდაპირი გადადანიშნულების” ოპციის პროცედურების განხორციელებისას, მაგრამ დღეისათვის იმ ლოგიკური პარამეტრების მნიშვნელობა, რომლებიც აღნიშნული ოპციების მუშაობაზე პასუხობენ, აიღება კონკრეტული ინჟინრის გამოცდილებიდან გამომდინარე, რომლებიც ემსახურებიან ქსელის ოპტიმიზაციას, ე.ო. არ არსებობს მათემატიკურად დასაბუთებული მიდგომა. აქედან გამომდინარე შემდგომში წარმატებით გადაიჭრება ანალიტიკური დამოკიდებულების ამოცანა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დასაბუთებულად მიუდგეთ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების აწყობისას.

განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, აღნიშნული ოპციის არა სტატიკურ რეჟიმში, არამედ დინამიურ რეჟიმში აწყობას. ამისათვის აუცილებელია გადატვირთულობის წინასწარმეტყველების მათემატიკური მოდელის პარამეტრების განსაზღვრა და არსებული

ქსელის რესურსების სალაპარაკო და მონაცემთა ტრაფიკებს შორის გადანაწილების გათვალისწინება GSM სტანდარტის მობილური ქსელებისათვის, რაც შედის შემდგომში გადასაჭრელ ამოცანებში.

**მეორე თავში** განხილულია GSM მობილური ქსელის ხარისხის შეფასების მეთოდები, როგორიცაა: დრაივ-ტესტის ჩატარება, იმ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომლებიც აღებულია მობილური ქსელის ისეთი ელემენტებისათვის, როგორიცაა საბაზო სადგურის და კომუტაციის ქვესისტემები, სხვადასხვა ინტერფეისზე აღებული ტრასირების ანალიზის მონაცემები. იმის გამო, რომ ანათვლებს გააჩნიათ დიდი რეპრეზენტულობა, შედარებით მცირე დირებულება და მონაცემების აღების სიმარტივე, ძირითადად შეიძლება მივიჩნიოთ სტატისტიკის ანალიზი, მაგრამ ეს მეთოდი არ იძლევა საშუალებას შეფასებული იქნას ყველა ასპექტი, რომლებიც უშუალო შეხებაშია მომსახურების ხარისხის შეფასებასთან, ამიტომ სამივე ერთმანეთის შემავსებელი მეთოდის ერთდროული გამოყენება აძლევს მობილური კომპანიის ოპერატორს აბონენტზე მიწოდებულ მომსახურების ხარისხზე იქონიოს სრულყოფილი და ობიექტური სურათი.

მოყვანილია ხარისხის ინდიკატორის ფორმირების ძირითადი პრინციპები, ასევე დამუშავებულია მიღგომა ხარისხის მაჩვენებელი ფორმულების შესადგენად. შეერთების დამყარების პროცესის მიხედვით გამოძახებების მთელი პროცედურა დაყოფილია რამოდენიმე ნაწილად, ხოლო შემდეგ წარუმატებელი პროცესების ალბათობათა გადამრავლებით, გამოითვლება ხარისხის გლობალური მაჩვენებელი – წარუმატებელი გამოძახების პროცენტი (CuInSR), რომელიც მთლიანად ახასიათებს ქსელს და იძლევა ქსელების შედარების საშუალებას. ასევე შეიცავს: - მმართველი არხის წარუმატებლად მინიჭების პროცენტს (SDAsFR), - შეერთების გაწყვეტების პროცენტს მართვის არხში გამოძახების ყოფნის დროს (SDCDR), ტრაფიკისათვის არხის წარუმატებელი მინიჭების პროცენტს (TAsFR) და შეერთების გაწყვეტების პროცენტს ტრაფიკის არხში გამოძახებების ყოფნის დროს (TCDR).

განხილულია ხარისხის ინდიკატორის გამოთვლის მეთოდები, უდიდესი დატვირთვის საათებისათვის (უდს) და ინტეგრირებულად განსაზღვრულ დროის შუალედში. ნაჩვენებია, რომ თითოეული მეთოდი ემსახურება

სხვადასხვა მიზნებს. თუ უდს-ში გამოთვლილი ხარისხის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ქსელში ყველაზე ცუდ სიტუაციაზე, ქსელის ერთი კვირის ინტერვალში (ტრაფიკის პროფილის გამეორების მინიმალური დრო) ინტეგრირებული შეფასება წარმოდგენას იძლევა ქსელის განვითარების ტენდენციაზე, ამ დროს გამოირიცხება ტრაფიკის მყისიერად მატება (მაგ. სადღესასწაულო დონისძიებების ჩატარება).

ჩატარდა ანალიზი და მიეცა შეფასება იმ ოპციათა გამოყენების ეფექტურობას, რომელიც საშუალებას იძლევა გაზარდოს მობილური ქსელის ტევადობა, ასევე განისაზღვრა პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციები, განხილულ ხარისხის მაჩვენებლებზე გავლენის მოსახლენად. ნაჩვენებია, რომ ტრაფიკის და მართვის არხების წარუმატებლად მინიჭების პროცენტის შესამცირებლად, ქსელის რესურსების უკმარისობის დროს, ყველაზე ეფექტურია ნახვარ სიხშირული კოდირება, რაც პრაქტიკულად საშუალებას იძლევა გაიზარდოს ქსელის ტევადობა ორჯერ (ამასთან უნდა იქნეს გათვალისწინებული ქვემოთ მოყვანილი შეზღუდვა). ასევე ხარისხის აღნიშნულ მაჩვენებელზე დადგებითად მოქმედებს “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა 20-25%-ით გაიზარდოს მობილური ქსელის ტევადობა, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია ჟურადდება მიექცეს ხარისხის იმ მაჩვენებლების ცვლილებას, რომლებიც რადიოარხის მდგომარეობას ახასიათებენ, რადგანაც ამ ოპციებმა მათი ფუნქციონირების თავისებურებების გამო შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ. ინტერფერენციული სურათის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ე.ო. რადიო არხში პრობლემის გამო ტრაფიკისა და მართვის არხების წარუმატებელი მინიჭების პროცენტის შესამცირებლად და ტრაფიკისა და მართვის არხებში გამოძახების მოძებნის შემთხვევაში, შეერთების გაწყვეტის პროცენტის შესამცირებლად, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სიხშირის ფსევდოალბათური გადაწყობა, რაც საშუალებას იძლევა პრაქტიკულად შემცირდეს **TAsFR\_radio** – ორჯერ და ასევე მცირდება ცვლადი გამოსხივება (საშუალებას იძლევა 1.5%-ით გაიზარდოს სიგნალების წილი, რომელთა მნიშვნელობა **RXQUAL=0**).

**მესამე თავში** მოცემულია ქსელის აწყობის ალგორითმები GSM სტანდარტის ქსელის გამტარუნარიანობის გაზრდისათვის. მობილური ქსელის გადატვირთულობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მეთოდის, “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის მაგალითზე ნაჩვენებია მისი გავლენა ქსელის ხარისხის ისეთ მაჩვენებელზე, როგორებიცაა, უარის ალბათობა, შეერთების პოცესის გაწყვეტის და წარუმატებელი შეერთების პროცენტი. ამ პროცედურის მუშაობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ გამოძახება მომსახურებისათვის შეიძლება გადაეცეს ფიჭას ცუდი რადიოპირობებით, რაც თავის მხრივ გამოიწვევს შეერთების შემდგომ გათიშვას. ამიტომ მნიშვნელოვანია მოიძებნოს კომპრომისი გადატვირთულობის მნიშვნელობის გაუმჯობესებასა და შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობის ზრდას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ ხარისხის ისეთი ძირითადი მაჩვენებლის გაუარესება, როგორიცაა წარუმატებელი შეერთების პროცენტი. ნაჩვენებია, რომ უარის ალბათობის გამოთვლისათვის თეორიულად მიღებული ფორმულა, სადაც გათვალისწინებულია ზონების გადაფარვა, კარგად კორელირდება პრაქტიკულ მნიშვნელობებთან, რომლებიც მიიღება იმ ფიჭებიდან, სადაც გაბაქტიურებულია “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურა, და რაც საშუალებას იძლევა 25%-ით გაიზარდოს ფიჭის ტევადობა. რამდენათაც, მიღებულ ფორმულაში პარამეტრი, რომელიც  $r=r_{\text{ფაშ}}/r_{\text{ფუ}}$  განსაზღვრავს, ლოგიკურად შეესაბამება  $\text{Signal\_lev}_{\min}$  და პასუხს აგებს “პირდაპირი გადადანიშნულების” მუშაობაზე, ექსპერიმენტული მონაცემების აპროკსიმაციით მიღებულია ანალიტიკური გამოსახულება უარის მიღების ალბათობასა და სიგნალის ზღვრულ დონის ნაწილს შორის. ანალოგიურად იქნა მიღებული ანალიტიკური დამოკიდებულება, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ შეერთების წყვეტის პროცენტი, სიგნალის ნაწილთან დამოკიდებულებაში ზღვრულ დონეს ქვევით.

ამრიგად, დაგამტკიცეთ რა აღმოჩენილი რეგრესიის ჩატარებული შეფასების მნიშვნელობა, დასაბუთებულ იქნა ფორმულა, რომლის საშუალებითაც შეიძლება მოიძებნოს ზღვრულ დონეს ქვევით სიგნალის ნაწილის პროცენტი. ნაჩვენებია, რომ თუ მივიღებთ წარუმატებელი შეერთების აუცილებელ დონედ 2%-ს, მაშინ დასაშვებია ზღვრულ დონეს

ქვევით სიგნალი იყოს 15 %. აქედან გამომდინარე, აუცილებელია „პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების აწყობისას შესაბამისად ავირჩიოთ ლოგიკური პარამეტრების მნიშვნელობები.

განხილულია **GPRS** ტექნოლოგიის გამოყენებისას, მობილური ოპერატორებისათვის ყველაზე აქტუალური, **GSIM** სტანდარტის ქსელის გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, სალაპარაკო და მონაცემთა ტრაფიკებს შორის ქსელის რესურსების გადანაწილების საკითხი. აპარატურის რიგი მომწოდებლების მიერ შემოთავაზებული ქსელის რესურსების დინამიური მართვის მეთოდების საფუძველზე, შემოთავაზებულია და დასაბუთებულია ალგორითმი, რომელიც საშუალებას იძლევა რადიოინტერფეისის რესურს მაქსიმალურად გვექტურად იქნეს გამოყენებული და დააკმაყოფილოს სალაპარაკო ტრაფიკის ხარისხობრივი მაჩვენებლის ნორმატივები. ამასთან მიიღწევა პაკეტური ტრაფიკის ხარისხის რაც შეიძლება კარგი მაჩვენებელი. ფიჭის გამართვისას დამუშავებულია ლოგიკური პარამეტრების მნიშვნელობები, თანაც გათვალისწინებულია ფიჭაში არსებული ტრანსივერების რაოდენობა.

ნაჩვენებია, რომ საწყისი აწყობისათვის დიდი სალაპარაკო ტრაფიკის დროსაც კი, მიზანშეწონილია დავაყენოთ პარამეტრი **MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=1**, რადგანაც სალაპარაკო ტრაფიკზე მინიმალური ზემოქმედების დროს ასეთი მნიშვნელობა უზრუნველყოფს **GPRS** ხარისხის მაჩვენებლის მისაღებ მნიშვნელობას. **MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=0** მნიშვნელობის დაყენება, **HIGH\_TRAFFIC** პარამეტრის მნიშვნელობის გაზრდა და ფიჭის დატვირთვის შეფასების დროის შემცირება, **TRF**-ის დანიშვნის სიტუაციას უკუ მიმართულებით კი აუმჯობესებს, მაგრამ მაღალი რჩება ამ ხარისხობრივი ინდიკატორის მნიშვნელობა. **GPRS**-ისათვის რესურსის უფრო უფექტურად გამოყენების მიზნით, ფიჭის გაზრდილი დატვირთვის პირობებში, მიზანშეწონილია დავაყენოთ ფიჭის დატვირთვის მაღალი ბარიერი, ე.ი. **HIGH\_TRAFFIC** ნიშვნელობის დაყენებისას ვისარგებლოთ ნაჩვენები რეკომენდაციით.

დამუშავებული ალგორითმები შეიძლება გამოყენებულ იქნას ქსელის მართვის ცენტრიდან ხელით აწყობის დროს. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს მეორე თაობის მობილური ქსელებისათვის წარმოადგენს ახალი

ოპციების დამუშავება, რომლებიც საშუალებას იძლევიან მიმდინარე სიტუაციიდან დამოკიდებულებით და დატვირთვის ზრდის დროს, ავტომატურად გადაეწყოს ლოგიკური პარამეტრები, რათა ქსელის არსებული რესურსი უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული. აღნიშნულის რეალიზაციისათვის აუცილებელია განისაზღვროს მათემატიკური მოდელის პარამეტრები GSM სტანდარტის ქსელებში დატვირთვის ზრდის პროგნოზირებისათვის.

**მეოთხე თავში** აღწერილია მათემატიკური მოდელი, რომელიც გამოიყენება გადატვირთულობების წინასწარმეტყველების ალგორითმების დასამუშავებლად. თეორიული დასკვნებისათვის გამოიყენება ერლანგის მოდელი, რომელიც ვარაუდობს, რომ შეკვეთების შემომავალი ნაკადი აღიწერება პუსონის კანონით და მომსახურების დრო  $1/\mu$  თითოეული შეკვეთისათვის ექვემდებარება ექსპონენციალურ განაწილებას. ამასთან შემომავალი ნაკადის ინტენსივობა ფიჭაში აბონენტების რაოდენობის პროპორციულია. GSM სტანდარტის ქსელებში აბონენტთა ადგილმდებარეობის განსაზღვრის განხილული თავისებურულობების გათვალისწინებით, როდესაც აბონენტთა გადადგილება შეიძლება შეფასდეს შემომავალი და გამავალი ჰენდოვერების (**λ<sub>h</sub>** და **μ<sub>h</sub>** შესაბამისად) ინტენსივობის საფუძველზე, ასევე თუ მივიღებთ მხედველობაში სტატისტიკის შეგროვების თავისებურებებს, ნაჩვენებია, რომ გადატვირთულობა, რომელიც გამოწვეულია აბონენტების მიერ სისტემაში არსებული ყველა რესურსის დაკავებით, ცალსახად დაკავშირებულია მობილურობის პარამეტრების თანაფარდობაზე **λ<sub>h</sub>/μ<sub>h</sub>**. აქედან გამომდინარე, ამ პარამეტრების შესაბამისი ფორმირება საშუალებას მოგვცემს ვიწინასწარმეტყველოთ რადიოინტროფეისზე გადატვირთულობის წარმოქმნა.

განხილულ იქნა მობილურობის პარამეტრების ინტენსივობის ცვალებადობის ძირითადი სახეები. შემომავალი ჰენდოვერების შემთხვევაში, ეს არის **λ<sub>h</sub>** -ინტენსივობის ნახტომისებრი ცვალებადობა, რომელიც შეესაბამება უმარტივეს შემთხვევას, როდესაც შემომავალი ჰენდოვერების ინტენსივობა იცვლება ნახტომისებურად და მეორე - ინტენსივობის ცვალებადობის ხაზური კანონი - ფიჭაში შემავალი ჰენდოვერების ნაკადისათვის აღიწერება ხაზური კანონით. პირველი

შემთხვევა შეესაბამება რეალურ სიტუაციას, როგორიცაა მასობრივი დონისძიების დამთავრება და აბონენტთა ძირითადი მასის მოძრაობა ერთი მიმართულებით (მეტროს სადგური, ავტობუსის გაჩერება და ა.შ.), ერთ-ერთი ბაზური სადგურის გაუთვალისწინებელი დაზიანება, საპარავო ან მატარებლის რეისის მოულოდნელი გადადება და ა.შ.. მეორე შემთხვევას შეიძლება მივაკუთვნოთ დილის და სადამოს საათებში გზებზე “საცობების” წარმოქმნა, განსაზღვრულ დროს დამხვდურების თავმოყრა აეროპორტებში ან რკინიგზის სადგურებში. გამავალი ჰერცოვერების ინტენსივობის ცვალებადობა ასევე ხდება ნახტომისებურად ორი კანონით ე.ი. შემომავალი ჰერცოვერის ანალოგიურად, მაგალითად რომელიმე მასობრივი დონისძიების დამთავრების და აბონენტების ფიჭიდან შემდგომი გასვლით, “საცობების” წარმოქმნით და ა.შ. და ინტენსივობის ცვლილების უკუპროპორციული კანონით, “საცობის” თანდათანობითი “გაწოვისას”, უნივერსიტეტში მეცადინეობის დამთავრების და სტუდენტთა მეტროსკენ მოძრაობისას და ა.შ..

**GSM** სტანდარტის რეალურ ქსელებში გამოსაყენებლად თეორიული დასკვნების საფუძველზე განსაზღვრულ იქნა შემომავალი და გამავალი ჰერცოვერების ინტენსივობის ცვალებადობის აღმოჩენის ალგორითმის პარამეტრები. ნაჩვენებია, რომ **λ<sub>h0</sub>** პარამეტრის მნიშვნელობა ქალაქის პირობებში იცვლება 5-15 აბ./წმ-ში, ე.ი. ფიჭა ემსახურება დაახლოებით 8400-8500 აბონენტს. თუ დაგუშვებთ, რომ **λ<sub>h0</sub>=10**აბ./წმ-ში და გავითვალისწინებთ, რომ მიღებული შედეგები წარმადგენენ შემომავალი და გამავალი ჰერცოვერების მოთხოვნის მინიმალურ მნიშვნელობას, მიიღება, რომ ჰერცოვერის ინტენსივობის ცვლილების გადაწყვეტილების მიღებაზე აუცილებელი დაყოვნება შეადგენს 100-300წმ-ს. აღნიშნული დრო 3-4-ჯერ ნაკლებია იმ დროზე რა დროშიც წარმოიქმნება რეალურად შესამჩნევი გადატვირთულობა, ისეთი სიტუაციების დროს როგორიცაა “საცობები”, ავარია და ა.შ.. ამრიგად დამტკიცებულია, რომ ამოცნობის განხილული ალგორითმები, შეიძლება გამოყენებული იქნას **GSM** სტანდარტის მობილურ ქსელებში ჰერცოვერების ინტენსივობის შესაფასებლად, შემდგომში გადატვირთულობის წინასწარმეტყველების ალგორითმებში გამოყენების მიზნით. ნაჩვენებია, რომ ფიჭაში აბონენტთა

რაოდენობა, რომლებიც ახდენენ გამოძახების ინიცირებას მინიმუმ 1.5-2.5-ჯერ მეტია ვიდრე შემომავალი ჰენდოვერები.

შემოთავაზებულია გადატვირთულობის წინასწარმეტყველების ალგორითმები, როგორც ჰენდოვერის ინტენსივობის ნახტომისერურად ასევე ხაზური კანონით ცვალებადობის დროს. აბონენტთა მობილურობა ფიჭაში ქმნის დატვირთვის ცვალებადობის პროცესს საკმაოდ რთულს და საფეხურებრივს. შეიძლება გამოვყოთ ორი ეტაპი. პირველ ეტაპზე ხდება მოღელის იმ პარამეტრების ცვლილება, რომლებიც აღწერენ შემომავალი და გამავალი ჰენდოვერების ინტენსივობას. მეორე ეტაპზე, ამ პარამეტრების ცვალებადობიდან გამომდინარე, წარმოიქმნება გარდამავალი პროცესი, რომელიც აღწერს ფიჭაში აქტიური აბონენტების ახალ რაოდენობას. განხილული და დამტკიცებულია ორივე ეტაპის გამოყენების აუცილებლობა.

ნაჩვენებია, რომ შემომავალი ჰენდოვერების ნაკადის ინტენსივობის 20%-ით გაზრდისას, ანალიზის ინტერვალმა უნდა შეადგინოს 100-500წმ. პრაქტიკაში, გადატვირთულობის წინასწარმეტყველება განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფიჭებისათვის, რომლებიც ემსახურებიან ზონებს აბონენტთა დიდი აქტიურობით. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი სალაპარაკო ტრაფიკის მომსახორებისათვის გამოიყენება 40-45 ფიზიკური არხი. იმ შემთხვევაში, თუ საშუალო დატვირთვა თითოეულ აბონენტზე შეადგენს 7მეტლ. (მილიერდანგი), ფიჭის მომსახურებადი აბონენტების რაოდენობა (30%-იანი რეზერვის გავალისწინებით), მერყეობს 5000-ის ფარგლებში. პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე მაღალ ინტენსივობად ითვლება  $\lambda_{\text{h0}}=15\text{აბ./წმ-ში}$ . აქედან მოიძებნა შეფასების მნიშვნელობა **μ<sub>h0</sub>=1/500წმ.** გარდამავალი პროცესი ექვემდებარება ექსპონენციალურ კანონს მუდმივი დროით  $1/\mu_{h0}$ , რომლის მინიმალური მნიშვნელობა შეადგენს 500წმ., რაც დაახლოებით 1.7-5 ჯერ მეტია იმ დროზე რაც აუცილებელია ჰენდოვერში შემომავალი ნაკადის დამაჯერებელი შეფასების ფორმირებისათვის.

**დასგნაში** მოყვანილია ნაშრომის ძირითადი შედეგები.

## თავი 1. მობილური ქსელის ტეგადობის გაზრდის ოპციათა ანალიზი

### 1.1 შესავალი

ფიჭური კავშირის აპარატურის თითოეული მწარმოებელი კომპანია მოწყობილობის უშუალო მიწოდების გარდა მობილური კავშირის ოპერატორს პერიოდულად აწვდის განახლებულ პროგრამულ უზრუნველყოფას განსაზღვრული ოპციებით, რომელთა ნაწილის გამოყენება არაა აუცილებელი, მაგრამ მათი გამოყენება საშუალებას იძლევა გააუმჯობესოს რიგი ხარისხობრივი მაჩვენებლი. მათ მიეკუთვნება ოპციები, რომლებიც საბაზო სადგურის ლოგიკური პარამეტრების განსაზღვრული წესით აწყობისას, ზრდიან მობილური ქსელის ტეგადობას. ამ თავში მოყვანილია ასეთი ოპციები და მათი ანალიზი. უცილებელია აღინიშნოს, რომ განხილული ოპციები გვხვდება მობილური მოწყობილობის უმრავლესი მწარმოებელი კომპანიის პროგრამულ უზრუნველყოფაში, განსხვავებაა მხოლოდ დასახელებაში, ამიტომ ქვემოთ მოყვანილი მასალა არ არის დამოკიდებული აპარატურის ტიპზე და შეიძლება მივიჩნიოთ ზოგად აღწერად.

### 1.2 არსებულ ოპციათა კლასიფიკაცია და ანალიზი

ოპციების, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაიზარდოს მობილური ქსელის ტეგადობა, ძირითად ამოცანას წარმოადგენს, არსებული რესურსის რაც შეიძლება მეტი აბონენტისთვის მიწოდება, ამასთან დამატებითი აპარატურის (უმარტივეს შემთხვევაში – ტრანსივერი) გამოყენების გარეშე, შენარჩუნებული უნდა იქნეს ხარისხის მოცემული მაჩვენებელი. ამ ამოცანის გადაწყვეტა სხვადასხვაგვარად ხდება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმოადგენს ძირითად განმსაზღვრელ ნებატიურ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს მობილური ქსელის ხარისხობრივ ინტეგრაციურ მაჩვენებელზე.

ზოგადად, ნებისმიერი მობილური ქსელისათვის ყველაზე გავრცელებული პრობლემა საბაზო სადგურის ქვესისტემისათვის შეიძლება ორ სახეობად დაიყოს [75] :

1. საბაზო სადგურს არ ყოფნის რესურსი, რასაც მომსახურების დროს მივყავართ უარების დიდ რაოდენობასთან ან სხვა სიტყვებით, ქსელის გადატვირთულობასთან;

2. რადიო პრობლემები, ამ შემთხვევაში რაიმე მიზეზის გამო რადიოარხების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია (ინტერფერენცია, გარეშე ხელშესლები და სხვა).

იმის და მიხედვით რა წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს, ოპციები, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაზარდოს ქსელის ტევადობა, შეძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. ოპციები, რომლებიც ამცირებენ გადატვირთულობას, ე.ი. რომლებიც საშუალებას იძლევიან გადააანაწილოს ტრაფიკი მეზობელ ფიჭებს შორის. მათ მიეცუთვნება პენდოვერების განსაზღვრული სახეობები, Half Rate რეჟიმის და ქსელის იერარქიული სტრუქტურის გამოყენება;


2. ოპციები, რომლებიც ქსელში საშუალოდ ამცირებენ ინტერფერენციას. რასაც შეიძლება მივაკუთვნოთ სიხშირის ფსევდო ალბათური გადაწყობა, სიმძლავრის რეგულირება და ცვლადი გამოსხივება.

ჭეშმარიტად, როგორც პირველ ასევე მეორე შემთხვევაში, განსაზღვრული ოპციის გამოყენება იძლევა საშუალებას, მომსახურებადი აბონენტების რიცხვის ცვლილების გარეშე, გაუმჯობესდეს ხარისხის შესაბამისი მაჩვენებელი, ან მოვემსახუროთ მეტ აბონენტს ამ მაჩვენებლის ცვლილების გარეშე. უფრო დეტალურად განვიხილოთ თითოეულ ჯგუფში შემავალი ოპციები.

### 1.3 პენდოვერის პროცედურა

მობილური კავშირის ნებისმიერი ქსელის აშენება ხდება ეგრეთ წოდებული ფიჭების გადაფარვით. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ფიჭის მომსახურებად სექტორის ზონაში არსებობს სიგნალი საკმარისი დონით, რათა მემსახუროს მეზობელი სხვა ფიჭის აბონენტს. ქსელის ასეთი აგება საშუალებას იძლევა აბონენტის (მობილური ტერმინალის მატ) მომსახურება ერთი საბაზო სადგურიდან გადაეცეს სხვა საბაზო სადგურს მათი სივრცეში გადაადგილებისას (ნახ.1.1). განმარტება პენდოვერი შეესაბამება მობილური ტერმინალის მუშაობის აქტიურ რეჟიმს ე.ი.

მომსახურების გადაცემას საუბრის დროს. ნათელია. რომ სისტემა თვალყურს ადევნებს აბონენტის გადაადგილებას ლოდინის რეჟიმის დროსაც, მაგრამ ეს პროცედურა უფრო მარტივია და განსხვავდება პენდოვერისაგან [61,71]. პენდოვერის პროცესში მონაწილეობას იღებენ ქსელის შემდეგი კვანძები: მობილური ტერმინალი, საბაზო სადგური, კონტროლერი და იმ შემთხვევაში თუ პენდოვერი ხდება საბაზო სადგურებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა კონტროლერს, კომუტატორი.



**ნახ. 1.1 მობილური ტერმინალის მართვის გადაცემა**

ზოგადად განვიხილოთ ყველაზე მარტივი ეწ. კონტროლერს შიგნითა პენდოვერი, ე.ი. პენდოვერი ერთი კონტროლერის საბაზო სადგურებს შორის. მობილური ტერმინალი მართვის სპეციალურ არხში SACCH(Slow Associated Control Channel) ყოველ 480მლწ-ში გადასცემს მომსახურებად საბაზო სადგურში განსაზღვრული ფორმატის შეტყობინებას (Measurement report) ამ საბაზო სადგურიდან სიგნალის დონისა და ხარისხის შესახებ, ასევე 6 (ექვსი) მეზობელი საბაზო სადგურიდან სიგნალის დონის შესახებ, ე.ი. ამბობენ, რომ არსებობს ინფორმაცია სიგნალის დონის შესახებ ”ხაზზე ქვევით”, ან პირდაპირი მიმართულებით (საბაზო სადგურიდან მობილური ტერმინალისაკენ). სიგნალის ხარისხის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გათვლილია ბიტური შეცდომების საფუძველზე (BER), შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მომსახურებადი საბაზო სადგურისათვის. ხარისხი ფასდება ფარდობით ერთეულებში – 0-დან (საუკეთესო ხარისხი 7-მდე (ყველაზე ცუდი)). ამ

ერთეულების და BER-ის დამოკიდებულება მოყვანილია ცხრილ 1.1 -ში [35,73].

ცხრილი 1.1

სიგნალის ხარისხის მაჩვენებელი	BER-ის მნიშვნელობა
0	<0.2
1	0.2-0.4
2	0.4-0.8
3	0.8-1.6
4	1.6-3.2
5	3.2-6.4
6	6.4-12.8
7	<12.8

შემდეგ, საბაზო სადგური ზომავს მობილური ტერმინალიდან სიგნალს (კ.ი. „ხაზზე ზევით”, უკუ მიმართულებით), მას დაუმატებს მობილური ტერმინალიდან მიღებულ სიგნალს და ამ ინფორმაციას გადასცემს კონტროლერს, რომელიც მართავს პენდოვერის პროცესს.

გაზომვის მნიშვნელობების მიღების და ზღვრულ მნიშვნელობებთან, რომლებიც დგინდება ინდივიდუალურად თვითონეული საბაზო სადგურისა და კონტროლერისათვის, შედარების შემდეგ კონტროლერი იღებს გადაწყვეტილებას პენდოვერის მიზანშეწონილობის შესახებ. თუ გადაწყვეტილება დადებითია, მაშინ კონტროლერი გადასცემს რა შეტყობინებას CAM (Channel Activation message - არხის აქტივიზაციის შეტყობინება), აძლევს ბრძანებას „ახალ” საბაზო სადგურს სალაპარაკო არხის (TCH) გამოყოფის შესახებ. როგორც კი ამ საბაზო სადგურიდან მოვა დასტური სალაპარაკო არხის გამოყოფის შესახებ CAAM (Channel Activation Acknowledge message- არხის აქტივიზაციის აღიარების შეტყობინება), კონვენტორი ძველი საბაზო სადგურის გავლით გასცემს პენდოვერის ბრძანებას HC (Handover Command), რითაც მობილურ ტერმინალს აცნობებს ახალ სისტორეს, ტაიმ-სლოტის ნომერს და სიმძლავრის მნიშვნელობას, რომელზეც მობილურმა ტერმინმაღმა უნდა იმუშაოს (აღნიშნული დამოკიდებულია სიმძლავრის რეგულირების პროცედურაზე, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ). შემდგომში მობილური სადგური აეწყობა ახალ სისტორეზე და სპეციალური მართვის არხის საშუალებით –FACCH (Fast Associated Control Channel) აგზავნის “ახალ” საბაზო სადგურზე შეტყობინებას Handover Access message. „ახალი”

საბაზო სადგური აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ ინფორმაციას გადასცემს კონტროლერს პროცედურის შესრულების შესახებ, აგზავნის რა HO detection message ბრძანებას. მობილური ტერმინალიდან წარმატებული ჰენდოვერის სიგნალის მიღების შემდეგ HCM (Handover Complete Message) კონტროლერი ატყობინებს “ძველ” საბაზო სადგურს სალაპარაკო არხის დაქტივიზაციის აუცილებლობის შესახებ. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია ქსელის ყველა კვანძებს შორის სასიგნალო ფორმატის და ინფორმაციის მითითებით შეიძლება ნახოთ [31] ლიტერატურაში:

ზოგადად ჰენდოვერის მთლიანი პროცედურა შეიძლება დაგენერირდება ნაწილებად:

1. გაზომვის ჩატარება (მონაწილეობას იღებს როგორც მობილური ტერმინალი ასევე საბაზო სადგური);
2. გაზომვის შედეგების დამუშავება (მიღებული მნიშვნელობების გასაშუალება კონტროლერის მიერ). ჰენდოვერზე გადაწყვეტილების მიღება ხდება არა ერთჯერადი გაზომვეს შემდეგ, არამედ მათი გასაშუალების საფუძველზე, რითაც მიიღწევა მრავალრიცხოვანი ჰენდოვერების თავიდან აცილება სიგნალის გადაცემის მკვეთრად ცვალებადი გარემოს გამო, მაგალითად სწრაფი მიღევა.
3. გადაწყვეტილება ჰენდოვერის აუცილებლობის შესახებ. ხდება გაზომვების დამუშავებული (გასაშუალებული) მნიშვნელობების შედარება განსაზღვრულ (ზღვრულ) მნიშვნელობებთან, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს მართვის და მომსახურების ცენტრიდან. სწორედ ამ ეტაპზე მიიღება გადაწყვეტილება ჰენდოვერის აუცილებლობის შესახებ. თუ გადაწყვეტილება დადებითია იწყება შემდეგი ეტაპი – ყველაზე მისაღები მეზობელი საბაზო სადგურის ძებნა ანუ მეზობელი საბაზო სადგურების რანჟირება.
4. მეზობელი საბაზო სადგურების რანჟირება. ამ ეტაპზე, შემავალი ჰენდოვერისათვის ყველაზე უკეთესი საბაზო სადგურის დადგენის მიზნით, ხდება მეზობელი საბაზო სადგურების რანჟირება. ეს პროცესი საკმაოდ რთულია და მათი აღწერა განსაზღვრულია მწარმოებელი კომპანიების მიერ, როგორც კომფიდენციალური ინფორმაცია. ამიტომ მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. ავდნიშნავთ მხოლოდ, რომ

მხედველობაში მიიღება მრავალი ფაქტორი – მეზობელი საბაზო სადგურების სიგნალების დონეები, მათი დატვირთვის ხარისხი, პრიორიტეტები და ა.შ., მიმდინარეობს დასკვნითი ეტაპი – პენდოვერის შესრულება.

ვაჩვენოთ გაზომვებით მიღებული შედეგების გასაშუალების აუცილებლობა. დავუშვათ მობილური ორგანიზაციან საბაზო სადგურს გადაეცემა სიგნალი შემდეგი დონეებით (ცხრილი 1.2)


	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
სიგნალის დონე (გბმ)	-90	-88	-94	-97	-90	-85	-87	-104	-89	-87	-88	-94	-99	-100	-101

ესლა განვიხილოთ მნიშვნელობები „მცოცავი“ გასაშუალების ფანჯრით 8, 4 და 2, მივიღებთ ცხრილ 1.3-ს.

ცხრილი 1.3

სიგნალის საშუალო დონე, დბმ								-92	-92	-92	-91	-91	-92	-94	-95
				-92	-92	-92	-90	-92	-91	-92	-92	-90	-92	-95	-99
	-89	-91	-96	-94	-88	-86	-96	-97	-88	-88	-91	-97	-100	-101	

მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი ცხრილები წარმოვადგინოთ გრაფიკის სახით (ნახ.1.2).



ნახ. 1.2 „მცოცავი“ გასაშუალების პროცესი

დაგუშვათ რომ პენდოვერი სრულდება, თუ სიგნალის დონე ნაკლებია -95დბმ-ზე. მაშინ თუ ავირჩევთ გასაშუალების ფანჯარას 4 ან 8 ტოლად, ჩვენ შეიძლება გამოვრიცხოთ 4 ზედმეტი პენდოვერი იმ შემთხვევაში თუ გასაშუალების ფანჯარა იქნებოდა 2-ის ტოლი ან თუ საერთოდ არ გვექნებოდა გასაშუალება. ამრიგად გასაშუალების ფანჯრის არჩევა წარმოადგენს საკმაოდ რთულ ამოცანას, რომელიც მოითხოვს სიტუაციის დაწვრილებით ანალიზს და კომპრომისის მოძებნას ძალიან დიდ (მობილურმა ტერმინალმა შეიძლება ვერ მოასწროს პენდოვერი) და პატარა (ამ შემთხვევაში იზრდება პენდოვერების რიცხვი) გასაშუალების ფანჯრებს შორის.

ე.ი. პენდოვერის პროცედურა ემსახურება ორ მიზანს. პირველი – ყველაზე მნიშვნელობანი – სალაპარაკო სიგნალების უწყვეტი გადაცემა და მეორე – აბონენტის მომსახურების გადაცემა იმ ფიჭაზე, რომელსაც ამ მომენტში გააჩნია საუკეთესო პირობები, სიგნალის დონის ან დატვირთვის მიხედვით. აქედან გამომდინარე არსებობს პენდოვერის ორი ტიპი: სასწრაფო პენდოვერი და უკეთეს ფიჭაზი პენდოვერი [14, 16, 73]. დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ყველაზე ხშირ და მნიშვნელოვან სასწრაფო პენდოვერებს მიეკუთვნებიან პენდოვერები, რომლებიც წარმოიქმნებიან შემდეგი მიზეზის დროს:

1. სიგნალის მცირე დონე როგორც პირდაპირი ასევე უკუ მიმართულებით. აღნიშნული ტიპის პენდოვერის სწორად აწყობა გვაძლევს საშუალებას თავიდან ავიცილოთ სიტუაცია, როდესაც ძალიან დიდია ინტერფერენციის დონე და უკვე მნიშვნელოვანია სიგნალის შესუსტება (მილევა) და სიგნალის დონის უმნიშვნელო შემცირებაც (მილევაც) კი გამოიწვევს კავშირის გაწყვეტას.
2. სიგნალის ცუდი ხარისხი როგორც პირდაპირი ასევე უკუ მიმართულებით. ამ ტიპის პენდოვერი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ სიგნალის ხარისხის გაუარესება ჯერ კიდევ საკმარისი დონის პირობებში.
3. ინტერფერენცია როგორც პირდაპირი ასევე უკუ მიმართულებით. ეს პენდოვერი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც სიგნალს გააჩნია კარგი დონე და ცუდი ხარისხი, რაც გვიჩვენებს ხელშეშლების

არსებობას. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება კ.წ. შიდაფიჭური პენდოვერი, კ.ი. მობილური ტერმინალის მომსახურება გადაეცემა იგივე ფიჭის სხვა ტრანსივერს (თუ ფიჭას გააჩნია რამოდენიმე ტრანსივერი).

4. ძალიან დიდია მანძილი საბაზო სადგურსა და მობილურ ტერმინალს შორის. ეს პენდოვერი გვეხმარება თავიდან ავიცილოთ სიტუაცია, როდესაც რაიმე მიზეზის გამო და დროის რაღაც შუალედში, განსაზღვრულ ადგილას წარმოქმნილი სიტუაცია ისეთია, რომ შორეული საბაზო სადგურიდან სიგნალის დონე უკეთესია ვიდრე უახლოესი საბაზო სადგურიდან. ნათელია, რომ დროის რაღაც შუალედის შემდეგ, სიტუაცია შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს, ამ დროს მობილური ტერმინალი უბრალოდ ვერ მოასწრებს პენდოვერის შესრულებას და შეერთება გაწყდება.

უკეთესს ფიჭაში პენდოვერის ძირითად მიზეზს წარმოადგენს:

1. სიგნალის დონე მეზობელი საბაზო სადგურიდან უფრო დიდია ვიდრე სიგნალის დონე მომსახურებადი საბაზო სადგურიდან. ამ შემთხვევაში მობილური ტერმინალის მომსახურების გადაცემამ შიეძლება გაუმჯობესოს სიტუაცია ქსელში ინტერფერენციის თვალსაზრისით, რადგანაც მობილური ტერმინალი გაასხივებს სიგნალს ნაკლები სიმძლავრით, ამასთან შენარჩუნებული იქნება სალაპარაკო სიგნალის ხარისხის მოთხოვნილი დონე. ამ ტიპის პენდოვერი დამუშავდა იმისათვის, რომ ქსელის ოპტიმიზაციის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, მოეხდინათ ინტერფერენციის მინიმიზაცია, კ.ი. მობილურმა ტერმინალმა უნდა იმუშაოს იმ საბაზო სადგურთან, რომელიც უზრუნველყოფს გამოსხივების დონის შესაძლო მინიმალურ მნიშვნელობას, სალაპარაკო სიგნალის საკმარისი (დამაკმაყოფილებელი) ხარისხის დროს.
2. მომსახურებადი ფიჭის დატვირთვა დიდია, ხოლო მეზობელი ფიჭის კი მცირე, კ.ი. ჩვენ ხელოვნურად გამცირებოთ მაღალი დატვირთვის ფიჭის მომსახურების ზონას. დიდი მნიშვნელობა არა აქვს ამ ტიპის პენდოვერების დაშვებას ერთ ტრანსივერიან ფიჭების შემთხვევაში, რადგან არსებული რესურსი უბრალოდ არ იყოფა შემომავალი პენდოვერების მომსახურებას. ამის გარდა, როგორც წესი, ასეთი ფიჭის დატვირთვა თითქმის არასოდეს არაა მცირე.



3. 1800 მცირებული ფიჭაში სიგნალს გააჩნია საკმაო დონე. პენდოვერის ეს სპეციფიური ტიპი გამოიყენება მხოლოდ ორ სიხშირიან მობილურ ქსელებში. ე.ო. როდესაც არსებობენ ფიჭები 900 და 1800 მეგაჰერც (1710-1785 მც). და 1805-1880 მც) დიაპაზონიანი გადამცემებით. უფრო დაწვრილებით აღნიშნული პენდოვერი შემდგობში იქნება განხილული.

ნახ. 1.3-ზე სქემატურად ნაჩვენებია პენდოვერის ტიპის განსაზღვრის პროცედურა. მიღებულია შემდეგი აღნიშვნები: **RXX\_ZZ** – სიგნალის დონის გაზომილი გასაშუალებული მნიშვნელობაა (**xx=LEV/სარისხზე** (**xx=QUAL**) პირდაპირ (**zz=DL**)/უკუ (**zz=UL**) მიმართულებებში, **y\_RXxx\_zz\_nH** – ქვედა (**y=L0**)/ზედა (**y-U**) ზღვარია დონის მიხედვით (**xx=LEV/სარისხზე** (**xx=QUAL**) პირდაპირ (**zz=DL**)/უკუ (**zz=UL**) მიმართულებაში, **n**=1, მაშინ ეს ზღვარი გამოიყენება ინტერვერენციით გამოწვეული პენდოვერის განსასაზღვრად; **delta** – არის ზღვარი, პენდოვერისთვის საუკეთესო ფიჭაში [8, 12].

იდეალურ შემთხვევაში მობილურ ქსელებში უნდა არსებობდეს პენდოვერები საუკეთესო ფიჭებში. პრაქტიკაში ეს ასე არ არის. თითოეული ტიპის პენდოვერის წილი დამოკიდებულია ქსელის კონკრეტულ სიტუაციაზე და შეიძლება ძალიან მკვეთრად იცვლებოდეს ქსელის განვითარების პროცესში.

„ჩვეულებრივი” სხვადასხვა (ე.ო. ერთი ფიჭის არხის ტრაფიკიდან სხვა ფიჭის არხის ტრაფიკზე მობილური ტერმინალის მომსახურების გადაცემა) ტიპის პენდივერების გარდა არსებობს კიდევ ერთი სახის პენდოვერი, მას უწოდებენ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურას [52].

ამ შემთხვევაში მართვის არხი (**SDCCH**) მოინიშნება (დაკავდება) ერთ ფიჭაში (რომელსაც ტრაფიკის არხში აქვს გადატვირთულობა), ხოლო ტრაფიკის არხი (**TCH**) ნაკლებად დატვირთულ მეზობელ ფიჭაში, იმ პირობით, რომ მობილური ტერმინალი იმყოფება ამ ორი ფიჭის გადაფარვის ზონაში და ამ ფიჭის სიგნალის დონე საკმაროსია მობილური ტერმინალის მომსახურებისათვის (იხ. ნახ. 1.4)



ნახ. 1.4 “პირდაპირი გადადანი შნულება”

არსებობს “პირდაპირი გადადანიშნულების” ორი ტიპი:

1. “პირდაპირი გადადანიშნულება” პენდოვერის მიზეზით, ე.ო. როდესაც **SDCCH** არხში გამოძახების არსებობის მომენტში სრულდება რომელიმე ტიპის პენდოვერის პირობები და კონტროლერი გასცემს ბრძანებას ტრაფიკის არხის დანიშვნის შესახებ მეზობელ ფიჭაში;
2. “იძულებითი გადადანიშნულება”. ამ შემთხვევაში ტრაფიკის არხის გამოყოფა ხდება მომენტალურად თუ არსებობს საკმაო რაოდენობის ტრაფიკის თავისუფალი არხი, საკმარისი დონით, ე.ო. საკმარისია ერთდროულად შესრულდეს ორი პირობა:

$$\text{Nb\_free-TCH(n)}_{\text{meas}} > \text{Nb\_free-TCH(n)}_{\text{set}}, \quad (1.1)$$

სადაც

**Nb\_free-TCH(n)<sub>meas</sub>** – მეზობელ ფიჭაში ტრაფიკის თავისუფალი არხების რაოდენობაა (ფასდება სისტემის მიერ),

**Nb\_free-TCH(n)<sub>set</sub>** - ტრაფიკის არხების ის მინიმალური რიცხვია, რომლებიც უნდა იყვნენ თავისუფალი მეზობელ ფიჭაში (დგინდება თპერატორის მიერ), რათა შესრულდეს “პირდაპირი გადადანიშნულება”.

$$\text{Av\_signal\_lev} > \text{Signal\_lev}_{\text{min}}, \quad (1.2)$$

სადაც


**Av\_signal\_lev** – მეზობელ ფიჭაში სიგნალის საშუალო დონეა (გამოითვლება სისტემის მიერ),

**Signal\_lev<sub>min</sub>** – სიგნალის მინიმალური დონეა, რომელიც უნდა იყოს მეზობელ ფიჭაში, რათა მოხდეს “პირდაპირი გადადანიშნულება” (დგინდება თპერატორის მიერ) [68,70].

სიტყვა “იძულებითი” ნიშნავს იმას, რომ პენდოვერისთვის წინა პირობა არ არსებობს, მაგრამ იმისათვის რომ მოხდეს გამოძახების მომსახურება, სხვა ფიჭაში გამოიყოფა ტრაფიკის არხი, სადაც პირობები სიგნალის დონის მიხედვით შეიძლება იყოს უფრო ცუდი (უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ასე ხდება).

თვალსაჩინოებისათვის ნახ. 1.5-ზე ნაჩვენებია ფიჭური კაგშირის ქსელებში გამოყენებული პენდოვერის სახეობები. განხილული პენდოვერის ტიპები ყველაზე გავრცელებული არიან და გამოიყენება მშენებარე და განვითარებად მობილურ ქსელებში. მობილური ქსელის განვითარებასთან ერთად პირველ რიგზე გამოდის არამარტო დაფარვის გაუმჯობესება

არამედ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესაებაც. აღნიშნული საკითხების გადაჭრის მეთოდს წარმოადგენს ქსელის იერარქიული სტრუქტურის გამოყენება.




#### 1.4 პენდოვერის პროცედურა იერარქიული სტრუქტურის ქსელებში

იერარქიულ მობილურ ქსელებში მკაცრადაა განსაზღვრული ორი ტიპის ფიჭის არსებობა მიკრო ფიჭა (დაფარვის ზონა რადიუსით რამოდენიმე ასეული მეტრი) და მაკრო ფიჭა (დაფარვის ზონა რადიუსით რამოდენიმე კილომეტრი) [26,48]. ამასთან ერთად ფიჭის ტიპი განისაზღვრება არა მარტო მისი ფიზიკური პარამეტრებით, მომსახურების ზონის რადიუსიდან გამომდინარე, არამედ შესაბამისად აწყობილი ლოგიკური პარამეტრებითაც. მიკრო და მაკრო ფიჭების გამოყენება მიზანშეწონილია ოპტიმიზაციის პროცესის დროს ე.ი. უკვე განვითარებულ მობილურ ქსელში, კარგი დაფარვით, ამასთან ერთად ალაგ-ალაგ მჯიდრო ტრაფიკით. მიკრო ფიჭების გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო ხშირად გავიმეოროთ სიხშირეების გამოყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ გავზარდოთ სპექტრალური ეფექტურობა, რადგანაც მეზობელი მიკრო ფიჭები, რომლებიც იყენებენ ერთ სიხშირეს მინიმუმ ერთი მაკრო ფიჭითა გამოყოფილი. მიკრო ფიჭის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ე.წ. „ნელი”, ე.ი. მცირე სიჩქარით მოძრავი, აბონენტების მომსახურება, მაგ. ფეხით მისიარულე აბონენტები. შესაბამისად მაკრო ფიჭები

უზრუნველყოფები უწყვეტ დაფარვას და ემსახურებიან „სწრაფი“ აბონენტებს, მაგ. ავტომობილები (იხ. ნახ. 1.6), ასევე გამოიყენებიან მიკრო ფიჭები ექსტრემალური პენდოვერის დროს და მათი რესურსი შეიძლება დაგჭირდეს მიკრო ფიჭების გადატვირთულობის შემთხვევაში. მაგალითისათვის შეიძლება მივიყვანოთ ქალაქის ცენტრალური ქუჩა მაღაზიების და რესტორნების დიდი რიცხვით და სხვა. ამ შემთხვევაში მოძრავი ავტომობილების მომსახურება მოხდება მაკრო ფიჭებით, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ არა საჭირო პენდოვერები, რაც იმას ნიშნავს, რომ არ დაიტვირთება სისტემის სიგნალიზაცია და არ გაუარესდება გადასაცემი სალაპარაკო სიგნალის ხარისხი, ხოლო ფეხით მოსიარულე აბონენტების მომსახურება მოხდება – მიკრო ფიჭებით. საერთო პენდოვერების გარდა, რომელთა გამომწვევი მიზეზები მოყვანილია 1.2 პარაგრაფში, იერარქიული სტრუქტურის მობილურ ქსელებში გამოიყენება პენდოვერის სპეციალური განსაკუთრებული ტიპი, რომელიც შეესაბამება მხოლოდ ასეთ მობილურ ქსელებს და დაფუძნებულია მოძრავი აბონენტების სიჩქარის შეფასებაზე.

სისტემის მიერ იმის განსაზღვრა, რომელი აბონენტია „სწრაფი“ და მომსახურება უნდა განახორციელოს მაკრო ფიჭამ, და „ნელი“, რომლის მომსახურება შეასრულოს მიკრო ფიჭამ, არც თუ ისე მარტივია, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. ნაშრომების მთელი რიგია მიღვნილი ამ ამოცანის პერიოდის და ახალი მეთოდების



დამუშავებისადმი, განსაკუთრებით ადსანიშნავია [13,15,18,44,45,47,51] ნაშრომები. უნდა აღინიშნოს, რომ სიჩქარის შეფასების ყველა მეთოდისათვის საფუძველს წარმოადგენს დოპლერის ეფექტი [3,43]. შემდეგ, გამოიყენებენ რა არსებული ინფორმაციის დამუშავების სხვადასხვა მეთოდებს, მიიღებენ რაღაც შედეგს, რომელსაც ადარებენ მოცემულ დონესთან. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მობილური ტერმინალის სიჩქარის შეფასების მეთოდი რომელიც განხილულია [47] ლიტერატურაში. წინასწარ სრულდება სიგნალის ავტოკორელაციური ფუნქციის გამოთვლა, რომლის მნიშვნელობასაც ადარებენ განსაზღვრულ მნიშვნელობებს, რომელიც მიღებულია მოდელირების პროცესში. ვინაიდან სიგნალის სიმძლავრის სპექტრალური სიმკრივე შეიცავს ისეთივე ინფორმაციას, როგორსაც ავტოკოტრლაციის ფუნქცია, ასევე იმის საფუძველზე, რომ სიხშირის დოპლერული ნაზრდი სწრაფად მოძრავი ობიექტებისათვის მეტია, ვიდრე ნელა მოძრავი ობიექტებისათვის, ამიტომ კეთდება დაშვება ავტოკორელაციის ფუნქციის გათვლის აუცილებლობის შესახებ, რათა შეფასებული იქნეს მობილური ტერმინალის მოძრაობის სიჩქარე. პრაქტიკაში ასეთი ალგორითმი გამოყენებული იქნა კომპანია Nortel-ის მიერ. ტესტების შედეგებმა აჩვენა შემოთავაზებული ალგორითმების ეფექტურობა, როგორც არადისპერგირებული ასევე დისპერსიული არხებისათვის.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი მიეკუთვნება შემთხვევას, როდესაც მიკრო- და მაკროფიჭებში გამოიყენება ერთი და იგივე სიხშირე, მაგ. 900მჰც. ასევე შესაძლებელია ორდიაპაზონიანი ქსელის გამოყენება – ქსელი სადაც მუშაობენ ტრანსივერები თუ სხვადასხვა სიხშირულ დიაპაზონში, მაგ. 900მჰც და 1800მჰც. მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად ორდიაპაზონიანი ფიჭები შეიძლება არ იყვნენ მიკრო- და მაკროფიჭებად განსაზღვრული, მაგრამ ასეთი ფიჭებისაგან შედგენილი ქსელი, შეიძლება მივაკუთვნოთ იერარქიულ სტრუქტურას, რადგანაც აღნიშნულ დიაპაზონებში სიგნალის გავრცელების თავისებურებიდან გამომდინარე, 900მჰც დიაპაზონიან ფიჭებს გააჩნიათ მომსახურების დიდი ზონა (წარმოადგენენ მაკროფიჭას), 1800მჰც-იან ფიჭებთან შედარებით (მიკროფიჭა). ასეთი დაშვებისგან გამომდინარე ამ განყოფილებაში განვიხილოთ პენდოვერები თუ დიაპაზონიან მობილურ ქსელებში [4,28].


900მპც სიხშირულ დიაპაზონში სიხშირების გამოყენების შეზღუდვის პირობებში ორდიაპაზონიანი ქსელების აგება წარმოადგენს მაღალხარისხიანი ქსელების აგების ერთ-ერთ მეთოდს. გამომდინარე იქედან, რომ სიხშირე 1800მპც დიაპაზონში უფრო „სუფთაა”, ინტერფერენციის თვალსაზრისით, ასევე საქართველოში 900მპც-იანი რესურსის შეზღუდულობიდან გამომდინარე, აზრი აქვს მაქსიმალურად დაიტვირთოს ფიჭები 1800მპც დიაპაზონში, ე.ი. 900მპც-იანი ფიჭები გამოვიყენოთ დაფარვისათვის, ხოლო 1800მპც-იანი ტევადობისათვის. აქედან გამომდინარე მეორე მიდგომა – 1800მპც-იანი დიაპაზონი განისაზღვრება პრიორიტეტულად და კონტრულერზე დაფიქსირდება განსაზღვრული პარამეტრის შესაბამისი მნიშვნელობა. ამრიგად ამ მიდგომისას მნიშვნელოვანია ორივე დიაპაზონის ფიჭის თანამიმართულება, ე.ი. ერთი ფიჭის მომსახურების ზონა პირობითად მდებარეობს მეორის ქვეშ. (სხვადასხვა დიაპაზონის ანტენებს ერთიდაიგივე აზიმუტი გააჩნიათ). 1800მპც დიაპაზონიანი ფიჭის დატვირთვის ძირითად მეთოდს წარმოადგენს ჰენდოვერის სპეციალური ტიპი – ჰენდოვერი პრიორიტეტული დიაპაზონის ფიჭაში. ე.ი. მობილური ტერმინალი მუშაობას იწყებს 900მპც დიაპაზონიან ფიჭაში და შემდეგ სიგნალის საკმარისი დონის პირობებში ასეთებს ჰენდოვერს 1800მპც დიაპაზონიან ფიჭაში (იხ. ნახ. 1.7), ე.ი. უნდა შესრულდეს პირობა:

#### Avg\_level\_DCS>Threshold\_Level\_DCS,

სადაც **Avg\_level\_DCS** - 1800მპც დიაპაზინიან ფიჭაში სიგნალის საშუალო დონეა (იზომება სისტემის მიერ),

**Threshold\_Level\_DCS** - სიგნალის მინიმალური დონეა, რომელიც უნდა იყოს მეზობელ ფიჭაში, რათა შესრულდეს ჰენდოვერი (დგინდება ოპერატორის მიერ).

ასეთი მიდგომის ერთადერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს ჰენდოვერების რიცხვის გაზრდა, რასაც მივყავართ სისტემის სიგნალიზაციის დატვირთვასთან. რიგ შემთხვევებში **Threshold\_Level\_DCS** მნიშვნელობის წარუმატებელმა არჩევამ შეიძლება გამოიწვიოს ლაპარაკის დროს შეერთების გაწყვეტა, ამიტომ განსაკუთრებულად ფრთხილად უნდა მოხდეს ამ პარამეტრის განსაზღვრა.



ნახ. 1.7. ორდიაპაზონიანი ქსელი

### 1.5 ნახევარსიჩქარიანი კოდირება

რეალიზაციის თვალსაზრისით ნახევარსიჩქარიანი კოდირების (Half Rate) რეჟიმი წარმოადგენს ყველაზე მარტივ მეთოდს, რომელიც დამატებითი ტრანსივერების დაყენების გარეშე უზრუნველყოფს ქსელის ტევადობის გაზრდას. ეს რეჟიმი ითხოვს კონტროლერში და ტრანსივერებში ოპციის მხოლოდ ლოგიკურ აქტივობაციას (იგულიახმება, რომ ტრანსივერები მუშაობენ შესაბამის რეჟიმში და დანარჩენი მოქმედებები აპარატურის კონფიგურაციის შესახებ არსებობს). ამ რეჟიმის ფიზიკური არსი მდგომსარეობს იმაში, რომ გამოძახების დროს ტაიმ-სლოტი იყენებს არა ყველა ფრეიმს (როგორც ჩვეულებრივი კოდირების დროს Full Rate) არამედ ფრეიმის გამოტოვებით (იხ. ნახ. 1.8). ხშირ შემთხვევაში ასეთი წარმოდგენის სანაცვლოდ იყენებენ უფრო თვალსაჩინოს – ამბობენ, რომ ერთ ტაიმ-სლოტს იყენებს ორი აბონენტი (იხ. ნახ. 1.9).

იდეალურ შემხევაში ნახევარსიჩქარიანი კოდირება აორმაგებს მობილური ქსელის ტევადობას. პრაქტიკაში ასე არაა შემდეგი შეზღუდვების გამო. პირველი რიგში არსებობენ მობილური ტერმინალები, რომლებიც ვერ მუშაობენ ნახევარსიჩქარიანი კოდირებით, ე.ი. თუ თავისუფალია ტაიმ-სლოტების ნახევარი ასეთი აბონენტები მიღებენ უარს. მეორეს მხრივ ასეთი რეჟიმის გამოყენებამ შეიძლება გავლენა იქონიონ მობილური ქსელის სხვა კვანძებზე, მაგ. ტრანსკოდერები, კონტროლერები.

### ვრემი 1

ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ-  
სლოტი 0 სლოტი 1 სლოტი 2 სლოტი 3 სლოტი 4 სლოტი 5 სლოტი 6 სლოტი 7

FR#1		HR#1	FR#2	HR#2		FR#3	HR#3
------	--	------	------	------	--	------	------

### ვრემი 2

ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ-  
სლოტი 0 სლოტი 1 სლოტი 2 სლოტი 3 სლოტი 4 სლოტი 5 სლოტი 6 სლოტი 7

FR#1			FR#2			FR#3	HR#3
------	--	--	------	--	--	------	------

### ნახ. 1.8 ნახევარსიჩქარიანი კოდირება ფრეიმის გამოტოვებით

ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ- ტაიმ-  
სლოტი 0 სლოტი 1 სლოტი 2 სლოტი 3 სლოტი 4 სლოტი 5 სლოტი 6 სლოტი 7

FR#1	HR#1	FR#2	HR#2		FR#3	HR#3		

### ნახ. 1.9 ერთ ტაიმ-სლოტს იყენებს ორი აბონენტი

ტრანსივერი რეჟიმით **Half Rate** კონტროლერისთვის ეპვივალენტურია ორი ტრანსივერის რეჟიმით **Full Rate**.

რადგანაც ერთ კონტროლერზე ტრანსივერების რაოდენობა შეზღუდულია (კონფიგურაციიდან და მომწოდებლიდან გამომდინარე მათი რაოდენობა იცვლება 200 დან 2500 მდე), და როგორც წესი თადარიგი უნდა შეადგენდეს 30-40%, ამიტომ კონტროლერის ყველა ფიჭაში არ შეიძლება გავააქტიუროთ რეჟიმი **Half Rate**. ამიტომ **Half Rate** რეჟიმის გათვალისწინებით მობილური ქსელის პროექტირებისას არ უნდა ვიგულისხმოთ ტევადობის გაორმაგება. პრაქტიკაში მიზანშეწონილია ორიენტაცია გავაკეთოთ 20-30% ტრაფიკის წილზე რეჟიმში **Half Rate**.

თუ **Half Rate** რეჟიმის გამოყენების შეზღუდვა მეორე შემთხვევაში განპირობებულია მხოლოდ აპარატურით, პირველის გავლენა შეიძლება მინიმიზირებულ იქნას პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ცვლილებით. [19] ლიტერატურაში განხილულია გამოძახებების ტაიმ-სლოტების მიხედვით დაჯგუფების ძირითადი ალგორითმები, კოდირების გამოყენებული რეჟიმიდან დამოკიდებულებით. აპარატურის უმრავლესი მწარმოებლები იყენებენ ალნიშნულ ალგორითმებს, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მიდგომა:

2. გადაფუთვა: მისი არსი მდგომარეობს შემდეგში, მას შემდეგ რაც დაინიშნება (აირჩევა) სალაპარაკო არხი (მაგ. პირველი მეთოდის გამოყენებით) სისტემა თავიდან იცილებს “ხვრელების” წარმოქმნას, გადაადანიშნულებს რა გამოძახებების ტაიმ-სლოტებს **Half Rate** რეჟიმში. ე.ი. ამ შემთხვევაში ყველა გამოძახებები **Half Rate** რეჟიმში გადაიფუთვება ისეთნაირად, რომ ტაიმ-სლოტები, რომლებშიც უკვე იყვნენ გამოძახებები **Half Rate** რეჟიმში, გამოყენებულნი იქნან სხვა გამოძახებებისთვის იგივე რეჟიმში. აშკარად, რომ ამ პროცედურას მივყავართ შიდა ფიჭური პენდოვერების რიცხვის გაზრდასთან. იმისათვის, რომ შევარბილოთ ეს ნეგატიური პროცესი გადაფუთვა შეიძლება გამოყენებული იქნეს არა მთელი დროის განმავლობაში, არამედ მხოლოდ **Full Rate** რეჟიმში შემოსული გამოძახების დროს.

ამრიგად, **Half Rate** რეჟიმის გამოყენება საშუალებას გვაძლევს საკმაოდ მაღტიგად გაგზარდოთ მობილური ქსელის ტევადობა (მოწყობილობის საკმარისი რესურსის პირობებში), მაგრამ არსებობს ნეგატიური მომენტი, უარესდება ლაპარაკის ხარისხი. ეს გამოწვეულია შიდა ფიჭური პენდოვერების რაოდენობის გაზრდით, ასევე სუფთა ფიზიკური მოსაზრებითაც, რადგანაც ნახევარსიჩქარიანი კოდირების დროს ორჯერ მცირდება კოდირების სიჩქარე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ **Half Rate** რეჟიმი წარმოადგენს მობილური ქსელის გადატვირთულობის შემცირების ეფექტურ მეთოდს, მაგრამ მობილურ ქსელში ყველგან მისი გამოყენება ზემოთგანხილული შეზღუდვების გამო არ წარმოადგენს მიზანშეწონილს.

### 1.6 სიჩქარის ფსევდოალბათური გადაწყობა

წინა პარაგრაფებში განხილული ოპციები, რომლებიც ზრდიან მობილური ქსელის ტევადობას, მიეკუთვნებიან პირველ ჯგუფს (იხ. 1.2), ე.ო. ისინი საშუალებას იძლევიან მობილურ ქსელებში შეამცირონ გადატვირთულობა და როგორც წესი გამოიყენებიან განვითარებად მობილურ ქსელებში, სადაც რესურსების არასაკმარისი რაოდენობა გადამწყვეტ როლს თამაშობს. მობილური ქსელის განვითარებასთან ერთად და მშენებლობის თვალსაზრისით სტაბილური სიტუაციისას პირველ ადგილზე გამოდის რადიოპრობლემები, ე.ო. აუცილებელია გადაიჭრას ინტერფერენციის შემცირების ამოცანა და გამოყენებულ იქნეს ის ოპციები, რომლებიც მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან. განვიხილოთ სიხშირის ფსევდოალბათური გადაწყობა (სვაბ).

სტანდარტის [34,40] შესაბამისად ყველა მობილურ სადგურში რეალიზებულია სვაბ-ის ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ შეზღუდვები მისი გამოყენებისას იმ თვალსაზრისით, რომ აბონენტები ვერ შეძლებენ მუშაობას, არ არსებობს. სვაბ-ის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს სიხშირული დაშორიშორება, რაც თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს ეფექტურად ვებრძოლოთ ხელშეშლებს და შერჩევით მიყენებებს სხვადასხვა სიხშირეზე.

სვაბ-ის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში, თითოეული მობილური ტერმინალი ტაიმ-სლოტში აწარმოებს ლაპარაკის გადაცემას იმ სიხშირეზე, რომელიც განისაზღვრება ფსევდოალბათური მიმდევრობის გენერაციის ალგორითმით. სხვა სიხშირეზე გადასვლა ხორციელდება იმ დროის შუალედში რომელიც მდებარეობს ერთი **TDMA (Time Division Multiple Access – დროში დაყოფილი მრავალჯერადი შეღწევა)** ფრეიმის ტაიმ-სლოტის დასაწყისსა და მის შემდეგ მომავალი ფრეიმის ტაიმ-სლოტის დაწყებას შორის. სიხშირის გადაწყობის დასაშვები დრო

დაახლოებით შეადგენს 1მწ. სვაბ-ში გამოყენებული ფსევდოალბათური მიმდევრობა ერთი ფიჭის ფარგლებში წარმოადგენს ორთოგონალურს და დამოუკიდებელია სხვადასხვა ფიჭებიდან. სვაბ-ის რეალიზაციისათვის მობილურ ტერმინალს უნდა გააჩნდეს შემდეგი ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა მართვის სპეციალურ არხში BCCH (**Broadcast Control Channel**)

- გადაცემის ლოგიკური მართვის არხი): სვაბ-ისათვის სისტირული ნაკრები, ფსევდოალბათური მიმდევრობის ნომერი, რომელიც გამოიყენება მოცემულ ფიჭაში და დაძვრის ინდექსი ფსევდოალბათურ მიმდევრობაში (იმ მობილური ტერმინალების განცალკავებისათვის, რომლებიც იყენებენ სვაბ-ის ერთი და იგივე შენაკრებს). არსებითია, რომ ფიქსირებულ სისტირეზე მუშაობა (მუშაობის ჩვეულებრივი რეჟიმი) წარმოადგენს სვაბ-ის კერძო შემთხვევას და შედის ნებისმიერი მობილური ტერმინალის მუშაობის ალგორითმში.

არსებობს სვაბ-ის ორი რეჟიმი:

1. BBH (Base Band Hopping – საბაზო ზოლის გადაყვანა) სვაბ-ი - სისტირის ფსევდოალბათური მიმდევრობის რეალიზაციისათვის გამოიყენება რამოდენიმე გადამცემი, რომლებიც მუშაობენ ფიქსირებულ სისტირეზე. არსებითია, რომ სისტირეების რიცხვი შეზღუდულია ფიჭაში არსებული გადამცემების რიცხვით. მითუმეტეს ამ რეჟიმს გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობა – შეიძლება გენერირდეს (გასხივდეს) სხვადასხვა სიმძლავრის ფსევდოალბათური მიმდევრობის სისტირე. ე.ი. მოცემულ სისტირეზე არსებული შეზღუდვა არ განსაზღვრავს მთელი მიმდევრობის მაქსიმალურ სიმძლავრეს.
2. SFH (Synthesizer Frequency Hopping – გადაწყვობის სისტირის სინთეზატორი ) სვაბ-ი - სისტირის ფსევდოალბათური მიმდევრობის რეალიზაციიათვის გამოიყენება ერთი გადამცემი არსებობა. ამასთან ერთად, გამოსხივებული სიმძლავრის მაქსიმალური სიმძლავრე განისაზღვრება იმ შეზღუდვებით, რომელიც წაყენებული აქვს იმ სისტირეებს, რომლებიც შედიან ფსევდოალბათურ მიმდევრობაში.

გამოყენებული რეჟიმის მიუხედავად სვაბ-ის ძირითად მიზანს წარმოადგენს საშუალოდ მობილურ ქსელში ინტერფერენციის

მინიმიზაცია. თუ რომელიმე მობილურ ტერმინალზე განსაზღვრულ სისშირეზე მოქმედებს ხელშეშლა, მაშინ სტანდარტული რეჟიმის დროს მასზე მოქმედებს ხელშეშლა მთელი სიანსის დროს. სვაბ-ის გამოყენების დროს კი მობილური ტერმინალი განიცდის ხელშეშლის მოქმედებას მხოლოდ დროის გარკვეული შუალედში (იხ. ნახ. 1.10). ამრიგად მობილური ტერმინალისათვის, რომლებიც განიცდიან ხელშეშლების მნიშვნელოვან გავლენას, სიტუაცია უძლობესდება, ხოლო მობილური სხვა ტერმინალებისათვის შეიძლება გაფუჭდეს კიდეც. ამით მიიღწევა ინტერფერენციული სიტუაციის გაუმჯობესება საშუალოდ მობილურ ქსელში. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ოპციის გაქტიურებას ცალკეულ მობილურ ტერმინალებში აზრი არა აქვს.

**მტ1 – სელშეშლის მოქმედების ობიექტი, რომელიც მუშაობს f1  
სისშირეზე**

მთ2 – ხელშემდის წყარო, რომელიც მუშაობს f1 სიხშირეზე

## გთხოვთ გავლენა მს1-ზე

მტ1 – ხელშეშლის მოქმედების ობიექტი, რომელიც მუშაობს f1,f2,f3 სიხშირეზე სვაბ-ით

f1 f2 f1 f3 f2 f3 f2 f1 f2 f3 f2 f1 f3 f2 f1 f3 f1 f3 f2 f3

f1	f3	f2	f1	f2	f1	f3	f2	f1	f2	f1	f3	f1	f2	f3	f1	f2	f3	f1	f2
----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

\_\_\_\_\_

002-06 გვერდის 001-6:

X                    X                    X                    X                    X

## სახ. 1.10 სტაბის პროცედურა

სვაბ-ის უფეხტი მიიღევა იმ შემთხვევაში, თუ ის გამოიყენება  
მობილური ქსელის მნიშვნელოვან ნაწილში (არა ნაკლებ 15-20 მობილური  
სადგური). აღნიშნული ოპცია მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული  
მობილური ქსელის დაგეგმარების დროს, რაც წარმოადგენს როგორ  
საკითხს და მოითხოვს ცალქე განხილვას. ავღნიშნოთ მხოლოდ სვაბ-ის  
მუშაობაზე გავლენის ძირითადი ფაქტორები: სვაბ-ის დროს

გამოყენებული სიხშირეების რიცხვი და დაშორება სიხშირეებს შორის, მობილური ქსელის დატვირთვა და მისი სიხშირული გეგმა.

## 1.7 სიმძლავრის რეგულირება


ისევე, როგორც წინა პარაგრაფში განხილული სვაბ-ი, სიმძლავრის რეგულირება საშუალებას იძლევა მობილურ ქსელში შევამციროთ ინტერფერენცია. ამ ოპციის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს მობილურ ტერმინალსა (A აბონენტი) და მობილური ტერმინალის (B აბონენტი) გასხივების ის მინიმალური სიმძლავრე, რომლის დროსაც შენარჩუნებული იქნება შეერთების მოთხოვნილი ხარისხი [42,46]. [35] – ის თანახმად სიმძლავრის რეგულირება წარმოადგენს ოპციონალურს და დამოუკიდებლად შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პირდაპირ, ასევე უკუ მიმართულებით. როგორც პენდოვერის დროს ამ ოპციის მუშაობა დამყარებულია სიგნალის დონის გაზომვის შედეგზე, მის ხარისხზე და შემდგომში მის შედარებაზე მოცემულ ზღვრულ მნიშვნელობასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ კონტროლერი ასრულებს დაახლოებით იგივე ოპერაციებს. თუ **U\_xx\_UL\_P** (ზედა ზღვარი) აწეველია, მაშინ მობილური ტერმინალის გასხივებული სიმძლავრე მცირდება და თუ გაზომვებით მიღებული გასაშუალებული მნიშვნელობა დაბლაა ვიდრე **L\_xxUL\_P** (დაბალი ზღვარი), გასხივებული სიმძლავრე იზრდება. ანალოგიური პროცედურა სრულდება საბაზო სადგურისათვის. ნამ. 1.11 მოცემულია დიაგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა აღწერილ იქნას სიმძლავრის რეგულირების მუშაობის აღგორითმი. ამ ნახაზზე მიღებულია შემდეგი აღნიშვნები – **y\_RXxx\_zz\_P** – დაბალი ( $y=L$ /მაღალი( $y=U$ ) ზღვარი დონის მიხედვით

**( $xx=LEV/ხარისხზე$  ( $xx=QUAL$ )) პირდაპირ მიმართულებაში( $zz=DL$ )/უკუ( $zz=UL$ )**

მიმართულებაში( $zz=DL$ )/უკუ( $zz=UL$ ) მიმართულებაში [7].

სიმძლავრის რეგულირება საბაზო სადგურსა და მობილურ ტერმინალში ხორციელდება ბიჯით 2დბ. ამასთან ერთად საბაზო სადგურში არხის სიხშირე BCCH არ ეჭვემდებარება რეგულირებას, რადგანაც ამ არხმა ყოველთვის უნდა გაასხივოს მაქსიმალურ შესაძლო სიმძლავრე. მობილური ტერმინალისათვის არსებობს რეგულირების 16 დონე: 0-დან (43დბ) 15-დე(13დბ). საბაზო სადგურსა და მობილურ ტერმინალისათვის შესაძლო გასხივებული მაქსიმალური სიმძლავრე

განისაზღვრება მინიმუმ თრი სიდიდით – მოცემული ფიჭისათვის გასხივების დასაშვები დონით და ტერმინალის კლასით (იხ. ცხრილი 1.4) [7].



Georgo 1.4

სადგურის კლასი	მაქსიმალური გასხივებული სიმძლავრე	მაქსიმალური გასხივებული სიმძლავრე
	მოძილური ტერმინალი, გზ (დმმ)	საბაზო სადგური, გზ
1	20 (43)	320
2	>8 (39)	160
3	>5 (37)	80
4	>2 (33)	40
5	>0.8 (29)	20
6	-	10
7	-	5
8	-	2.5

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიმძლავრის რეგულირების პროცესი წინ უსწრებს პენდოვერის პროცესს, ა.ი. ჯერ სისტემა ცდილობს იგივე ფიჭაში ხარისხიანი შეერთების შესანარჩუნებლად მაქსიმალურად

გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა (ყველა ოპცია) და მხოლოდ ამის შემდეგ ფიჭის შეცვლაზე იღებს გადაწყვეტილებას. ამასთან ერთად ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჯერ გაიშვება სიმძლავრის რეგულირების პროცესი და შემდეგ კი ჰქონდოვერი, სისტემის შიგნით გამოთვლები ალგორითმების ეფექტური მუშაობისათვის მომდინარეობს პარალელურად. აქედან გამომდინარე ჰქონდოვერისათვის და სიმძლავრის რეგულირებისათვის ლოგიკური პარამეტრების მნიშვნელობები აირჩევა ისეთნაირად, რომ ადრე მოხდეს ბოლო ოპცია ამუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს შეერთებების წყვეტის რაოდენობა.

## 1.8 ცვლადი გასხივება

როგორც ნაჩვენებია [7] -ში, ჩვეულებრივი საუბრის დროს არხი ორივე მიმართულებით საშუალოდ დაკავებულია მხოლოდ დროის 50%-ის განმავლობაში. ცვლადი გასხივება (DTX-Discontinuous Transmission mode-ცბ) - ეს მუშაობის ისეთი რეჟიმია, რომლის დროსაც გადამცემები მუშაობენ მხოლოდ საუბრის გადაცემის დროს. აქედან გამომდინარეობს ცბ რეჟიმისის გამოყენების ორ ძირითადი უპირატესობა:

1. მობილურ ქსელში საშუალოდ ინტერვერენციის შემცირება;
2. მობილური ტერმინალის მიერ მოხმარებული ენერგიის შემცირება.

რადგანაც ცბ რეჟიმის გააქტიურება დამოუკიდებლად ხდება როგორც პირდაპირ ასევა უკუ მიმართულებით, ამიტომ ზემოთ აღნიშული ორი უპირატესობის რეალიზაცია შესაძლებელია, თუ ეს რეჟიმი მუშაობს ერთდროულად ორივე მიმართულებაში.

საუბარში მონაწილე ერთერთი მობილური ტერმინალის გადამცემის გათიშვის დროს, ტრანსკოდერი ახდენს ე.წ. კომფორტული ხმაურის გენერირებას, რათა მეორე აბონენტმა, ცბ რეჟიმისის მუშაობის დროს პაუზა არ ადიქვას მოსაუბრებისთან კავშირის დაკარგვად. ამასთან ერთად ცბ რეჟიმისის გამოყენებას გააჩნია შემეგი ძირითადი უარყოფითი მხარეები:

1. რადიო გაზომვების მცირე სიზუსტე. გათიშული ცბ რეჟიმისის დროს მონაცემების შეფასების რაპორტი MR (measurement report) ფორმირება ხდება 100 ფრეიმის საფუძველზე (96 სალაპარაკო და 4 SACCH (Slow Associated Control Channel - ფრეიმი) ან 52 ფრეიმის საფუძველზე (48

სალაპარაკო და 4 SACCH ფრეიმი) ნახევარ სიჩქარიანი კოდირების დროს. ცბ რეჟიმისის გამოყენების შემთხვევაში measurement report-ის მონაცემების ფორმირება ხდება მხოლოდ 12 ფრეიმით (8 სალაპარაკო და 4 SACCH ფრეიმი) [37,39];

2. კ.წ. ორმაგი კლიპინგი – საუბრის დასაწყისში და ბოლოში ლაპარაკის ნაწილის ამოჭრა. ეს წარმოიშვება სისტემის მუშაობის განსაზღვრული ინერციულობით, რადგანაც აუცილებელია განისაზღვროს საუბრის დაწყება და ჩაირთოს გადამცემი, რასაც თავის მხრივ მივყევართ აბონენტის მიერ სალაპარაკო სიგნალის ხარისხის აღქმასთან.

პირველ უარყოფით მხარეები შეიძლება მიგვიყვანოს პენდოვერების რიცხვის გაზრდასთან, რადგანაც ამ შემთხვევაში გაზომვების მცირე რაოდენობას, მაგალითად, ცუდი ხარისხით გააჩნია მეტი წონა და შესაბამისად ზრდის ცუდი ხარისხის მიზეზით პენდოვერის წარმოქმნის ალბათობას.

რაც შეეხება მეორე უარყოფით მხარეს, სწორედ მან გამოიწვია ის რეჟიმი გამხდარიყო ოპციონალური. ცბ რეჟიმისის და მობილური ქსელის შესაბამისი კვანძების მუშაობის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ [37,39] -ლიტერატურიდან.

### 1.9 დასკვნები პირველ თავთან დაკავშირებით

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია ოპციათა შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ოპციები, რომლებიც ამცირებენ მობილური ქსელის გადატვირთულობას, კ.ი. რომლებიც საშუალებას იძლევიან ტრაფიკი გადანაწილდეს მეზობელ ფიჭებს შორის (პენდოვერის ზოგიერთი სახეობა, ნახევარ სიჩქარიანი კოდირების გამოყენება, მობილური ქსელის იერარქიული სტრუქტურის გამოყენება);
2. ოპციები, რომლებიც ამცირებენ ინტერფერენციას საშუალოდ მობილურ ქსელში (სისშირის ფსევდო ალბათური გადაწყობა, სიმბლავრის რეგულირება და ცვლადი გასხივება).

მობილური ქსელის განვითარების საწყის ეტაპზე, როდესაც ქსელის ტევადობის უკმარისობა წარმოადგენს მთავარ პრობლემას, და აქედან გამომდინარე არსებობს მობილური ქსელის გადატვირთულობა,

მიზანშეწონილია გამოვიყენოთ და შესაბამისად ავაწყოთ პირველ ჯგუფში არსებული ოპციები. შემდგომში, ოპტიმიზაციის პროცესში, როდესაც რადიო პრობლემები ხდება ძირითადი, აზრი აქვს დიდი ყურადღება მიექცეს მეორე ჯგუფში შემავალ ოპციებს.

პრაქტიკული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პირველ ჯგუფში შემავალი ოპციები, რადგანაც სწორედ მათი გამოყენება გვაძლევს განსაკუთრებით შესამჩნევ შედეგს, როგორც ტექნიკური ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ოპერატორებს ყველაზე მეტი თავისუფლება გააჩნიათ “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურების აწყობისას, მაგრამ დღეისათვის ლოგიკური პარამეტრების მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ოპციის მუშაობას, აირჩევა იმ კონკრეტული ინჟინრების გამოცდილებიდან, რომლებიც დაკავებული არიან ოპტიმიზაციით, ე.ი. არ არსებობს მათემატიკურად დასაბუთებული მიდგომა. აქედან გამომდინარე შემდგომში უნდა გადაწყდეს ანალიტიკური დამოკიდებულების მოძებნის ამოცანა, რომელიც საშუალებას მოგვცემს დასაბუთებულად მიუდგეთ “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურების აწყობას.

ამასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აწყობას არა სტატიკურ არამედ დინამიურ რეჟიმში. ამისათვის აუცილებელია განისაზღვროს გადატვირთულობების წინასწარმეტყველების მოდელის პარამეტრები და გათვალისწინებული უნდა იქნეს არსებული რესურსის გადანაწილება სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის, რაც წარმოადგენს შემდგომში გადასაწყვეტ ამოცანას.

**თავი 2. ფიჭური კავშირის ქსელებში ხარისხის შეფასების  
მეთოდები. ტევადობის გაზრდის ოპციათა გავლენის  
ანალიზი ქსელის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებელზე**

## 2.1 შესაგალი

მობილური ქსელების ექსპლუატაციის პროცესში არა მარტო ისმება ამოცანა კურადღება მექქეს მისი ელემენტების მუშა მდგომარეობას – კონტროლერების, კომუტატორების და საბაზო სადგურების დონეზე, არამედ მუდმივად განხორციელდეს ხარისხის ძირითადი მაჩვენებლების მონიტორინგი, რომლებიც განსაზღვრული ხარისხით ახასიათებენ აბონენტების მიერ მიწოდებული მომსახურების აღქმას. აღნიშნულ თავში განიხილება მობილური ქსელების ხარისხის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, განსაზღვრული იქნება მობილური ქსელის ხარისხის ძირითადი მაჩვენებლები, რომელიც გამოითვლება მიღწევადი სტატისტიკური ინფორმაციით, რომელიც შეგროვილია მობილური ქსელის საბაზო სადგურების ქვესისტემებზე, მოცემულია პირველ თავში განხილული თითოეული ოპციის მობილური ქსელის ხარისხობრივ მახასიათებლებზე გავლენის შეფასება, გაანალიზებულია არსებული ოპციების გამოყენების ეფექტურობა და მოცემულია მათი გამოყენების რეკომენდაციები.

## 2.2 ფიჭური კავშირის ქსელების ხარისხის შეფასების მეთოდები

ფიჭური ბაზრზე კონკურენციის პირობებში ნებისმირმა ოპერატორმა უცილებლად უნდა იცოდეს რა დონეზე იმყოფება მის მიერ შეთავაზებული მომსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერატორს არ ეცოდინება აბონენტების მისი მომსახურებით კმაყოფილების ხარისხი და დიდი ალბათობით მოსალოდნელია კონკურენტული პაექრობის წაგება. მობილური ქსელის ცალკეული ელემენტების უწყვეტი მუშაობა ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას. არსებითია, რომ შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც მობილური ქსელის ელემენტების მუშაობის თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ მომსახურება მიეწოდება არასაკმარისი ხარისხით.

იმისათვის რომ შეფასდეს მობილური ქსელის ხარისხი აუცილებელია შემოღებულ იქნას ესა თუ ის კრიტიკუმი. პრაქტიკაში უმრავლეს შემთხვევაში შაფასება ხორციელდება ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრული ნაკრებით. ამის განხორციელება შეიძლება რამოდენიმე მეთოდით. პირველი მათ შორის ნათელია არის ტესტური გამოძახებების შესრულება ე.ო. მაგ. იდებენ ორ მობილურ ტელეფონს და მათი

დასმარებით მუდმივობის საფუძველზე ანხორციელებენ გამოძახებებს. ამასთან ერთად გამოძახებები შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი: მობილურ ქსელში შეღწევის ალბათობის შასაფასებლად გამოძახებები უნდა იყოს მოკლე, ე.ი. საუბრის ხანგრძლიუბა უნდა იყოს 5-10წ-ის ფარგლებში. საუბრის ხარისხის შესაფასებლად გამოძახებები უნდა იყოს გაცილებით დიდი ხანგრძლიობის – რამოდენიმე წუთის ფარგლებში. გასაგებია, რომ ამ რეჟიმით შეიძლება შევამოწმოთ შეერთებები, როგორც “მობილური ტერმინალი- მობილური ტერმინალი”, ასევე “მობილური ტერმინალი-ქალაქის ნომერი”. ბუნებრივია, რომ თუ სატესტო მობილური აპარატები დაფიქსირებულია, ე.ი. არ გადაადგილდებიან, მაშინ ჰენდოვერების პროცედურების მუშაობის კორექტულობის შამოწმება შეუძლებელია, ასევე ამ შემთხვევაში ფასდება მობილური ქსელის დაუშვებლად მცირე მონაკვეთი, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ვიმსჯელოთ მთელი ქსელის შესახებ. ამიტომ პრაქტიკაში გამოიყენება მოდიფიცირებული მიღგომა და მასზე დაფუძნებული შეფასება. ეს არის ეწ. დრაივ-ტესტი ანუ შემოვლები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ მობილური კავშირის ყველა ოპერეტორი. ფიზიკურად ესაა მოძრავი გამზომი ლაბორატორია, ე.ი. ავტომანქანა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე გამზომი კომპლექსებით. ეს კომპლექსები საშუალებას იძლევიან შეფასებულ იქნას მობილური ქსელის სხვადასხვა პარამეტრები – მიღწევადობა, რადიოარხის ხარისხი, სიგნალის დონე, რომელსაც მობილური ტერმინალი დებულობს საბაზო სადგურიდან, ჰენდოვერის პროცესის განხორციელების წარმატებულობა (ამ ამოცანების გადასაწყვეტად Ericsson-ის და Agilent-ის კომპანიებში ყველაზე გავრცელებულ კომპლექსს წარმოადგენს TEMS), ასევე ლაპარაკის ხარისხის უშუალო შეფასება (მაგ. კომპანია Ascom-ის კომპლექსი Qvoice). აღნიშნული მეოთხის უპირატესობა მდგრმარეობს იმაში, რომ მიღებული შეფასება ძალიან ახლოსაა აბონენტის რეალურ აღქმასთან. ამასთან ერთად გააჩნია რიგი უარყოფითი მხარეები. ძირითადია: მაღალი ღირებულება (აპარატურა ღირს საკმაოდ ძვირი, აუცილებელია მომზადებული პერსონალი, რომელიც მუდმივად მას მოემსახურება); ანათვლების რეპრეზენტატიულობისათვის და მიღებული შედეგების მთელ ქსელზე ექსტრაპოლაციისათვის აუცილებელია ყოველდღიურდ განხორციელდეს

რამოდენიმე ათასეული გამოძახება; მიმღები ანტენები განთავსებულია ავტომობილის სახურავზე, შემოვლა ხორციელდება სავტომობილო გზით, ამიტომ სიტუაცია შენობის შიგნით, ეზოებში უმრავლესს შემთხვევაში უცნობია. ამრიგად მობილური ქსელის ხარისხის შეფასების ეს მეთოდი წარმოადგენს მონიტორინგის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი დამატებითი.

მეორე მეთოდს წარმოადგენს ქსელის სხვადასხვა ინტერფეისებს შორის “ტრასირების” (ქსელის ელემენტებს შორის სასიგნალო შეტყობინება) დამუშავება. ეს საშუალებას გვაძლევს არა მარტო მოვახდინოთ ქსელის მდგომარეობის შეფასება, არამედ უმრავლეს შემთხვევაში გავარკვიოთ ამა თუ იმ პრობლემის მიზეზი, რომლებმაც გამოიწვიეს მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუარესება. თანამედროვე პირობებში უმრავლეს შემთხვევებში ანალიზდება ტრასირება **A-** (კონტროლერსა და კომუტატორს შორის), **A-bis** (კონტროლერსა და საბაზო სადგურს შორის) და **Um-** (მობილურ ტერმინალსა და საბაზო სადგურს შორის). ასეთი მონაცემების მისაღებად აუცილებელია სპეციალური ხელსაწყო – პროტოკოლების ანალიზატორი და მიღებული ტრასირების დამუშავების პროგრამა. აღნიშნული მეთოდის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს მიღებული მონაცემების თვალსაჩინოება, ე.ი. მიღებული ტრასირების საშუალებით შესაძლებელია განვახორციელოთ არა მარტო ქსელის შეფასება, არამედ პრობლემის არსებობისას, უმრავლეს შემთხვევაში, მაშინვე ავიდოთ და მოვძებნოთ მისი აღმოფხვრის მეთოდი. ამის გარდა, ეს მეთოდი არაა დამოკიდებული გამოყენებული აპარატურის ტიპზე, რამდენათაც ინტერფეისები სტანდარტიზირებულნი არიან და შეიძლება გამოყენებულნი იქნეს ქსელების ობიექტურად შეფასებისათვის, რომლებიც რეალიზებულნი არიან სხვადასხვა მწარმოებლის მიერ მოწოდებულ აპარატურაზე. უარყოფით მხარეს წარმოადგენს ინტერფეისების ტრასირების აღების სირთულე. რამოდენიმე კონტროლერის არსებობისას **A-ინტერფეისის** ტრასირება საჭიროა მივიღოთ თითოეულისათვის ცალ ცალკე. პროცესი კიდევ უფრო რთულდება **A-bis** ინტერფეისის დროს, რადგანაც ამ შემთხვევაში საჭიროა კონტროლერზე ჩართვა და თუ ის განთავსებულია მოშორებით, საჭიროა გასვლა და გაზომვების ჩატარება, რაც ხშირ

შემთხვევაში ძალიან როჟლია. ამის გარდა ხელსაწყოს კონფიგურაციიდან გამომდინარე, A-bis ინტერფეისის ტრასირების მიღება ყველა ფიჭიდან შეუძლებელია, და მხოლოდ გაზომვები დაიკავებს დაუშვებლად დიდ დროს. როგორც წინა შემთხვევაში ეს მეთოდიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამატებითი. ამის გარდა, ორივე მეთოდი არ იძლევა საშუალებას ერთდროულად, რეალურ დროში შეფასდეს ყველა ფიჭა.

ბოლოს, მესამე და ძირითადს წარმოსდგენს მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია კონტროლერიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებაზე და დამუშავებაზე. ეს მეთოდი დაფუძნებულია ქსელის ელემენტებს შორის სასიგნალო ინფორმაციის გაცვლისას კონტროლერზე არსებული განსაზღვრული მრიცხველის მნიშვნელობის ცვლილებაზე (გაზრდაზე). ამასთან ერთად ამ ინფორმაციის შეგროვება ხდება კონტროლერის თითოეული ფიჭისათვის. ვიცით რა თუ რომელი სასიგნალო შეტყობინების მიღების შემდეგ იზრდება ამა თუ იმ მრიცხველის ჩვენება, მისი მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნა, როგორც ცალკეული ფიჭის ასევე მთელი ქსელის მუშაობის ხარისხის შესახებ. უმარტივესი მაგალითი: თუ შეიმჩნევა დიდი ჩვენება იმ მრიცხველზე, რომელიც გვიჩვენებს ”ხაზი ქვევით” ინტერფერენციით გამოწვეული პენდოვერების მნიშვნელობას, ეს შესაბამის ფიჭაში ხელშეშლის არსებობას მიანიშნებს, რომელიც ხელს უშლის მობილური ტერმინალის ნორმალურ მუშაობას. ეს მეთოდი შეიძლება ჩავთვალოთ ძირითადად შემდეგი გარემოებების გამო: შესაძლებელია რეალურ დროში ერთდროულად ყველა ფიჭისათვის თვალყური ვადევნოთ ქსელში სიტუაციას; მონაცემების თვალსაჩინოება, ე.ი. თვალყური მიედევნება ყველა მოვლენას, რომლებიც ხდება ყველა ფიჭაში დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში; ადნიშნული სტატისტიკა წარმოდგენილია ყველა მწარმოებლის მიერ. უარყოფით მხარეებს შორის შეიძლება აღინიშნოს კონვენტორიდან მიღებული ინფორმაციის დამამუშავებელი პროგრამის აუცილებლობა და ის ფაქტი, რომ მოწყობილობის მწარმოებელ სხვადასხვა კომპანიებს სტატისტიკის სისრულე შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს, მაგრამ ყოველ

შემთხვევაში საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ხარისხის ძირითადი მაჩვენებლების მონიტორინგი.

ამრიგად მობილური ქსელის ხარისხის შეფასების ზემოთ განხილული ყველა მეთოდი არის მნიშვნელოვანი, ერთმანეთს ავსებენ და იძლევიან საშუალებას გვქონდეს ქსელის მიმდინარე სიტუაციაზე მაქსიმალურად სრული ინფორმაცია. მაგრამ ზემოთ განხილული თავისებურებებიდან გამომდინარე, ძირითადს წარმოადგენს მესამე – მონაცემების შეკრება, დამუშავება და ანალიზი, რომელიც მუდვივად მიიღება ქსელის კონტროლერებიდან. შემდგომში, ხარისხის მაჩვენებლების ქვეშ, ვიგულისხმებოთ მაჩვენებლებს, რომლებიც მიიღება უშუალოდ ამ მეთოდით.

### **2.3 მობილური ქსელის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა**

მრიცხველის მაჩვენებლის აბსოლუტური მნიშვნელობის საფუძველზე ყოველთვის არაამოხერხებული და ზოგჯერ უბრალოდ შეუძლებელია მობილური ქსელის ხარისხის შეფასება. მაგ. რა შეიძლება ვთქვათ მობილური ქსელის შესახებ თუ ცნობილია, რომ არხის მიწოდებაზე უარის რაოდენობა შეადგენს 1000 მოვლენას საათში? გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გამოძახების მცდელობის რაოდენობა. სწორედ ამისათვის შემოაქვთ ხარისხის ინდიკატორები, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ ფორმულებს, რომლებიც შედგენილია მრიცხველების მიხედვით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მოწყობილობის სხვადასხვა მწარმოებელ კომპანიებს გააჩნიათ მრიცხველის ჩვენების წარმოდგენის სხვადასხვა მეთოდი. მაგრამ, რამდენათაც ქსელში არსებული მოწყობილობებიდან დამოუკიდებლად მობილური ქსელი შეფასებული უნდა იქნეს ხარისხის ერთი ინდიკატორის მიხედვით, საჭიროა გვქონდეს რიგი მრიცხველებისა, რომლებიც ასახავენ ერთნაირ მოვლენებს.

ხარისხის ინდიკატორის ფორმირების ძირითად პრინციპი არის ფორმულის შექმნა, რომლის მრიცხველში შედის ყველა წარმატებული (ან წარუმატებული) მოვლენა და მნიშვნელში შესაბამისი ყველა მოვლენა.

იმისათვის რომ ფიჭური კავშირის ქსელისათვის შევადგინოთ ინდიკატორების სისტემა, შეიძლება ვისარგებლოთ შემდეგი მიღებით. გამოძახების მთელი პროცედურა დაიყოფა რამოდენიმე ნაწილად, გამოითვლება ცალცალკე თითოეული ნაწილი და შემდეგ წარმატების (ან წარუმატებლობის) ალბათობის გადამრავლებით გამოითვლება ერთი გლობალური ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ მობილური ქსელის ხარისხს და რაც მნიშვნელოვანია შევადაროთ მობილური ქსელები ერთმანეთს.

როგორც ცნობილია **GSM** სისტემებში გამოძახების სცენარი შეიძლება დაგყოთ ორ ნაწილად – მართვის არხის და ტრაფიკის არხის გამოყოფად. თავის მხრივ თითოეული არხისათვის შასაძლებელია ორი წარუმატებელი მოვლენა – არხის არ დანიშვნა და შეერთების გაწყვეტა ამ არხში გამოძახების მოქების დროის განმავლობაში. აღნიშნულის შასაბამისად წარუმატებელი მოვლენების თავიდან ასაცილებლად შეიძლება გამოიყოს ხარისხის ოთხი ინდიკატორი:

1. მართვის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი (შესაბამისი ინდიკატორი ავტომატური **SDAsFR** –ით),
2. მართვის არხში გამოძახების არსებობისას შეერთების გაწყვეტის პროცენტი (**SDCDR**),
3. ტრაფიკის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი (**TAsFR**)
4. ტრაფიკის არხში გამოძახების არსებობისას შეერთების გაწყვეტის პროცენტი (**TCDR**).

ვიცით რა ამ ინდიკატორების მნიშვნელობა, შეიძლება მივიღოთ ხარისხის ზოგადი ინდიკატორი – წარუმატებელი შეერთების პროცენტი (**CunSR**), რომელიც ტოლია:

$$\text{CunSR} = 1 - (\text{1- SDAsFR}) \cdot (\text{1- SDCDR}) \cdot (\text{1- TAsFR}) \cdot (\text{1- TCDR}) \quad (2.1)$$

**SDAsFR** და **TAsFR** ინდიკატორების შემადგენლობაში შედის უარი როგორც არხის გამოყოფაზე გადატვირთულობის მიზეზით (**SDAsFR\_cong** და **TAsFR\_cong**), ასევე რადიო არხში არსებული პრობლემების შედეგით (**SDAsFR\_radio** და **TAsFR\_radio**). თავის მხრივ შეერთების გაწყვეტა შეიძლება ასევე გამოწვეული იქნას სხვადასხვა მიზეზით: მოწყობილობის პრობლემით და რადიო პრობლემით პენდოვერის დროს. ამრიგად ხარისხის ძირითადი ან არსებითი ინდიკატორი შედგება უფრო დაბალი

დონის ინდიკატორებისაგან, რომელთა მნიშვნელობა საშუალებას გაძლიერებს უფრო ზუსტად ვიმსჯელოთ ქსელში ამა თუ იმ პრობლემის შესახებ. ცხრილ 2.1-ში მოყვანილია ხარისხის ძირითადი ინდიკატორები, რომლებიც გამოყენებული აპარატურიდან დამოუკიდებლად მობილური ქსელის დონის შესაფასებლად გამოიყენებიან.

გარდა განხილული ინდიკატორებისა მიზანშეწონილია გამოვიყენოთ რიგი დამატებითი ინდიკატორები, რაც მეტი იქნება მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია, მით მეტი დამატებითი ინდიკატორები შეიძლება გამოვიყენოთ, რაც მეტ შესაძლებლობას იძლევა აღმოჩენილ იქნეს პრობლემა, მისი მოძებნოს და მისი აღმოფხვრის მეთოდი, შეკრებილი და დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე. ეს ამოცანა განსაკუთრებით აქტუალურია მობილური ქსელის ოპტიმიზაციის დროს, როდესაც მობილური ქსელის ძირითადი ინდიკატორებით უხეში შეფასება უკვე არასაკმარისია.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი დამატებითი ინდიკატორები:

### ცხრილი 2.1

ინდიკატორი	ინდიკატორის განმარტება
CunSR	წარუმატებელი შეერთების პროცენტი
SDAsFR	მართვის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი (SDCCH) რესურსის არსებობისას
SDAsFR_cong	მართვის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი (SDCCH) რესურსის არყოფნის მიზეზით
SDAsFR_radio	მართვის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი (SDCCH) რადიო არხში პრობლემის გამო
SDCDR	მართვის არხში გამოძახების არსებობისას შეერთების გაწყვეტის პროცენტი (SDCDR)
TAsFR	ტრაფიკის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი (TCH)
TAsFR_cong	ტრაფიკის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი (TCH) რესურსის არყოფნისას
TAsFR_radio	ტრაფიკის არხის წარუმატებელი დანიშვნის პროცენტი (TCH) რადიო არხში პრობლემის გამო
TCDR	ტრაფიკის არხში გამოძახების არსებობისას შეერთების გაწყვეტის

	პროცენტი (TCH)
--	----------------

- პირდაპირ და უკუ მიმართულებაში სიგნალის დაბალი დონის მიზეზით პენდოვერების პროცენტი;
- პირდაპირ და უკუ მიმართულებაში სიგნალის ცუდი ხარისხის მიზეზით პენდოვერების პროცენტი;
- უკეთეს ფიჭაში პენდოვერების პროცენტი;
- გაზომვის პროცენტი **RXQUAL** –ის მნიშვნელობით 4-ზე ნაკლები;
- აბონენტების რეგისტრაციის (**Location update**) პროცენტი;
- გამავალი და შემომავალი **SMS**-შეტყობინების პროცენტი.

ანალოგიურად, მაგრამ გარკვეული დაშვებით, შეიძლება შევადგინოთ მირითადი და დამატებითი ინდიკატორები **GPRS** მომსახურებისათვის. ცხრილ 2.2-ში მოყვანილია ხარისხის მირითადი ინდიკატორები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს მობილური ქსელის შეფასებისათვის **GPRS** მომსახურების განხორციელების თვალსაზრისით.


## ცხრილი 2.2

ინდიკატორი	ინდიკატორის განმარტება
TBFunSR_UL	უკუ მიმართულებაში TBF შეერთების წარუმატებელი დამყარების პროცენტი
TBFunSR_DL	პირდაპირ მიმართულებაში TBF შეერთების წარუმატებელი დამყარების პროცენტი
TBFDr_UL	უკუ მიმართულებაში TBF შეერთების გაწყვეტის პროცენტი
TBFDr_DL	პირდაპირ მიმართულებაში TBF შეერთების გაწყვეტის პროცენტი
TBFThrtAvg_UL	უკუ მიმართულებაში გადაცემის საშუალო სიჩქარე
TBFThrtAvg_DL	პირდაპირ მიმართულებაში გადაცემის საშუალო სიჩქარე

## 2.4 მობილური ქსელის ხარისხობრივი ინდიკატორების გამოთვლის მეთოდები

პრაქტიკაში 2.3 პარაგრაფში განხილული ინდიკატორების გამოთვლისას ხშირად წამოიჭრება კითხვა, დროის რა შუალედში იქნას შეფასებული ხარისხის ესა თუ ის მაჩვებნებელი. გასაგებია, რომ ერთი და იგივე ინდიკატორის დროის სხვადასხვა შუალედში გაზომვისას

მივიღებთ სხვადასხვა შედეგს. როგორც წესი იყენებენ გამოთვლის ორ მეთოდს: დროის განსახილვები შუალედისათვის უდიდესი დატვირთვის საათში (უდს) და ინტეგრალურად დროის იგივე შუალედში. ასეთ შუალედად მიზანშეწონილია ავილოთ პერიოდი – ტრაფიკის პროფილის გამორების მინიმალური პერიოდი. ნახ. 2.1-ზე მოცემულია ტრაფიკის ტიპიური პროფილი ორი კვირის განმავლობაში.



ნახ. 2.1 ორ კვირიანი ტრაფიკის პროფილი

პრაქტიკიდან გამომდინარე აზრი აქვს გამოგიყენოთ გამოთვლის ორივე მეთოდი, რადგანაც თითოეული მათგანი გამოიყენება სხვადასხვა სახის ანალიზისათვის. არსებითია, რომ უდს-ში გამოთვლილი ინდიკატორების მნიშვნელობა მეტი იქნება კვირის განმავლობაში ინტეგრალურად გამოთვლის ინდიკატორებზე. მაგრამ ეს საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რა სიტუაცია შეიძლება გვქონდეს ყველაზე ცუდ შემთხვევაში და როგორ არ საშუალდება ტრაფიკის მცირე დროიანი პიკური მნიშვნელობები. მეორეს მხრივ კვირის განმავლობაში ინტეგრალურად გამოთვლები საშუალებას გვაძლევს გაგლუვდეს (გათანაბრდეს) ის პიკური მნიშვნელობები, რომლებიც გამოწვეულია ტრაფიკის რაღაც მიზეზით მატებით, რაც საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტათ გავერკვეთ ზოგადად მობილური ქსელის განვითარების ტენდენციებში. ე.ო. ინტეგრალურად და უდს-ში გამოთვლილი მნიშვნელობების შედარება საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ პრობლემის ხარისხზე. თუ მიღებული მნიშვნელობები ახლოსაა ერთმანეთთან, მაშინ პრობლემები მობილურ ქსელში (თუ ისინი არსებობენ) განაწილებულია თანაბრად და მათი გადაწყვეტა კომპლექსურადაა საჭირო.

მაგალითისათვის თუ **TAsFR\_cong**-ის ინტეგრალურად გამოთვლილი მნიშვნელობა ბევრჯერ მცირება უდს-ში გაზომილ მნიშვნელობაზე, მაშინ რამოდენიმე საბაზო სადგურში რესურსის ნაკლებობას აქვს ადგილი, რომლებიც განიცდიან გადატვირთულობებს დროის გარკვეულ შუალედებში (მაგ. პარასკებობით სადამოს საათებში ქალაქის გასასვლელში ავტომობილების მიერ წარმოქმნილი საცობების დროს).

ამრიგად, მობილური ქსელის მდგომარეობის შეფასებისას მიზანშეწონილია გამოვთვალოთ ხარისხის მაჩვენებლების ინდიკატორები, როგორც უდს-ისათვის ასევე ინტეგრალურად კვირის განმავლობაში, რადგანაც გამოთვლის აღნიშნული მეთოდები იძლევიან მობილური ქსელის უფრო სრულყოფილ სურათს.

## **2.5 მობილური ქსელის ტევადობის გაზრდის ოპციათა გავლენის ანალიზი ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებელზე**

არსებობს მრავალი ოპცია, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაიზარდოს მობილური ქსელის ტევადობა, ამიტომ საჭიროა თითოეული ოპციისათვის შეფასდეს გავლენა ხარისხობრივ მაჩვენებელზე. ეს კი საშუალებას იძლევა ოპციები გამოვიყენოთ ეფექტურად მობილური ქსელის განვითარების საჭირო ეტაპზე. როგორც პირველ თავშია ნაჩვენები ყველა ოპციები იყოფა ორ კლასად. შესაბამისად ისინი გავლენას იქონიებენ ხარისხის სხვადასხვა მაჩვენებლებზე, ამასთან სხვადასხვა ხარისხით მობილური ქსელის განვითარების ეტაპზე დამოკიდებულებით.

მობილური ქსელის განვითარების საწყის ეტაპზე პირველ ადგილზე გამოდის ტევადობის უკმარისობა და როგორც წესი ყველა მცდელობა ძირითადად მიმართულია არა ინტერფერენციის შემცირებაზე და ლაპარაკის ხარისხის გაზრდაზე, არამედ მობილურ ქსელში რაც შეიძლება მეტი აბონენტის ჩართვაზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე მომსახურების ხარისხი საერთოდ დავივიწყოთ, რამდენათაც ქსელში მიღწევადობა ან გამოყოფილ ტრაფიკის არხზე უარების პროცენტი არის ერთერთი ძირითადი ხარისხის მაჩვენებელი.

ამრიგად, მობილური ქსელის განვითარების საწყის ეტაპზე აზრი არა აქვს ყურადღება მიექცეს იმ ოპციებს, რომლებიც ამცირებენ

ინტერფერენციას და პირველ რიგში აუცილებელია გამოვიყენოთ ოპციები, რომლებიც ამცირებენ მობილური ქსელის გადატვირთულობებს, ჰენდოვერის განსაზღვრული სახეები, მათ შორის “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურა და ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმი. მობილურ ქსელში გადატვირთულობების შემცირების თვალსაზრისით ყველაზე დიდ ეფექტს იძლევა ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმის გამოყენება, რამდენათაც თეორიულად საშუალებას იძლევა გააორმაგოს ქსელის ტევადობა დროის მცირე დანაკარგებით, რადგანაც ეს პროცესი ხორციელდება დისტანციურად ქსელის მართვის ცენტრიდან ორიდან ერთ-ერთი პარამეტრის გააქტიურებით (პირველ თავში განხილული შეზღუდვების არ არსებობის პირობებში). ასევე აღსანიშავია, რომ რიგ შემთხვევებში ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმის გამოყენება საშუალებას იძლევა შევამციროთ ინტერფერენცია, ამიტომ ფიჭაში დამატებითი გადამცემის ჩართვის სანაცვლოდ ფიჭაში ააქტიურებენ ამ რეჟიმს. ამრიგად, აღნიშნული რეჟიმის გამოყენება საშუალებას იძლევა შევამციროთ ხარისხის ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა **TAsFR\_cong**, **SDAsFR\_cong**, და რიგ შემთხვევებში **TAsFR\_radio**, **SDAsFR\_radio**, **SDCDR** და **TCDR** მაჩვენებლებიც.

ამას შემდეგ, რაც ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობები ამოიწურება, მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ჰენდოვერების აწყობას, პირველ რიგში “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურას. მიუხედავად იმისა, რომ მისი ზემოქმედება მომსახურების დროს უარების ალბათობაზე არც თუ ისე დიდია, როგორც ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმის გამოყენებისას, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იმ პარამეტრების აწყობას, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ოპციის მუშაობაზე. ამასთან ერთად დაფარვის სიმჭიდროვისა და ინტერფერენციული რუქიდან დამოკიდებულებით პარამეტრების ნაკრები იქნება სხვადასხვა. ეს განპირობებულია “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურის მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე – იმ მიზნით, რომ ახალ გამოძახებას შენარჩუნებული ჰქონდეს მომსახურების არხი, აბონენტის მომსახურება გადაეცემა ფიჭას, რომელსაც აშკარად სიგნალის დაბალი დონე გააჩნია. გასაგებია, რომ რადიო არხის სხვადასხვა მდგომარეობისას, გადასაცემი ლაპარაკის

ხარისხის მინიმალურად მისაღები დონე იქნება სხვადასხვა. ამის გარდა ის ფიჭა, რომელსაც გადაეცემა გამოძახების მომსახურება, როგორც წესი მდებარეობს უფრო შორს, ვიდრე ის სადაც მოხდა გამოძახების ინიცირება, ამიტომ მობილური ტერმინალიც გაასხივებს დიდი სიმძლავრით (იმ პირობებში, თუ გააქტიურებულია მობილური ტერმინალის სიმძლავრის მარეგულირებელი ოპცია), რაც წეგატიურად იმოქმედებს მობილური ქსელის ინტერფერენციის საერთო სურათზე. ამრიგად, “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურის გამოყენება მოქმედებს ხარისხის შემდეგ მაჩვენებლების: **TAsFR\_cong**, **TAsFR\_radio**, **SDAsFR\_radio**, **SDCDR** და **TCDR**. ამასთან, თუ პირველი მაჩვენებელი უმჯობესდება, შემდეგნი შეიძლება გაუარესდნენ, მაგრამ **TAsFR\_cong**-ის დადებითი გავლენა გაცილებით მაღალია, ვიდრე დანარჩენი პარამეტრების დეგრადაცია, რომლებიც შეიძლება თავიდან მთლიანად იქნეს აცილებული თპტიმალური სიხშირულ-ტერიტორიული დაგეგმარების და ლოგიკური პარამეტრების ზუსტი აწყობის დროს, რაც მოგვიანებით იქნება ნაჩვენები. აღნიშნული ოპციის გამოყენების კიდევ ერთი უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ სისტემა ავტომატურად მართავს მის ჩართვა/გამორთვას, ე.ო. თუ არსებული ტევადობა საკმარისია, მაშინ გამოძახებების მომსახურება მოხდება სტანდარტული სცენარით და თუ რაიმე მიზეზით მატულობს გადატვირთულობები, მაშინ იწყება “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურის გამოყენება, რაც უმრავლეს შემთხვევაში უზრუნველყოფს გადატვირთულობის თავიდან აცილებას.

თუ მობილური ქსელი ორ სიხშირიანია, ე.ო. გამოიყენება 900მპც. და 1800მპც. დიაპაზონიანი გადამცემები, მაშინ ყურადღება უნდა მიექცეს და გამოვიყენოთ ორ დიაპაზონიან ფიჭებს შორის ტრაფიკის გადანაწილების ალგორითმების შესაძლებლობანი, ან ზოგადად მიკრო- და მაკრო ფიჭებს შორის. როგორც წესი მობილური ქსელის განვითარება ისახავს ორ მიზანს, დაფარვის და ტევადობის უზრუნველყოფას. ორ დიაპაზონიან ქსელებში პირველი ამოცანის გადაწყვეტა ხდება 900მპც. დიაპაზონიანი ფიჭებით (მაკრიფიჭა) და მეორე 1800მპც. დიაპაზონიანი ფიჭებით (მიკრიფიჭა). ასეთი მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია “ბილაინის” კომპანიისათვის, რომელსაც ძალიან მცირე 900მპც-იანი დიაპაზონი

გააჩნია, რასაც მივყავართ ამ დიაპაზონის სიხშირის გამოყენების შეზღუდვასთან და აქედან გამომდინარე ინტერფერენციის მაღალი რისკის არსებობასთან. ამრიგად სისტემის ლოგიკური პარამეტრების აწყობა საშუალებას იძლევა ტრაფიკის კონცენტრაცია მაქსიმალურად მოვახდინოთ 1800მპც დიაპაზონიან ფიჭებში, რასაც მივყევართ ხარისხის ისეთი მაჩვენებლის გაზრდასთან, როგორიცაა **TAsFR\_cong** და **TCDR**. უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია პენდოვერების რიცხვის გაზრდა, რაც შეიძლება აისახოს ლაპარაკის გადაცემის ხარისხზე, ამრიგად ხშირ შემთხვევაში მისი კომპენსირება ხდება იმით, რომ შეერთების შემდგომი ეტაპი ხდება უკეთეს რადიო პირობებში. აღსანიშნავია, რომ არსებობს 1800მპც დიაპაზონში ტრაფიკის კონცენტრაციის რამოდენიმე მეთოდი, რაც დამოკიდებულია მობილური ქსელის სიტუაციაზე და ამ მეთოდებს მოგვიანებით განვიხილავთ.

შევაჯამებთ რა იმ ოპციების გამოყენებას, რომლებიც ამცირებენ გამოძახებების მომსახურების უარის ალბათობას ვასკვნით, რომ ისინი აქტუალურს წარმოადგენენ, ამასთან მობილური ქსელის განვითარების საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმის და “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურის გამოყენება, ასევე ამ უკანასკნელის მუშაობაზე პასუხისმგებელი პარამეტრების ოპტიმალური აწყობა. ამის გარდა ორდიაპაზონიან ქსელში აზრი აქვს გამოვიყენოთ ის არსებული მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევიან გადავანაწილოთ ტრაფიკი 900მპც და 1800მპც ფიჭებს შორის.

მობილური ქსელის განვითარების საწყის ეტაპზე ტევადობის უკმარისობის პრობლემის გადაჭრიის შემდეგ პირველ ადგილზე გადმოდის ინტერფერენციის შემცირების ამოცანა. ამასთან ტევადობის უკმარისობის პრობლემა ხახდახან შეიძლება დარჩეს ან გამოჩნდეს ცალკეულ ზონებში, მაგრამ ის პრობლემა უკვე არაა ძირითადი. ამ შემთხვევებში მეტი უურადღება უნდა მიექცეს ისეთი ოპციების გამოყენებას, როგორიცაა სიმძლავრის რეგულირება, სიხშირის ფსევდო ალბათური გადაწყობა და ცვლადი გამოსხივება.

ამ სამი ოპციიდან სიმძლავრის რეგულირება შეიძლება გამოყენებული იქნას მობილური ქსელის განვითარების უკელაზე დაბალი ხარისხის დროს, რადგანაც სისტემა ავტომატურად არჩევს აუცილებელ სიმძლავრეს

შეერთების მისაღები ხარისხის შესანარჩუნებლად (იმ პირობით, რომ პარამეტრები მნიშვნელობები, რომლებიც პასუხობენ ამ ოპციის მუშაობაზე, არჩეულია შესაბამისი მეთოდით). სიმძლავრის რეგულირების მუშაობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ის აუმჯობესებს ინტერფერენციულ სურათს როგორც პირდაპირ ასევე უპა მიმართულებაში. ამასთან უბუ მიმართულებაში რეგულირების დროს ხდება მობილური ტერმინალის კვების ელემენტის ხარჯვის ეკონომია და მცირდება სმენის ორგანოს დასხივების ხარისხის შემცირება. სიმძლავრის რეგულირების მართვის ალგორითმის პარამეტრების შერჩევისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ურთიერთმოქმედება ჰენდოვერის პროცედურასთან, სხვა სიტყვებით, **TAsFR\_radio** და **SDCDR** ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესების ნაცვლად მივიღოთ **TCDR** მნიშვნელობის გაუარესება.

ცვალებადი გამოსხივების გამოყენება ასევე არ საჭიროებს მობილური ქსელის განვითარების მაღალ ხარისხს, მაგრამ ამ ოპციის დადებითი გავლენა არც ისე ნათელია. ამიტომ როგორც წესი მას იყენებენ ზემოთ მოყვანილი ოპციის შემდეგ. სიმძლავრის რეგულირებიდან განსხვავებით, პარამეტრების აწყობას, რომლებიც პასუხობენ ცვალებად გამოსხივებაზე, განსაკუთრებული სიფაქიზე არ გააჩნია და ამ ოპციის ფუნქციონირებაზე კოორდინაციური მეთოდით არ უნდა ვიმოქმედოთ. ამ შემთხვევაში ზემოქმედება შეიძლება ძირითადად მოვახდინოს ხარისხის ისეთ მაჩვენებელზე როგორიცაა **TAsFR\_radio** და **TCDR**. მაგრამ პრაქტიკაში ამ ცვლილებებზე ყურადღების მიქცევა მნელია, ამიტომ ამ ოპციის შეფასება უკეთესია ვაწარმოოთ რადიო არხების მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, მაგ. შევაფასებოთ რა სიგნალების ნაწილს პარამეტრებით **RXQUAL=0**, **RXQUAL=1...3** და **RXQUAL=4...7**.

საბოლოოდ სისშირის ფსევდო ალბათური გადაწყობა, როგორც წესი წარმოადგენს ხარისხის გაუმჯობესების დამასრულებელ ნაბიჯს. ამ ოპციის გამოყენების წინ, გარდა იმისა, რომ ჩატარებულ უნდა იქნეს ისეთი ოპტიმიზაციის პროცედურები, როგორიცაა ანტენების დახრა, გამოყენებული ალგორითმების ოპტიმალური აწყობა და სხვა, აუცილებელია კარგად გათვლილი სისშირული გეგმის არსებობა. სწორედ ასეთ პირობებში სისშირის ფსევდო ალბათური გადაწყობა იძლევა

შველაზე დიდ ეფექტს, სხვა მხრივ ამ ოპციის გამოყენება არაა მიზანშეწონილი, უფრო მეტიც ხარისხის მაჩვენებლის გაუმჯობესების ნაცვლად შეიძლება ადგილი პქონდეს მის დეგრადაციას. ზემოთ მოყვანილი მოთხოვნების შესრულების დროს შეიძლება მივაღწიოთ ხარისხის ისეთი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, როგორიცაა TAsFR\_radio და SDCDR.

ამრიგად, მობილური ქსელის განვითარების საწყისი ეტაპის შემდეგ პირველ ადგილზე გამოდის ქსელის ინტერფერუნციის შემცირების ამოცანა, რომლის გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს შემდეგი ძირითადი ოპციების გამოყენებით – სიმძლავრის რეგულირება, სიხშირის ფსევდო ალბათური გადაწყობა და ცვლადი გამოსხივება. ამასთან ძალიან ფაქტად უნდა მოხდეს იმ პარამეტრების აწყობა, რომლებიც პასუხს აგებენ ამ ოპციების მუშაობაზე, სხვა მხრივ TAsFR\_radio, SDCDR და TCDR პარამეტრების გაუმჯობესების ნაცვლად შეიძლება მივიღოთ მათი გაუარესება.

## 2.6 არსებულ ოპციათა გამოყენების ეფექტურობის შეფასება და მათი გამოყენების რეკომენდაციები

ამ პარაგრაფში მოყვანილია ზემოთ განხილული ოპციების პრაქტიკაში გამოყენების შედეგები “ბილაინის” ქსელში, რომლის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოდ მათი გამოყენების ეფექტურობაზე. ჯერ განვიხილოთ ოპციები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შევამციროთ უარების ალბათობა.


ნახევარსიჩქარიანი კოდირების გამოყენებისას მოგება თვალსაჩინოა, ამიტომ ავღნიშნოთ მხოლოდ შემდეგი მომენტი. სწრაფად ზრდად ქსელებში ტრაფიკის წილი ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმში შეიძლება მიაღწიოს 60-70%. მაგრამ თუ ამ სიტუაციაში გადატვირთულობები არაა მნიშვნელოვანი (რაც პრაქტიკაში იშვიათია), ეს არ ნიშნავს მობილურ ქსელში ხორმალურ სიტუაციას. უცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ჯერ ერთ უკვე არ არის არავითარი თადარიგი იმისათვის, რომ შევაჩეროთ ტრაფიკის ზრდისას გადატვირთულობების მატება, მაგ. მარკეტინგული აქციის მიზეზით და მეორეს მხრივ ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმის დროს ლაპარაკის ხარისხი

ობიექტურად უფრო ცუდია. მობილური ქსელის პროექტირებისას მიზანშეწონილია ორიენტაცია გაკეთდეს **Half Rate** რეჟიმში ტრაფიკის 20=30%-ზე – რაც საშუალებას მოგვცემს იმ ადგილებში სადაც მოსალოდნელია აბონენტების დიდი რაოდენობა მივიღოთ მისაღები ხარისხის მაჩვენებლი მობილურ ქსელზე მიღწევადობის თვალსაზრისით, ლაპარაკის ხარისხის არც თუ დიდად გაუარესებისას.

“პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურების ეფექტურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი შედეგების მიხედვით (იხ. ნახ. 2.2-2.3). მოკლედ განვიხილოთ დერძებზე გამოსახული სიდიდეები. ნახ. 2.2-ზე ორდინატა დერძზე გადაზომილია განსახილველ დროის შუალედში (ორი დღე) მაქსიმალურ მნიშვნელობასთან შედარებით ნორმირებული **TAsFR\_song**-ის მნიშვნელობა, რომელიც გამოითვლება როგორც ტრაფიკის არხის გამოყოფაზე მოუმსახურებადი გამოძახებების რაოდენობის შეფარდება გამოძახებების რაოდენობასთან, რომლებსაც გამოეყოთ ტრაფიკის არხი. ნახ. 2.3-ზე . ორდინატა დერძზე გადაზომილია განსახილველ დროის შუალედში (ორი დღე) მაქსიმალურ მნიშვნელობასთან შედარებით ნორმირებული **TCDR**-ის მნიშვნელობა, ე.ი გამოძახებების გაწყვეტის შემთხვევის რაოდენობის შეფარდება გამოძახებების საერთო რაოდენობასთან. ორივე შემთხვევაში აბსცისათა დერძზე გადაზომილია დრო – 48 საათი, ე.ი. ოპციის აწყობიდან დღით ადრე და დღით შემდეგ.


მობილური ქსელის ნაწილზე გააქტიურებული იყო “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურა, მაგრამ არ იყო განხორციელებული პარამეტრების ზუსტი აწყობა. **Nb\_free\_TCH(n)set da Signal\_Levmin** პარამეტრების ცვლილებისას დღის საათებში გადატვირთულობები შემცირდნენ მიახლოებით 3-ჯერ და დამის საათებში 2-2.5-ჯერ, ამასთან ხარისხის სხვა მაჩვენებლები შენარჩუნებულნი იქნენ იმ დონეზე რაც იყო ცვლილებამდე (იხ. ნახ.2.3).

### TAsFR\_cong-ის ნორმირებული მნიშვნელობა



ნახ. 2.2. TAsFR\_cong-ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე

### TCDR-ის ნორმირებული მნიშვნელობა



ნახ. 2.3. TCDR-ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე

მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ “პირდაპირი გადადანიშნულიბის” პროცედურის გამოყენების საჭიროებაზე მობილურ ქსელებში, რადგანაც ეს საშუალებას გვაძლევს ეფექტურად გამოვიყენოთ

მობილური ქსელის რესურსი, რაც მობილური ქსელის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას იძლევა.


განვიხილოთ ორდიაპაზონიანი მობილური ქსელების გამოყენების ეფექტურობა. შეიძლება გამოვყოთ ორდიაპაზონიანი ქსელის აგების 3 მიღგომა:

1. 900 და 1800მპ-იანი მობილური ქსელები განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი ქსელები;
2. 1800მპ-იანი ფიჭები წარმოადგენენ პრიორიტეტულს 900მპ სისტირიან ფიჭებთან შედარებით;
3. 900 და 1800მპ-იანი ფიჭები განვიხილოთ, როგორც ერთიანი ფიჭა საერთო რესურსებით.


როგორც პირველ თავში იყო ნაჩვენები ყველაზე მიწანშეწონილია პირველი მიღგომა. მას მოწმობს შემდეგი ციფრები (იხ. ნახ. 2.4-2.5) [69]. ნახ. 2.4-ის ორდინატთა დერძზე გადაზომილია განსახილველ დროის შუალედში (ორი დღე) მაქსიმალურ მნიშვნელობასთან შედარებით ნორმირებული დატვირთვის მნიშვნელობა. ნახ. 2.5-ის ორდინატთა დერძზე და აბსცისათა დერძზე ორივე ნახაზზე შეესაბამება ნახ. 2.3-ის აღნიშვნებს. მობილური ქსელის მონაკვეთზე მეორე მიღგომის გამოყენებისას დატვირთვა 1800მპ-იან ფიჭებში გაიზარდა 2-ჯერ მეტად, (იხ. ნახ. 2.4), ხოლო გადატვირთულობა 900მპ-იან ფიჭებში შემცირდა თითქმის 2.5 ჯერ პირველი მიღგომის გამოყენებასთან შედარებით (იხ. ნახ. 2.4.). ამასთან 1800მპ. დიაპაზონიან ფიჭებში შეერთებების გაწყვეტა ლაპარაკის დროს არ შეცვლილა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავამტკიცოთ 1800მპ. დიაპაზონიანი ფიჭების პრიორიტეტის განსაზღვრის მიზანშეწონილობა და აღნიშნული მექანიზმის გამოყენება ორდიაპაზონიან ქსელებში დატვირთვის გადასანაწილებლად.

ორდიაპაზონიანი მობილური ქსელის აგების მესამე მეთოდი წარმოსადგენს მეორე მიღგომის თავისებურ ლოგიკურ გაგრძელებას. ზოგადად შესაძლებელია ამ მეთოდის ორგვარი რეალიზაცია. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვუკრძალავთ მობილურ ტერმინალს მოლოდინის რეჟიმში მომსახურებულ იქნას 1800მპ-იანი სექტორით, და განსაზღვრული დაშვებით ორი სხვადასხვა დიაპაზონიანი სექტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთიანი სექტორი. ეს საშუალებას

გგაძლევს ტრაფიქის არხისათვის გამოვათავისუფლოდ დამატებითი ტაიმ-სლოტი, რადგანაც როგორც წესი, მართვის არხად აიღება მინიმუმ ორი ტაიმ-სლოტი, და ამ სიტუაციაში დატვირთვა **SDCCH** არხებზე პრაქტიკულად არ არსებობს.



ნახ. 2.4. დატვირთვის დამოკიდებულება დროზე ორდიაპაზონიან ქსელში




ნახ. 2.5. TAsFR\_cong-ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე  
ორდინაციურნიან ქსელში


ერთი ტაიმ-სლოტი რჩება BCCH არხისათვის, რაც საშუალებას იძლევა ჰენდოვერის დროს ამ ფიჭიდან შევაფასოთ სიგნალის რეალური

დონე. ამის გარდა, რადგანაც ერლანგის კანონს გააჩნია არახაზური დამოკიდებულება, ამიტომ 7 არხიანი ორი სექტორის ტევადობა, ნაკლებია 14 არხიანი ერთი სექტორის ტევადობაზე. ასეთ მიღომის გამოუენებას აზრი აქვს ძალიან გადატვირთულობადი სექტორების დროს, ე.ი. როდესაც პრაქტიკულად შესაძლებელია მთლიანად გამოვოყენოთ არსებული რესურსი. განვიხილოთ 900 და 1800მპ. დიაპაზონიანი წყვილი თანამიმართულების მნიშვნელოვნად გადატვირთულობადი ფიჭა, სადაც გამოყენებული იქნა აღნიშნული მიღომა (იხ. ნახ. 2.6-2.8). ნახ. 2.7-2.8 ორდინატთა დერძზე გამოყენებულია იგივე აღნიშვნები რაც ნახ.2.3-ზე. ნახ. 2.6-ის ორდინატთა დერძზე გადაზომილია მიღწევადი ტრაფიკის არხების მაქსიმალური რიცხვის ინტეგრალურად ნორმირებული დატვირთვის მნიშვნელობა. ე.ი. დაკავებული არხების საშუალო რაოდენობის შეფარდება მიღწევადი არხების რაოდენობასთან.


ინტეგრალური (წყვილი სექტორისათვის) ნორმირებული, მაქსიმალურად მიღწევადი ტრაფიკის არხების რიცხვთან, შედარებითი დატვირთვა



ნახ. 2.6. წყვილი სექტორისათვის ინტეგრალური დატვირთვის დროზე  
დამოკიდებულება



ნახ. 2.7. TAsFR\_cong-ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე წყვილი  
სექტორისათვის



ნახ. 2.8. SDAsFT\_cong-ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე  
წყვილი სექტორისათვის

როგორც ნახ. 2.6-დან ჩანს აღნიშნული მიღების გამოყენებით  
შესაძლებელი გახდა 5%-ით გაზრდილიყო ფიჭის გამოყენების  
ეფექტურობა. მითუმეტეს 900მჶ. დიაპაზონიან ფიჭებში მართვის  
არხისათვის საჭირო გახდა დამატებითი ტაიმ-სლოტის გამოყოფა, რამაც  
გამოიწვია ამ სექტორზე ტრაფიკის არხების გადატვირთულობა (იხ. ნახ.

2.7.), მაგრამ მართვის არხებზე გადატვირთულობა შემცირდა პრაქტიკულად ნულამდე (იხ. ნახ. 2.8.).

უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ მიღებულებების 900მპ-იან ფიჭაში მართვის არხის რაოდენობის გაზრდა, რაც ყოველთვის არაა შესაძლებელი, რადგანაც შეიძლება მივიღოთ ტრაფიკის არხების უფრო დიდი გადატვირთულობა. ამის გარდა დღეისათვის მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებობს ერთდიაპაზონიანი მობილური ტერმინალები, ე.ი. რომლებიც მუშაობენ ან 900მპ. ან 1800მპ. სისტირულ ზოლში. აღნიშნული ფაქტი არ იძლევა საშუალებას ყველგან გამოვიყენოთ ასეთი მიღება. დაბოლოს მეორე რეალიზაციას წარმოადგენს ეწ. მულტიდიაპაზონიანი ფიჭების გამოყენება. ამ შემთხვევაში ორი სექტორი ორდიაპაზონიანი ტრანსივერებით უკვე ყოველგვარი დაშვების გარეშე განიხილება, როგორც ერთიანი სექტორი, ე.ი. მართვის არხები განთავსებულია 900მპ. დიაპაზონიან ფიჭაში. ამ შემთხვევაში მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის რომ 1800მპ. დიაპაზონიან ფიჭაში ყველა ტაიმ-სლოტი გამოვიყენოთ სალაპარაკო არხად, ე.ი. ამ თვალსაზრისითაც გვაძეს კიდევ უფრო დიდი მოგება. მაგრამ ამ მეთოდმა დიდი გამოყენება ვერ ჰქოვა იმიტომ, რომ 1800მპ-იან ფიჭებში არ არსებობს BCCH არხი, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება ფიჭაში სიგნალის დონე, ე.ი. ზემოთ განხილულ მეთოდთან განსხვავებით, ჰენდოვერის დროს არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია სიგნალის დონის შესახებ. ჰენდოვერი ხორციელდება მხოლოდ მოსალოდნელი დონის საფუძველზე, ე.ი. 900მპ-იან ფიჭაში რეალურად გაზომილ დონეს აკლდება განსაზღვრული მნიშვნელობა და თვლიან, რომ სწორედ ასეთი დონე ექნება სიგნალს 1800მპ-იან ფიჭაში. ბუნებრივია, რომ ასეთი მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მხილოდ 1800მპ-იანი ფიჭებით ძალიან მჭიდროდ დაფარული ტერიტორიის შემთხვევაში. მაგრამ ასევე შემთხვევაშიც კი შეერთების გაწყვეტის ალბათობა ძალიან დიდია.


ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა. თანამიმართული სექტორების პირობებში ორდიაპაზონიანი მობილური ქსელის ასაგებად ძირითად მიღებად აზრი აქვს გამოვიყენოთ მეორე მიღება, ე.ი. განისაზღვროს 1800მპ-იანი ფიჭების პრიორიტეტი და განხილული მექანიზმი გამოვიყენოთ ტრაფიკის მართვისათვის. რიგ შემთხვევაში

მიზანშეწონილია აიკრძალოს მობილური ტერმინალის მომსახურება ლოდინის რეჟიმში 1800მპ-იანი ფიჭებისათვის და განვიხილოთ ფიჭები ორსიხშირიანი ტრანსივერებით, როგორც ფიჭა ერთიანი რესურსით.


განვიხილოთ ისეთ ოპციის ეფექტურობა, რომელიც ამცირებს ინტერფერენციას მობილურ ქსელში. სიხშირის ფსევდო ალბათური გადაწყობა საშუალებას იძლევა მივიღოთ შემდეგი შედეგები. ნახაზ 2.9-2.10-ზე მოცემულია მობილური ქსელის საცდელ მონაკვეთზე, სადაც აღნიშნული ოპციაა გააქტიურებული CunSR და TAsFR\_radio პარამეტრების მნიშვნელობა. ორდინატთა დერძზე გადაზომილია მაქსიმალურ მნიშვნელობასთან შეფარდებით CunSR და TAsFR\_radio-ის ნორმირებული მნიშვნელობა, ხოლო აბსცისათა დერძზე დრო (გამოითვლების დროს მხედველობაში მიიღებოდა 12-00-დან 23-00-მდე დროის შუალედი). როგორც აღნიშნული გრაფიკებიდან ჩანს, სიხშირის ფსევდო ალბათური გადაწყობა საშუალებას იძლევა 15%-ით გაუმჯობესდეს CunSR პარამეტრი (ეს არის ფარდობითი და არა აბსოლუტური მნიშვნელობა, რომლითაც ეს მაჩვენებელი შემცირდა), ხოლო TAsFR\_radio – კი პრაქტიკულად 2-ჯერ გაიზარდა.

მიღებული შედეგები საშუალებას იძლევიან ვილაპარაკოთ სიხშირის ფსევდო ალბათური გადაწყობის გამოყენების ეფექტურობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ოპციის მოქმედება TAsFR\_radio მნიშვნელობაზე და როგორც შედეგი მცირდება CunSR მნიშვნელობა.


როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ცვლადი გამოსხივების გავლენა უკეთესია შეფასებული იქნეს რადიო არხის მდგომარეობით. ასეთი შეფასების ერთ-ერთ პრიტერიუმად შეიძლება გამოყენებული იქნეს RXQUAL=0, RXQUAL=1...3 და RXQUAL=4...7. ნახაზებზე 2.11-2.13 ნაჩვენებია RXQUAL=0, RXQUAL=1...3 და RXQUAL=4...7 –ის ცვალებადობის წილი პირდაპირ და უკუ მიმართულებაში.




ნახ. 2.9 CunSR-ის ნორმირებული მნიშვნელობის დამოკიდებულება  
დროზე



## ნახ. 2.10 TAsFR\_radio-ს ნორმირებული მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე




ნახ. 2.11 RXQUAL=0 – სიგნალის წილის დამოკიდებულება დროზე



ნახ. 2.12 RXQUAL=1 – სიგნალის წილის დამოკიდებულება დროზე

როგორც მოყვანილი ნახაზებიდან ჩანს ცვლადი გამოსხივების ჩართვის შემდეგ RXQUAL=0 სიგნალის გამოსხივების დონე გაიზარდა 1.5%-ით. დაახლოებით იგივე მნიშვნელობით შემცირდა სიგნალის გამოსხივება დონით RXQUAL=1..3. ეს ფაქტი და ასევე ის, რომ RXQUAL=4...7 სიგნალის წილი არ შეიცვალა, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოხდა სიგნალების გადანაწილება RXQUAL-ის

მნიშვნელობის გაუმჯობესების მიმართ უდებით. ამრიგად ცვლადი გამოხსინების გამოყენება საშუალებას იძლევა გავზარდოთ უკეთეს ხარისხიანი სიგნალის წილი, ე.ი. გავაუმჯობესოთ შეერთების ხარისხი, და რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას იმ პირობებში თუ არ არსებობს რაიმე შემზღვევა ფაქტორი. მით უმეტეს ამ შემთხვევაში ხარისხის ისეთი მაჩვენებლების, როგორიცაა **SDAsFR**, **SDCDR**, **TAsFR**, **TCDR** და **CunSR** მნიშვნელოვანი ცვლილება არ ხდება.



ნახ. 2.13 RXQUAL=4 . . 7% – სიგნალის წილის დამოკიდებულება დროზე ჩართული DTX-ის დროს

## 2.7 დასკვნები მეორე თავთან დაკავშირებით

განხილულ იქნა “ბილაინის” მობილურ ქსელში ხარისხის შეფასების ძირითადი მეთოდები, როგორიცაა:

- სატესტო გამოძახებები ანუ დრაივ-ტესტები;
- ტრასირების ანალიზი;
- მობილური ქსელის კონტროლერიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.

თითოეული ეს მეთოდი საჭიროა მობილური ქსელის მდგომარეობის სრული ინფორმაციის მისაღებად. ისინი ავსებენ ერთმანეთს, მაგრამ რიგი

განხილული თავისებურებების გამო, ძირითადს წარმოადგენს ბოლო მეთოდი. მისი გამოყენება განაპირობებს ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრის აუცილებლობას, რომელთა საშუალებითაც ხდება მობილური ქსელის შეფასება. ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს წარუმატებელი შეერთების პროცენტი – CunSR, რომლის შემადგენლობაში შედიან:

1. **SDAsFR** – წარუმატებელად დანიშნული მართვის არხის პროცენტი;
2. **SDCDR** - მართვის არხში გამოძახების არსებობის დროს შეერთების გაწყვეტის პროცენტი;
3. **TAsFT** – ტრაფიკის არხის წარუმარტებელი დანიშვნის პროცენტი;
4. **TCDR** - ტრაფიკის არხში გამოძახების არსებობის დროს შეერთების გაწყვეტის პროცენტი.

არსებობს აღნიშნული ინდიკატორების გამოთვლის ორი მეთოდი – **უდს-ში** და ინტეგრალურად დროის რადაც შუალედში (როგორც წესი კვირა). როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ერთ-ერთი მეთოდის გამოყენება არაა საკმარისი მობილური ქსელის შეფასების ობიექტური სურათის მისაღებად და მიზანშეწონილია ორივე მათგანის გამოყენება.

ყველა ოპციის გამოყენება მიმართულია CunSR მაჩვენებლის შესამცირებლად, მაგრამ თითოეული ოპცია საშუალებას იძლევა შეამციროს ხარისხის ინდიკატორის ერთი (ზოგჯერ რამოდენიმე) შემადგენელი.

თითოეული ოპციის პრაქტიკული გამოყენების შედეგები გვიჩვენებენ მათი გამოყენების ეფექტურობას და აუცილებლობას:

- თეორიულად რეჟიმი **Half Rate** საშუალებას იძლევა მობილური ქსელის ტევადობის გაორმაგებას, მაგრამ შეზღუდვების გამო მიზანშეწონილია მობილური ქსელის პროექტირების დროს **Half Rate** რეჟიმში მომუშავე ტრაფიკი შეიზღუდოს (20-30)%-ის ფარგლებში;
- პირდაპირი გადადანიშნულების პროცედურა საშუალებას იძლევა მობილური ქსელის ტევადობა გაიზარდოს 25%-მდე;
- ორდიაპაზონიანი მობილური ქსელის აწყობა საშუალებას იძლევა ფიჭის რესურსის გამოყენების ეფექტურობა გაიზარდოს 5%-მდე;

- სიხშირის ფსევდო ალბათური გადაწყობის გამოყენება საშუალებას იძლევა **CunSR** მნიშვნელობა გაიზარდოს 15%-ით, ხოლო **TAsFR\_radio**-ს მნიშვნელობა პრაქტიკულად ორჯერ;
- ცვალებადი გამოსხივების გამოყენება არ იძლევა ისეთ აშკარა მოგებას, როგორც დანარჩენი ოპციები, მაგრამ საშუალებას გვაძლევს (1.5-2)%-მდე გავზარდოთ სიგნალების წილი დონით **RXQUAL=0**.

საჭიროა აღინიშნოს, რომ აუცილებელია დაკვირვებული მიღება თითოეული ოპციის ასაწყობად და აუცილებლობის შემთხვევაში დაინერგოს მობილურ ქსელში, გათვალისწინებული უნდა იქნეს მობილური ქსელის განვითარების ეტაპი და სხვადასხვა გარე შემზღვეველი ფაქტორები, სხვა მხრივ მობილურ ქსელში სიტუაციის გაუმჯობესების ნაცვლად შეიძლება მივიღოთ ხარისხის რიგი მაჩვენებლების გაუარესება.

## თავი 3. GSM სტანდარტის ქსელებისათვის გამტარუნარიანობის გაზრდის ალგორითმები

### 3.1 შესავალი

იმისათვის, რომ მობილურ ქსელებში გადავჭრათ პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია გადატვირთულობასთან, საკმარისი არაა ვიწინასწარმეტყველოთ და პროგნოზირება გაუქმეთოთ მათ გამოვლენას. ასევე აუცილებელია ისეთ მოქმედებებს მივმართოთ, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მომსახურების დროს ადგილი არ ჰქონდეს უარებს. არსებობს ორი მეთოდი დისტანციურად და საკმაოდ მცირე დროში ვუზრუნველყოთ საჭირო ტევადობა, ესაა გავააქტიუროთ ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმი, ან ლოგიკური პარამეტრების აწყობის ხარჯზე გადავანაწილოთ მეზობელი მცირედ დატვირთული ფიჭის რესურსი გადატვირთულობადი ფიჭის სასარგებლოდ. რამდენადაც ნახევარსიჩქარიანი კოდირების რეჟიმის ავტომატური აქტივიზაციის განხილვა არ წარმოადგენს საინტერესოს, ამის გარდა ეს რეჟიმი გადატვირთულობად ფიჭებში ყოველთვისაა გააქტიურებული, ამიტომ ამ თავში განვიხილავთ რესურსების გადანაწილების საკითხებს, კერძოდ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის აწყობის ალგორითმს, რომელიც საშუალებას იძლევა შევამციროთ გადატვირთულობები ისე რომ ხარისხის სხვა ძირითად მაჩვენებლებზე ზემოქმედება იყოს მინიმალური. ამის გარდა დასაბუთებული და გაანალიზებულია სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის რესურსების გადანაწილების ერთ-ერთი მიღებომა, რომელიც საშუალებას იძლევა ვუზრუნველყოთ პაკეტური მეთოდით მონაცემთა გადაცემა, თანაც გავლენა სალაპარაკო მომსახურების ხარისხობრივ მაჩვენებლებქ პრაქტიკულად იყოს შეუმჩნეველი, რაც იმას ნიშნავს, რომ გავზარდოთ მობილური ქსელის გამტარუნარიანობა მიწოდებული მომსახურების სახეობების თვალსაზრისით.

### 3.2 პირდაპირი გადადანიშნულების პროცედურების გავლენა ქსელის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე

მომუშავე ფიჭაში მაღალი დატვირთვის არსებობისას როგორც წესი ხდება “პირდაპირი გადადანიშნულების” ინიცირება. ამიტომ დადებითი ეფექტის გარდა, როგორიცაა გადატვირთულობის შემცირება, “პირდაპირი გადადანიშნულების” გამოყენებას შეიძლება პქონდეს უარყოფითი ეფექტი – ლაპარაკის დროს შეერთების გაწყვეტა (შემდგომში უბრალოდ შეერთების გაწყვეტა), რაც არანაკლებ უარყოფითად ვიდრე გადატვირთულობა აღიქმება აბონენტის მიერ. აქედან გამომდინარეობს, რომ ძალიან ფაქტად უნდა მიუდგეთ მობილური ქსელის ლოგიკური პარამეტრების გადაწყვობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მისაწვდომი საშუალებებით ერთი პარამეტრის შემცირებამ შეიძლება გაზარდოს მეორე. ე.ო. საჭიროა კომპრომისი გადატვირთულობების შემცირებასა და შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობის ზრდას შორის.

აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია:

- უარისთქმის ალბათობის გასათვლელად მოიძებნოს ანალიტიკური დამოკიდებულება, სადაც გათვალისწინებული იქნება ზონების გადაფარვა:
- დაგამტკიცოთ მასი პრაქტიკული არსებობა;
- განისაზღვროს ანალიტიკური დამოკიდებულება შეერთების გაწყვეტის პროცენტის გასათვლელად:
- მოიძებნოს ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებელი – წარუმატებელი შეერთების პროცენტი:
- განისაზღვროს “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის აწყობის ალგორითმი.

არსებითად `Signal_levmin` მნიშვნელობა განსაზღვრავს “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის დროს ფიჭების გადაფარვის ზონას. ე.ო. რაც უფრო მცირეა ამ პარამეტრის მნიშვნელობა, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ მობილური ტერმინალების ნაწილმა, რომლებიც მომსახურებას იღებენ გადატვირთულობადი ფიჭიდან, მიიღონ რესურსი მეზობელი, უფრო მცირედ დატვირთული ფიჭიდან. აღსანიშნავია, რომ ესაა დაფარვის ზონის ლოგიკური შეცვლა. ფიზიკურად (გამოსხივებული სიმძლავრის თვალსაზრისით) დაფარვის ზონები არ იცვლება და მობილური

ტერმინალის ქცევა ლოდინის რეჭიმში რჩება უცვლელი. ამრიგად, გადატვირთულობის შესამცირებლად უკეთესი იქნებოდა მიგვენიჭებინა **Signal\_lev<sub>min</sub>=-110dBm** (საბაზო სადგურის და მობილური ტერმინალის მიღლების მგრძნობიარობის დონე). ეს გარანტირებულად მოგვცემდა საშუალებას, რომ ყველა მობილური ტერმინალი, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ სიგნალი მეზობელი ფიჭიდან, მიიღებენ მის რესურსს. არსებითია, რომ ამ შემთხვევაში გადატვირთულობების შემცირებისას, რომელიც გამოწვეულია ცუდი რადიო პირობებით, გაიზრდება ხარისხის სხვა მაჩვენებელი – შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა, ლოგიკური პარამეტრების რა მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ? სხვა სიტყვებით, რამდენად უნდა გავზარდოთ დაფარვის ზონა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესების გარეშე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოიძებნოს დამოკიდებულება გადატვირთულობებით მომსახურების დროს უარის მნიშვნელობას და შეერთების გაწყვეტას შორის, როგორც ფუნქციას განსაზღვრული დონის სიგნალის წილთან, რომელსაც ვუწოდოთ ზღვრული. ზღვრული დონე, ეს არის სიგნალის მინიმალური დონე, რომლის დროსაც მოსალოდნელია (დასაშვებია) აბონენტის მომსახურება. ის დამოკიდებულია გარემოს ინტერფერენციულ სურათზე, რელიეფის თავისებურებებზე, შენობების სიმჭიდროვეზე და სხვა, და როგორც წესი განისაზღვრება ემპირიულად სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე. გათვლებისათვის ზღვრულ დონედ მივიღოთ -95 dBm. **Signal\_lev<sub>min</sub>** მნიშვნელობა განისაზღვრება სიგნალების წილით, რომელთა დონე ნაკლებია ზღვრულზე.

### 3.2.1 “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენა უარების ალბათობაზე

ერლანგის ცნობილი ფორმულა უმარტივესი ნაკადისათვის შეკვეთების (გამოძახებების) შემოსვლის ინტენსივობით  $\lambda$  და მომსახურების საშუალო ხანგრძლივობით  $1/\mu$  ამყარებს დამოკიდებულებას უარის ალბათობასა და დაკავებულ და მიღწევად ხაზებს შორის (ჩვენ შემთხვევაში მიღწევად და დაკავებულ ტაიმ-სლოტებს ფიჭაში) [20,76].

აღნიშნული ფორმულა გამტარუნარიანობის შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას იზოლირებული ფიჭის შემთხვევაში, რადგანაც აღნიშნული მათემატიკური მოდელი არ ითვალისწინებს მობილური ქსელების დაგეგმარების და აგების ძირითად პრინციპს - ფიჭების გადაფარვას. რომლის გარეშეთაც შეუძლებელი გახდებოდა პენდოვერი და სხვა პროცედურები, რომლებითაც ხასიათდებიან მობილური კავშირის ქსელები. [54]-ე ნაშრომში მიღებულია ფორმულა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოითვალოს უარის ალბათობა გადაფარვის ზონების გათვალისწინებით:

$$P_{\text{აღთ.}} = \frac{\frac{1}{N!} \left( \frac{\lambda_a}{\mu} \sum_{k=1}^K k \frac{S_k}{4^{k-1}} \right)^N}{\sum_{j=0}^N \frac{1}{j!} \left( \frac{\lambda_a}{\mu} \sum_{k=1}^K k \frac{S_k}{4^{k-1}} \right)^j}, \quad 3.1$$

სადაც  $N$  – ფიჭაში ტაიმ-სლოტების დასაშვები რაოდენობაა;  $\lambda_a$  – ფიჭაში ტაიმ-სლოტების დაკავებაზე მოთხოვნის ალბათობაა;  $\mu$  – მომსახურების საშუალო ხანგრძლივობის შებრუნებული პარამეტრია;  $K$  – ფიჭების გადაფარვის ჯერადობაა (დაშვებულია, რომ ფიჭას გააჩნია მაქსიმუმ ოთხჯერადი გადაფარვა, ე. ი.  $K=4$ );  $S_k$  – ფიჭის ფართობია, სადაც შეიმჩნევა ფიჭის  $K$ -ჯერადი გადაფარვა;  $S_\phi$  – ფიჭის ფართობია.


(3.1) ფორმულით მიღებული შედეგები კარგად კოლერილდება პრაქტიკულ მნიშვნელობებთან. ნახ. 3.1-ზე აგებულია თეორიული დამოკიდებულება  $P_{\text{გათ}}(\lambda_a)$  და ექსპერიმენტალური მონაცემები, რიგი ფიჭებისათვის, სადაც გააქტიურებულია “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურა ნახ. 3.2-ზე მოცემულია უარის ალბათობის დამოკიდებულების გრაფიკი, რომელიც აგებულია ერლანგის კლასიკური ფორმულით (წყვეტილი მრუდი) და 3.1 მოდიფიცირებული ფორმულის მიხედვით (უწყვეტი მრუდი). როგორც მოყვანილი ნახაზებიდან ჩანს ფიჭების გადაფარვა საშუალებას იძლევა გაიზარდოს გამტარუნარიანობა 25%-ით.

ამრიგად მიღებული და ასევე [24,56,59,71] მოყვანილი შედეგები ასაბუთებენ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის ეფექტურობას, რომელიც წარმოადგენს მობილურ ქსელებში უარის ალბათობის შემცირების ან მისი გამტარუნარიანობის გაზრდის მეთოდს.


(3.1) ფორმულაში **Sk-s** გამოსათვლელად საჭიროა ვიცოდეთ  $r_c = r_{\text{აგშირ}} / r_{\text{ფა}}$ . რამდენათაც **Signal\_levmin** ამა თუ იმ მნიშვნელობის დაყენება ლოგოკურად განსაზღვრავს ამ დამოკიდებულებას, შეიძლება მოიძებნოს დამოკიდებულება  $P_{\text{გათოშვა}} - s_a$   $r_c$ -დან, სხვა სიტყვებით **Signal\_levmin** მნიშვნელობიდან, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს სიგნალის წილს ზღვრულზე ნაკლები დონით.

ნახაზ 3.3-ზე მოცემულია  $r_c - s$  დამოკიდებულების პრაქტიკული შედეგები ზღვრულზე ნაკლები დონის სიგნალის წილზე და მისი აპროკსიმირებული მრუდი. რეგრესიის ჰიპერბოლური კოეფიციენტი მოძებნილ იქნა საშუალოკვადრატული გადახრის მინიმუმის კრიტერიუმის საშუალებით. მიღებული რეგრესიის შეფასება მოყვანილია ქვემოთ შესაბამის პარაგრაფში.


მიღებული ფორმულის ჩასმით **Sk-s** გამოსათვლელ გამოსახულებაში მივიღებთ მომსახურებად ფიჭაში  $P_{\text{გათოშვა}} - s$  დამოკიდებულებას მეზობელი ფიჭის სიგნალის წილიდან ზღვრულზე ნაკლები დონით (იხ. ნახ 3.4). როგორც ნახაზიდან ჩანს უარის ალბათუბა მით უფრო მცირება, რაც მეტია “სუსტი” სიგნალი მეზობელ ფიჭაში, ე.ი. რაც მეტია გადაფარვის ზონა.




ნახ. 3.1 დამოკიდებულება  $P_{\text{გათ}}(1g)$



ნახ. 3.2 უარის ალბათობის დამოკიდებულების გრაფიკი საათში  
გამოძახვების რაოდენობიდან,



ნახ. 3.3  $r_c$ -ს დამოკიდებულების პრაქტიკული შედეგები ზღვრულზე  
ნაკლები დონის სიგნალის წილზე და მისი აპროკსიმირებული მრუდი



ნახ. 3.4  $P_{გათ.}$ -ის დამოკიდებულება მეზობელი ფიჭის სიგნალის წილი  
ზღვრულზე ნაკლები დონით სიგნალის წილი


### 3.2.2 “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენა შეერთებების გაწყვეტის მნიშვნელობაზე

[24,59,70,71] ლიტერატურაში არ არის მოყვანილი “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების აწყობის რეკომენდაციები და აღნიშნული პროცედურა განხილული იყო მხოლოდ შეერთების უარის ალბათობის შემცირების თვალსაზრისით. [57,58] ლიტერატურაში ასევე განხილულია გავლენა შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობაზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ძალიან გადატვირთულობად სექტორებში, როგორც წესი ხდება იძულებითი “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის ინიცირება, ე.ი. მობილური ტერმინალი ამ შემთხვევაში უარეს რადიოპირობებში ხვდება. პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს განვსაზღვროთ, რამდენად შესაძლებელია რადიოპირობების გაუარესება ისე რომ შევინარჩუნოთ ხარისხის მაჩვენებლის მოცემული მნიშვნელობა. ამისათვის გაანალიზდა მობილური ქსელის ნაწილის რიგი სექტორები, რომელთათვისაც მიღებულ იქნა შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობის დამოკიდებულება ზღვრულზე ნაკლები დონის სიგნალის წილზე. ნახ. 3.5-


ზე მოცემულია ექსპერიმენტული მნიშვნელობები და აპროკსიმირებული მრუდი. როგორც წინა შემთხვევაში ექსპონენციალური რეგრესის კოეფიციენტი მოძებნილ იქნა საშუალოკვადრატული გადახრის (სპბ) მინიმუმიდან გამომდინარე.

რამდენათაც “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გამოყენების დროს უარის ალბათობა ფასდება მომსახურებად ფიჭაში და შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობა მეზობელ ფიჭაში, წინა პარაგრაფში უარის ალბათობის ფუნქციის არგუმენტი გადათვლილი იყო მეზობელ ფიჭაში ზღვრულზე ნაკლები დონის სიგნალის წილზე.

თუ ავაგებთ დამოკიდებულებას უარის ალბათობასა და შეერთების გაწყვეტას შორის ერთი და იგივე კოორდინატთა სისტემაში (რადგანაც ამ შემთხვევაში მათ გააჩნიათ ერთნაირი არგუმენტი) და შევაფასებთ ახალ მაჩვენებელს – წარუმატებელი შეერთების წილს, შეიძლება შევაფასოთ სიგნალის რა წილი შეიძლება გვქონდეს ზღვრული დონის ქვემოთ, ე.ი. რამდენად შეიძლება გავაფართოვოთ გადაფარვის ზონა. ეს სამი დამოკიდებულება მოცემულია ნახაზ 3.6-ზე. წარუმატებელი შეერთების საჭირო დონე მივიღოთ 2%-ის ტოლად. ამ შემთხვევაში იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ აღნიშნული მნიშვნელობა დასაშვებია გვქონდეს 15%-მდე სიგნალი ზღვრული დონის ქვემოთ. აქედან გამომდინარე აუცილებელია შესაბამისი მეთოდით ავირჩიოთ ლოგიკური პარამეტრები “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების აწყობის დროს.



ნახ. 3.5 გაწყვეტის მნიშვნელობის დამოკიდებულება ზღვრულზე ნაკლები დონის სიგნალის წილზე



ნახ. 3.6 შეერთების გაწყვეტის ან წარუმატებელი შეერთების  
მნიშვნელობის დამოკიდებულება ზღვრულზე ნაკლები დონით სიგნალის წილი  
წილზე

### 3.2.3 მიღებული რეგრესიის კოეფიციენტების შეფასება

განვიხილოთ მოყვანილი შეფასებების მნიშვნელობა ნახ. 3.3 და 3.4-ზე მოყვანილი რეგრესიის მრუდების აგებისას და მოვალეობის სანდოობის ინტერვალი (სანდოობის ინტერვალი ესაა ინტერვალი რომელშიც მოცემული ალბათობით მოიძებნება უცნობი პარამეტრის მნიშვნელობა). სანდოობის ბარიერი მივიღოთ 95%-ის ტოლად. ჩ-სა და შეერთების გაწყვეტას შორის დამოკიდებულებისათვის რეგრესიის კოეფიციენტები მიღებულ იქნა საშუალოკვადრატული გადახრის (სპ) მინიმუმიდან გამომდინარე, ე.ი. საჭირო იყო მოგვეძებნა ისეთი კოეფიციენტები, რომლებიც მოახდენდნენ შემდეგი ფუნქციების მიმიმიზაციას:

$$\text{სპ}_1 = \sum_i (y_{1i} - [\bar{x}_{1i} + b])^2, \quad \bar{x}_{1i} = \frac{a}{x_{1i}}, \quad (3.2)$$

$$\text{სპ}_2 = \sum_i (\bar{y}_{2i} - [\bar{c} + d \cdot x_{2i}])^2, \quad \bar{y}_{2i} = \ln y_{2i}, \quad \bar{c} = \ln c, \quad (3.3)$$

სადაც  $y_{1i}$  და  $y_{2i}$  - შესაბამისად  $r_c$ -ს ექსპერიმენტული და შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობებია,  $x_{1i}$  და  $x_{2i}$  - დონით ზღვრულ მნიშვნელობაზე ქვევით სიგნალის წილის ექსპერიმენტალური მნიშვნელობაა,  $a, b, c, d$  – რეგრესიის კოეფიციენტებია.

(3.2) და (3.3) განტოლებების ამოხსნამ საშუალება მოგვცა გვეპოვნა რეგრესიის კოეფიციენტები:

$$a = -0.013$$

$$b = 1.96$$

$$c = 0.011$$

$$d = 3.94$$

მოვახდინოთ  $b$  და  $c$  კოეფიციენტების შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენენ იმ საზღვრების განსაზღვრაზე, სადაც მოხვედრილია ექსპერიმენტული მონაცემები. პირველ რიგში აუცილებელია შევამოწმოთ რეგრესიის განტოლების მიღებული მნიშვნელობა, ე.ი. დავადგინოთ, შეესაბამება თუ არა ნაპოვნი მათემატიკური მოდელი, რომელიც ორ ცვლადს შორის დამოკიდებულებას გამოსახავს, ექსპერიმენტალურ მონაცემებს. რეგრესიის განტოლება  $a$  დონეზე მნიშვნელოვანია, თუ სრულდება პირობა [55]:

$$F = \frac{Q_R(n-m)}{Q_e(m-1)} > F_{\alpha, k_1, k_2}, \quad (3.4)$$

$$k_1 = m-1,$$

$$k_2 = n-m,$$

სადაც  $Q_R$  - კვადრატულ გადახრის ჯამზე დამოკიდებული ცვლადია, რომელიც დამოკიდებულია საშუალო მნიშვნელობიდან და რეგრესიონა განპირობებული,  $Q_e$  - კვადრატულ გადახრის ჯამზე დამოკიდებული ცვლადია, რომელიც დამოკიდებულია საშუალო მნიშვნელობიდან და ახასიათებს გაუთვალისწინებელი ფაქტორების გავლენას,  $n$  – მონაცემთა რაოდენობაა,  $m$  – რეგრესიის განტოლებაში ცვლადების რაოდენობაა,  $F_{\alpha, k_1, k_2}$  ფიშერ-სნედეკორის (ფიშერის კრიტერიუმი – აპოსტერიალური სტატისტიკური კრიტერიუმი, რომელიც გამოიყენება ვარიაციული ორი რიგის დისპერსიის შესაბარებლად, ე.ი. დისპერსიული ანალიზის დროს ჯგუფურ გასაშუალებულ მნიშვნელობებს შორის მნიშვნელოვანი

განსხვავების განსაზღვრისათვის. დისპერსია არის სიდიდე, რომელიც ახასიათებს სტატისტიკური ანათვლების გაბნევის ხარისხს საშუალო მნიშვნელობასთან (შედარებით) -კრიტერიუმის ცხრილური მნიშვნელობაა [55].

შევიტანთ რა (3.4) განტოლებაში საჭირო პარამეტრების შესაბამის მნიშვნელობებს მივიღებთ, რომ რეგრესიის მრუდისათვის, რომელიც განსაზღვრავს  $t_c$ ,  $F=12.176$ , ხოლო  $F_{0.05,40,1}=4.08$ . რეგრესიის მრუდისათვის, რომელიც განსაზღვრავს შეერთების გაწყვეტის დამოკიდებულებას  $F=129.202$ . ამრიგად რეგრესიის მოძებნილი განტოლებები არსებითია და 95%-იანი ალბათობით აგებული დამოკიდებულება აღწერენ შეერთების გაწყვეტის და  $t_c$ -ის ქცევას.

განვსაზღვროთ  $b$  და  $c$  პარამეტრების სანდოობის ინტერვალი (3.2) და (3.3) განტოლების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავენ რეგრესიის მრუდების ქცევას. სანდოობის ინტერვალის საზღვრები განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებიდან [55]:

$$b \pm t_{1-\alpha;n-2} \cdot \sqrt{\frac{\sum_i (a \cdot (\bar{x}_{1i} - x_{1i_{\text{bs}}}) + b - y_{1i})^2}{(n-2) \cdot n}}, \quad (3.5)$$

$$c \pm t_{1-\alpha;n-2} \cdot \sqrt{\frac{\sum_i (\bar{c} + d \cdot (x_{2i} - x_{2i_{\text{bs}}}) - \bar{y}_{2i})^2}{(n-2) \cdot n}}, \quad (3.6)$$

სადაც

$$x_{1i_{\text{bs}}} = \frac{\sum_i x_{1i}}{n}, \quad x_{2i_{\text{bs}}} = \frac{\sum_i x_{2i}}{n},$$

$t_{1-\alpha;n-2}$  - სტატისტიკის  $t$ -კრიტერიუმია (ჰიპოტეზის სტატისტიკური შემოწმების მეთოდების ზოგადი სახელწოდებაა, რომელიც დაფუძნებულია სტატისტიკის განაწილებასთან შედარებაზე. ორი ანათვლის საშუალო მნიშვნელობების ტოლობაზე შემოწმება  $t$ -კრიტერიუმის კერძო შემთხვევაა)

შევიტანთ რა (3.5) და (3.6) ფორმულაში ყველა ცვლადის საჭირო მნიშვნელობებს, მოვიღებთ სანდოობის ინტერვალის შემდეგ საზღვრებს:

bE0.814, (3.7)

cE0.016. (3.8)

ამრიგად, 95%-იანი ალბათობით ჩ-ს მნიშვნელობა მოთავსებულია (3.7) და შეერთების გაწყვეტა კი (3.8) გამოსახულებით განსაზღვრულ საზღვრებში.

### 3.3 სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის რესურსების

#### გადანაწილების პარამეტრების აწყობის მეთოდიკა


თანამედროვე პირობებში ისეთი მომსახურების პოპულარობის ზრდასთან დამოკიდებულებით, რომელიც დაფუძნებულია მონაცემთა გადაცემის პაკეტურ კომუტაციაზე, მობილური ოპერატორების წინაშე დგება არც თუ ისე მარტივი ამოცანა, განსაზღვროს არსებული რესურსის გადანაწილების სტრატეგია ორ ურთიერთ კონკურენტ - მონაცემთა პაკეტურ გადაცემის და სატელეფონო ტრაფიკის მომსახურებებს შორის, რადგანაც ორივე მომსახურება იყენებს ერთ და იგივე ფიზიკურ რესურსს. პრაქტიკულად მოწყობილობის ყველა მწარმოებელი კომპანიები საშუალებას იძლევიან ხისტად დააფიქსირონ ამა თუ იმ მომსახურებისათვის ტაიმ-სლოტი, ე.ი. მოთხოვნილობის და მიხედვით, ოპერატორს შეუძლია მთელი არსებული ტეგადობა გამოყოს მონაცემთა პაკეტური გადაცემისათვის (ამ შემთხვევაში სალაპარაკო ტრაფიკი ფიჭაში საერთოს არ იქნება), ან პირიქით აკრძალონ GPRS-თვის ტაიმ-სლოტების გამოყოფა [17]. არსებითად ეს უკიდურესი შემთხვევები არ მოიცავს ყველა რეალურ სიტუაციას, და პრაქტიკაში ოპერატორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოცემულ მომენტში სიტუაციიდან გამომდინარე დინამიურ ცვალოს რესურსები - ან გამოყოს ტაიმ-სლოტების დიდი რაოდენობა GPRS მომსახურებისათვის, ან პირიქით პრიორიტეტი გაუწიოს ხმოვან მომსახურებას. ამიტომ ყველა მწარმოებლის პროგრამულ უზრუნველყოფაში არსებობს რესურსების დინამიური მართვა. განვიხილოთ ასეთი მართვის ძირითადი პრინციპები [5,21,22,25,29,50,82].

უმრავლეს შემთხვევაში იმის გადასაწყვეტად თუ რა რესურსი უნდა იქნეს გამოყენებული GPRS-თვის დაფუძნებულია ფიჭაში მიმდინარე

დატვირთვის შედარებასთან ოპერატორის მიერ მოცემულ ზღვრული დატვირთვის დონესთან. დატვირთვად მიიღება მომსახურების ტიპის მიუხედავათ დაკავებული ტაიმ-სლოტების რაოდენობა. ნახაზზ 3.7-ზე გრაფიკულადაა მოყვანილი GPRS-თვის ტაიმ-სლოტების გამოყოფის პროცესი.

განვსაზღვროთ ორდინატთა დერძზე გადაზომილი ლოგიკური პარამეტრები, რომელთა მნიშვნელობა საშუალებას გვაძლევს დინამიურად ვმართოთ რესურსების განაწილება.

**HIGH\_TRAFFIC** – ფიჭის დატვირთვის პროცენტული მნიშვნელობა, როდესაც სისტემის თვალსაზრისით ის ითვლება ძალიან დატვირთულად.



ნახ. 3.7 GPRS-თვის ტაიმ-სლოტების გამოყოფის პროცესი.

**MAX\_PDCH** – ფიჭაში GPRS-თვის გამოყოფილი ტაიმ-სლოტების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობა.

**MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC** - ფიჭაში GPRS-თვის გამოყოფილი ტაიმ-სლოტების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობაა, იმ პირობით, რომ ფიჭა იმყოფება მაღალი დატვირთვის მდგომარეობაში.

**MIN\_PDCH** - ფიჭაში GPRS-თვის მყარად მიმაგრებული ტაიმ-სლოტების რაოდენობა.

აგხსნათ ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს რესურსების დინამიური გადანაწილების დროს, ნახ. 3.7-ის თანახმად [11,30]:

1 – ფიჭაში გააქტიურებულია GPRS რისთვისაც გამოიყენება 1 ტაიმ-სლოტი.

2 – პაკეტური ტრაფიკი იზრდება და რადგანაც ხმოვანი ტრაფიკი მცირება სისტემა საშუალებას იძლევა GPRS-თვის დაკავებული იქნეს ყველა შესაძლო ტაიმ-სლოტი.

3 – ხმოვანი ტრაფიკი იწყებს ზრდას, საერთო დატვირთვა აჭარბებს მოცემულ ზღვარს და სისტემის თვალსაზრისით ფიჭა გადადის მაღალი დატვირთვის მდგომარეობაში.

4 – ხმოვანი ტრაფიკი აგრძელებს ზრდას, საერთო დატვირთვა ჯერ კიდევ აჭარბებს მოცემულ ზღვარს, GPRS-დან კიდევ ერთი ტაიმ-სლოტი თავისუფლდება ხმოვანი ტრაფიკის სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში თუ შენარჩუნებულია ხმოვანი ტრაფიკის ზრდის დინამიკა, მაშინ პაკეტური ტრაფიკისათვის გამოყოფილი ტაიმ-სლოტების რაოდენობა თანდათან მცირდება სიდიდემდე, რომელიც **MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC** მნიშვნელობითად აღნიშნული.

5 – ხმოვანი ტრაფიკი მცირედ შემცირდა, და ფიჭის საერთო დატვირთვა მცირება მოცემულ ზღვარზე. მაგრამ მისი მნიშვნელობა ისეთია, რომ ფიჭაში GPRS-თვის ტაიმ-სლოტის გამოყენება იწვევს ზღვრულზე გადამეტებას, ამიტომ დამატებითი რესურსის გამოყოფა პაკეტური ტრაფიკისათვის არ ხდება.

6 – ხმოვანი დატვირთვა აგრძელებს შემცირებას, ამასთან სისტემას საშუალება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში გამოყოს დამატებითი რაოდენობის ტაიმ-სლოტები პაკეტური ტრაფიკისათვის. ამასთან მათი რაოდენობა ისეთია, რომ სარერთო დატვირთვამ არ გადააჭარბოს **HIGH\_TRAFFIC** ზღვრულ მნიშვნელობას.

ასევე უცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი ოპცია, რომელიც სტანდარტიზირებულია და უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენება პაკეტური ტრაფიკის გადაცემის დროს მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად – ესაა **TBF(Temporary Block Flow** - ბლოკების დროებითი ნაკადი) – შეერთების (**delayed TBF release**) დამთავრების დაყოვნება. ამ ოპციის მირთადი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ უფრო ეფექტურად, ხაზით “ქვევით” TBF – შეერთების ჭარბი დამყარების გარეშე, გადაიცეს წყვეტილი პაკეტური ტრაფიკი, რომლითაც ხასიათდებიან მონაცემთა

გადაცემის გარე ქსელების შლუზები და სერვერები და რომლებიც შემოდიან საბაზო სადგურის ქვესისტემაზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ TBF ხანგრძლიობის გაზრდით შეერთების დამყარებაზე მცდელობა მცირდება, და წყვეტების რაოდენობა კი რჩება იგივე, კ.ი. აბონენტის თვალსაზრისით სიტუაცია არ შეცვლილა, ფორმალურად კი ხარისხის მაჩვენებლების მნიშვნელობა შეიძლება გაუარესდეს.

ამრიგად, რესურსების დინამიურად მართვის გააქტიურების პირობებში აუცილებელია განისაზღვროს ძირითადი ლოგიკური პარამეტრების მნიშვნელობები, რომლებიც პასუხს აგებენ ამ ოპციის მუშაობაზე. დასაწყისში მოვიყვანოთ თეორიული გათვლები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ზემოთ აღნიშნულ ლოგიკურ პარამეტრებს, ხოლო შემდგა თეორიულად მიღებული მონაცემები დავასაბუთოთ პტაქტიკული შედეგებით.

პაკეტური გადაცემისათვის უარის ალბათობის გამოსათვლელად გამოვიყენოთ [11]-ში მიღებული შედეგები:

$$P_{\text{გათ. - GPRS}} = \frac{\sum_{i=M-N+1}^{\infty} \frac{(U \cdot N)^i}{N! N^{(i-N)}}}{\sum_{i=0}^N \frac{(U \cdot N)^i}{i!} + \sum_{i=N+1}^{\infty} \frac{(U \cdot N)^i}{N! N^{(i-N)}}} \quad (3.9)$$

სადაც:

**U** – პაკეტური ტრაფიკის გადაცემისათვის შენახული რესურსია და ტოლია პაკეტური ტრაფიკის შეფარდებისა არხების იმ რაოდენობასთან, რომლებიც გამოყოფილია პაკეტური ტრაფიკის გადასაცემად.


**M** – ერთ ტაიმ-სლოტში TBF-ის მაქსიმალური მნიშვნელობაა (მიღებულია 9-ის ტოლად).

**N** – მონაცემების პაკეტური გადაცემისათვის (**N<sub>GPRS</sub>**) გამოყოფილი არხების დამოკიდებულებაა დაკავებული არხების საერთო რიცხვთან (**N<sub>საჯრ.</sub>**).

<b>MAX_PDCH_HIGH_TRAFFIC</b>	და	<b>HIGH_TRAFFIC</b>	პარამეტრების
მნიშვნელობები	განსაზღვრავენ	<b>N<sub>GPRS</sub>-ის</b>	რაოდენობას.
გიპოვით	დამოკიდებულებას	<b>P<sub>გათ. - GPRS</sub>(N<sub>GPRS</sub>)</b>	შეიძლება
გიწინასწარმეტყველოთ	იმის შესახებ, თუ ტაიმ-სლოტების რა მინიმალური		

რაოდენობა უნდა იქნეს გამოყოფილი GPRS მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ნახაზ 3.8-დან ჩანს, რომ მონაცემთა პაკეტური გადაცემისათვის ერთი ტაიმ-სლოტის გამოყოფა იწვევს უარის ალბათობის შემცირებას GPRS მომსახურებისათვის 20%-ით.



ნახ. 3.8.  $P_{გათ.-GPRS}$  დამოკიდებულება  $N_{GPRS}$ -ზე

ხმოვანი ტრაფიკის გადაცემის უპირობო პრიორიტეტის პირობებში (სტრატეგია, რომელსაც დღეისათვის ანხორციელებენ მობილური კავშირის ყველა ოპერატორი), ლოგიკურია საერთოდ არ გამოვყოთ ცალკეული ტაიმ-სლოტი **GPRS** მომსახურებისათვის, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს (რომელიც ქვემოთ იქნება ნაჩვენები), მობილური ქსელის ასეთი აწყობა არ წარმოადგენს ოპტიმალურს. ტრაფიკის პაკეტური გადაცემისათვის თუ არ არის გათვალისწინებული რესურსი, ფაქტიურად ოპერატორი ბლოკირებას უკეთებს **GPRS** მომსახურებას ხმოვანი მომსახურების დიდი ტრაფიკის დროს. უარის ალბათობის 20%-ით შემცირება საშუალებას იძლევა, პირველ შემთხვევაში მობილური ტერმინალით ქსელთან განხორციელდეს სასამსახურო ინფორმაციის გაცვლა, ე.ო. არ დაიკარგოს **GPRS**-ის ქსელი ლოდინის რეჟიმში, მაგალითად რეგისტრაციის პროცედურის განსახორციელებლად (Location

Update-ს ანალოგიურად ხმოვანი ტრაფიკის შემთხვევაში), და მეორეს მხრივ განხორციელდეს GPRS მომსახურების სარგებლობის შესაძლებლობა. ამრიგად, შედეგები, რომლებიც მიღებულია (3.9) ფორმულით, საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ პაკეტური ტრაფიკისათვის აუცილებელია დავიკავოთ მინიმუმ ერთი ტაიმ-სლოტი.

ეხლა აღნიშნული ამოცანა განვიხილოთ პრაქტიკაში, ექსპერიმენტაციური შედეგების საფუძველზე. ამისათვის “ბილაინის” მობილური ქსელის საცდელ მონაკვეთზე განხორციელდა პარამეტრების მნიშვნელობის რიგი ცვლილება და ასეთი ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა შემდეგი:

1. ყველა სექტორისათვის, ტრანსივერის რაოდენობიდან დამოუკიდებლად და Half Rate რეჟიმის დროს საჭიროა დავაყენოთ მონაცემები ცხრილ 3.1-ის მიხედვით.

### ცხრილი 3.1

პარამეტრი	მნიშვნელობა
T-DYN	15 წმ.
UL_INIT_CS	CS 2
DL_INIT_CS	CS 2
MAX_PDCH_HIGH_TAFFIC	1
N_TBF_PER_TS	1

T\_DYN-ის მნიშვნელობა უშუალოდ ახდენს გავლენას რესურსების დინამიურად გადანაწილების სიჩქარეზე და მისი არჩევა საშუალებას გვაძლევს მინიმიზაცია გაუპარეოთ რესურსების დინამიურად გადანაწილების ხანგრძლიობას, ე.ი. აღნიშნული პარამეტრის ასეთი მნიშვნელობა ფიქსის დიდი დატვირთვის შემთხვევაში საშუალებას იძლევა სწრაფად გამოთავისუფლდეს რესურსი ხმოვანი ტრაფიკის სასარგებლოთ. აღსანიშნავია, რომ 15წმ. – პრაქტიკულად მობილური ქსელის ყველა ფიქსისათვის მინიმალურად შესაძლო მნიშვნელობაა, რადგანაც უფრო მცირე მნიშვნელობა ქმნის კონტროლერის პროცესორებზე დიდ დატვირთვას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მობილური ქსელის მუშაობაში ჩავარდნები. მაგალითისათვის ერთ კონტროლერზე ფიქსების 20%-ზე შეიძლება აღნიშნული დრო შევამციროთ 5წმ-და.

**UL\_INIT\_CS** და **DL\_INIT\_CS** მნიშვნელობები განსაზღვრავენ კოდირების საწყის სქემას. დოგორც ცნობილია [9,33] GPRS სისტემებში (EDGE ტექნოლოგიის გაუთვალისწინებლად) გამოყენება კოდირების ორი სქემა: **CS1** და **CS2**. პირველი უფრო ხელშეშლა მდგრადია და მისი გამოყენებისას სასარგებლო ინფორმაციის გადავცემა ხდება უფრო მცირე სიჩქარით, ვიდრე **CS2** კოდირების დროს. ოპერატორი დააყენებს, რა საწყის სქემად **CS2** ზრდის სიჩქარეს TBF-ზე. უცილებელია აღინიშნოს, რომ ასეთი აწყობა მიზანშეწონილია მცირედ ხმაურიანი რადიო არხების დროს. თუ არ არის რადიო არხების ხელშეშლა მდგრადობა გარანტირებული, მაშინ მობილური ქსელის ამ ნაწილში საწყისად უნდა დავაყენოთ **UL\_INIT\_CS** და **DL\_INIT\_CS** პარამეტრები **CS1**-ის ტოლად, ხოლო შემდეგ მოხდეს **CS2**-ზე გადასვლა და თუ TBF-ის გაყენებაზე გამეორებების რაოდენობა არ შეიცვლება, შეიძლება **UL\_INIT\_CS** და **DL\_INIT\_CS** პარამეტრებად დაგტოვოთ **CS1**.

**N\_TBF\_PER\_TS**-ის მნიშვნელობის არჩევის მიზანს ასევე წარმოადგენს TBF-ზე სიჩქარის გაზრდა მისი დამყარების დროს, ე.ო. თუ არსებობს თავისუფალი ტაიმ-სლოტი, მაშინ ახალი TBF-ს დანიშვნა მოხდება ახალ ტაიმ-სლოტზე. თუ არ არის თავისუფალი ტაიმ-სლოტი, მაშინ TBF-ის დანიშვნა მოხდება ტაიმ-სლოტზე, რომელიც შეიძლება უკვე გამოყენებული იყო სხვა მომხმარებლების მიერ.

2. **MAX\_PDCH** და **MAX\_PDCH\_HIGH\_TAFFIC** მნიშვნელობები (გამოისახება პროცენტებში, როგორც ფიჭაში ყველა დაკავებული ტაიმ-სლოტების დამოკიდებულება ტაიმ-სლოტების საერთო რაოდენობასთან, რომლებიც სასამსახურო არხებით არაა დაკავებული) აუცილებელია ავიდოთ სექტორში ტრანსივერების რაოდენობიდან დამოკიდებულებით ცხრილ 3.2-ის მიხედვით.

TRX/პარამეტრის რაოდენობა	HIGH_TAFFIC	MAX_PDCH
1 TRX	83%	5
2 TRX	92%	12
3 TRX	90%	19
4 TRX	93%	26
5TRX	94%	34
6 TRX	95%	41

ამასთან იგარაუდება, რომ მობილური ქსელის სექტორების არა ნაკლებ 90%-ს 1 TRX-ით გააჩნიოთ 6 ტაიმ-სლოტი, რომლებიც არაა დაკავებული სასამსახურო არხებით, 2 TRX-ით – 13 ტაიმ-სლოტი, 3 TRX-ით – 21 ტაიმ-სლოტი, 4 TRX-ით – 28 ტაიმ-სლოტი, 5 TRX-ით – 36 ტაიმ-სლოტი, 6 TRX-ით – 43 ტაიმ-სლოტი, თუ ტრანსივერების კონფიგურაცია ზემოთ მოყვანილისაგან განსხვავებულია, მაშინ მიზანშეწონილია ვისარგებლოთშემდეგი ზოგადი წესით:

- ერთ და ორ ტრანსივერიანი სექტორებისათვის, Half Rate რეჟიმის არსებობის და მიუხედავად, MAX\_PDCH და HIGH\_TAFFIC:

$\text{MAX\_PDCH} = \text{TS}_{\text{რაოდენობა}} - 1$ , სადაც  $\text{TS}$  – დასაშვები ტაიმ-სლოტების რაოდენობაა, რომლებიც არ არიან სასამსახურო არხებით დაკავებული და

$$\text{MAX\_PDCH\_HIGH\_TAFFIC} = 100 * (\text{MAX\_PDCH} / \text{რაოდენობა TS})$$

- სამი და მეტ ტრანსივერიანი სექტორებისათვის Half Rate რეჟიმის არსებობის და მიუხედავად:

$$\text{MAX\_PDCH} = \text{TS}_{\text{რაოდენობა}} - 2$$

$$\text{HIGH\_TAFFIC} = 100 * (\text{MAX\_PDCH} / \text{TS}_{\text{რაოდენობა}})$$


პარამეტრების ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობები ასევე განსაზღვრულ იქნა ექსპერიმენტალური გზით, “ბილაინის” მობილური ქსელის ექსპერიმენტალურ მონაკვეთზე შეგროვილი და დამუშავებული სტატისტიკის საფუძველზე. ჩატარებული გამოკვლევების მიზანს წარმოადგენდა ოპტიმალური აწყობის მოძებნა, როდესაც მობილურ ქსელში ხორციელდება როგორც ხმოვანი ასევე პაკეტური ტრაფიკის გადაცემა. ოპტიმალურ აწყობად მიიღება ისეთი აწყობა, რომლის დროსაც ხდება მინიმალური ზემოქმედება უპირველესად ხმოვანი ტრაფიკის ხარისხის მაჩვენებელზე (TCH-ის გადატენირებულობა), და ასევე GPRS ტრაფიკის ხარისხის მაჩვენებელზე (TBF-ის წარუმატებელი დანიშვნა UL-ზე).

მობილური ქსელის ექსპერიმენტაციურ ნაწილზე (ქსელის ფიჭების დაახლოებით 60%) განხორციელებული იქნა შემდეგი აწყობა, რომელიც მოქმედებდა ხმოვანი და GPRS ტრაფიკებს შორის რესურსის გადანაწილებაზე:

#### **MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=0**

HIGH\_TRAFFIC=83% და HIGH\_TRAFFIC=93% შესაბამისად ერთტრანსივერიანი და ორტრანსივერიანი სექტორებისათვის, ე.ო. ერთი ტაიმ-სლოტი დატოვებულ იქნა თადარიგში.

ამასთან შერჩეული იქნა ისეთი სექტორები, რომლებზეც არ არსებობდნენ TCH-ზე გადატგირთულობები და მინიმუმ საშუალოდ ერთი ტაიმ-სლოტი იყო თავისუფალი. ე.ო. ყველაზე გადატგირთულობადი სექტორები, რომლებზეც MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=0 დღის და დამის საათებში გამოიწვევდა GPRS მომსხურების შეზღუდვას, არ განიხილებოდა.




ნახ. 3.9 P<sub>Burst\_GPRS</sub> განაწილება დღეების მიხედვით

ნახ. 3.9-ის ორდინატთა ლერძზე გადაზომილია P<sub>Burst\_GPRS</sub> -ის მნიშვნელობა, რომელიც პრაქტიკაში გამოითვლება პროცენტებში წარუმატებელი TBF შეერთებების მიხედვით, გამოწვეული UL მიმართულებაში რადიორესურსის უკმარისობით.


აღნიშნულმა აწყობამ საშუალება მოგვცა მთელ ქსელში გაგვეზარდა P<sub>Burst\_GPRS</sub>-ის მნიშვნელობა დაახლოებით 3-4%-ით (იხ. ნახ. 3.9). ამასთან TCH-ზე გადატგირთულობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ძირითადი წვლილი მოდიოდა ერთტრანსივერიან და რამოდენიმე ორტრანსივერიან სექტორებზე (რომლებიც მუშაობენ Full

**Rate** რეჟიმში) დატვირთვით 11-12 ერლანგთან სიახლოვეს. უნდა კიგარაუდოთ, რომ **UL TBF** წარუმატებელი დანიშნის გაზრდა დაკავშირებულია ფიჭის დატვირთვის შეფასების საკმაოდ დიდ დროსთან – დაახლოებით 15წ. აღნიშნული პიპოტების შესამოწმებლად “ბილაინის” მობილური ქსელის ექსპერიმენტაციური მონაცემთის ყველაზე გადატვირთულობადი ფიჭის დატვირთვის შეფასების დრო შემცირებულ იქნა 5წ-დე (აპარატურის რიგ მწარმოებლების მიერ რეკომენდირებული მინიმალურად შესაძლო დრო ხმოვან და GPRS ტრაფიკებს შორის რესურსების გადანაწილების ალგორითმის პროგრამულ უზრუნველყოფაში შესასრულებლად). მაგრამ, როგორც ნახაზზ 3.10-დან ჩანს არ მოხდა  $P_{\text{გათ}_-\text{GPRS}}$ -ის მნიშვნელობის მნიშვნელოვანი ცვლილება, მაგრამ შეიმჩნევა მცირე გაუმჯობესება. გრაფიკზე “ჩაგარდნა” გამოწვეულია იმით, რომ ამ პერიოდში პარამეტრი **MAX-PDCH-HIGH-TRAFFIC** ერთის ტოლი იყო.

აღსანიშნავია, რომ არჩეული იყო **Half Rate** რეჟიმში მომუშავე ერთტრანსივერიანი სექტორები და მათზე იქნა **HIGH\_TRAFFIC**-ის მნიშვნელობა გაზრდილი 92%-მდე, ე.ი. თადარიგში რჩებოდა 0.5 ტაიმ-სლოტი ან სხვა სიტყვებით ნახევარ სიჩქარიანი კოდირების რეჟიმით ერთი გამოძახება. როგორც ნახ 3.11-დან ჩანს მიღწეული იქნა  $P_{\text{გათ}_-\text{GPRS}}$ -ის მნიშვნელობის შემცირება. მაგრამ მიუხედავად ასეთი გაუმჯობესებისა  $P_{\text{გათ}_-\text{GPRS}}$ -ის მნიშვნელობა ჯერ კიდევ რჩება მაღალი.




ნახ. 3.10  $P_{\text{გათ}_\text{-GPRS}}$ -ის მნიშვნელობის განაწილება დღეების მიხედვით



ნახ. 3.11  $P_{\text{გათ}_\text{-GPRS}}$ -ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე

ამრიგად,  $P_{\text{გათ}_\text{-GPRS}}$ -ის მნიშვნელობის შემცირება განპირობებულია **MAX-PDCH-HIGH-TRAFFIC**-ის მნიშვნელობის 1-დან 0-მდე შემცირებით. ერთადერთ დადებით მომენტს წარმოადგენს სექტორის გადატვირთულობის გამო წარუმატებელი პენდოვერის პროცენტის შემცირებაა (იხ. ახ. 3.12). მაგრამ ასეთი გაუმჯობესება არც თუ ისე მნიშვნელოვანია **GPRS**-ის ხარისხის გაუარესებასთან შედარებით. ამიტომ ფიჭის მაღალი დატვირთვის დროსაც კი მიზანშეწონილია დავაყენოთ პარამეტრი **MAX-PDCH-HIGH-TRAFFIC=1**. მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ **MAX-PDCH-HIGH-TRAFFIC** პარამეტრის მნიშვნელობა გამცნობს ტაიმ-სლოტების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება გამოყოფილი იქნას **GPRS** ტრაფიკისათვის, როდესაც ფიჭა იმყოფება მაღალი დატვირთვის მდგომარეობაში, და მკაცრად არ ნიშნავს **GPRS** ტრაფიკისათვის ერთი ტაიმ-სლოტის გამოყოფას (ტაიმ-სლოტების **GPRS** ტრაფიკისათვის მკაცრად გამოყოფას არეგულირებს პარამეტრიც **MIN\_PDCN**). იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს **GPRS** ტრაფიკი ალინიშნული არხი შეიძლება გამოყენებული იქნას ხმოვანი ტრაფიკის გადასაცემად. როგორც პრაქტიკული შედეგები აჩვენებენ, **GPRS**-ის


აღნიშნული აწყობის დროს TCH-ზე გადატვირთულობები ხმოვანი ტრაფიკისათვის მნიშვნელოვნად არ იცვლება.




ნახ. 3.12 UnSucHO-ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე

ანალიზის ჩატარებისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია HIGH\_TRAFFIC-ის მნიშვნელობის არჩევა. ნახაზებზე 3.13-3.17 მოყვანილია  $P_{\text{გათოშ}_\text{GPRS}}$ -ის და დროის მნიშვნელობების დამოკიდებულების გრაფიკი, როდესაც ფიჭები იმყოფებიან მაღალი დატვირთვის მდგომარეობაში. ამ გრაფიკებიდან ჩანს ამ ორ დამოკიდებულებებს შორის აშკარა კორელაცია. ე.ი. დავაყენებოთ რა HIGH\_TRAFFIC-ს დაბალს, ჩვენ დაუსაბუთენდად საქმაოდ სწრაფად გადავიყვანო ამ ფიჭას მაღალი დატვირთვის მდგომარეობაში, ამით ვზღუდავთ GPRS-ის ხარისხს. ე.ი. MAX-PDCH-HIGH-TRAFFIC=0  $P_{\text{გათ}_\text{GPRS}}$ -ის მნიშვნელობა პრაქტიკულად ემთხვევა ფიჭის მაღალი დატვირთვის მდგომარეობაში ყოფნის პროცენტს. ნახ. 3.18 აღნიშნული დამოკიდებულებები მოცემულია მცირედ დატვირთული სექტორებისათვის. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ცვლილებების შეტანა  $P_{\text{გათ}_\text{GPRS}}$ -ის მნიშვნელობაზე არანაირად არ მოქმედებს. ამრიგად აზრი არა აქვს HIGH\_TRAFFIC-ის მნიშვნელობა


დავაყენოთ ძალიან დაბალი, რადგანაც დავაყენებოთ რა 83%-ს HIGH\_TRAFFIC-ს მნიშვნელობას ერთტრანსივერიანი სექტორისათვის და 92%-საც კი (Half Rate რეჟიმში მომუშავე ერთტრანსივერიანი სექტორისათვის) TCH -ზე გადატვირთულობები მნიშვნელოვნად არ შეიცვლება.




ნახ. 3.13  $P_{\text{low\_GPRS}}$ -ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე, ფიჭის  
მაღალი დატვირთვის დროს




ნახ. 3.14 P<sub>gsm\_GPRS</sub>-ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე, ფიჭის  
მაღალი დატვირთვის დროს




ნახ. 3.15 P<sub>gsm\_GPRS</sub>-ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე, ფიჭის  
მაღალი დატვირთვის დროს



ნახ. 3.16  $P_{\text{გამ-}_\text{GPRS}}$ -ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე, ფიჭის  
მაღალი დატვირთვის დროს



ნახ. 3.17  $P_{\text{გამ-}_\text{GPRS}}$ -ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე, ფიჭის  
მაღალი დატვირთვის დროს



ნახ. 3.18  $P_{\text{გათ}_\text{—GPRS}}$ -ის მნიშვნელობის დამოკიდებულება დროზე, ფიჭის  
მაღალი დატვირთვის დროს

### 3.4 დასკვნები მესამე თავთან დაკავშირებით

ჩატარებულ იქნა “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენის ანალიზი მობილური ქსელის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე: უარის ალბათობაზე და შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობაზე. პრაქტიკული შედეგები და (3.1) მოდიფიცირებული ფორმულით თეორიული გათვლები, რომლებიც ითვალისწინებდნენ გადაფარვის ზონის ზომებს აჩვენა, რომ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურა წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს მობილური კავშირის ქსელებში უარის ალნათობის შესამცირებლად, რომელიც საშუალებას იძლევა 25%-ით გაიზარდოს ქსელის გამტარუნარიანობა. ამის გარდა, კეყრდნობით რა ექსპერიმეტულ მონაცემებს, მიღებულ იქნა უარის ალბათობის და შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობის დამოკიდებულება ზღვრულ დონეზე ნაკლები სიგნალის წილიდან, რომელიც ახასიათებს გადაფარვის ზონის საზღვრებს. ჩატარებულ იქნა შეფასება და მოძებნილ იქნა ანალიტიკური გამოსახულებისათვის რეგრესიის კოეფიციენტების ნდობის ინტერვალი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოითვალოს დამოკიდებულება  $t_c$ -სა და შეერთების გაწყვეტას შორის.

აღნიშნული დამოკიდებულების გამოთვლისათვის გამოყენებულ იქნა “ბილაინის” მობილური ქსელის მონაცემი, რომელშიც არსებობდნენ ფიჭები, რომლებიც ემსახურებოდნენ ტერიტორიებს აბონენტებით როგორც “ქალაქური” ქცევით, ასევე ქალაქებარეთა სპეციფიკაციით. მიღებული შედეგების საფუძველზე, მივიღეთ რა სიგნალის ზღვრულ დონედ -95დბმ, შეიძლება ითქვას, რომ წარუმატებელი შეერთების მნიშვნელობის 2%-მდე შენარჩუნებით ლოგიკური პარამეტრების გადაწყობა, რომლებიც პასუხობენ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების მუშაობას, ისეთნაირად უნდა მოხდეს, რომ ზღვრულ დონეზე ნაკლები სიგნალის წილმა არ უნდა გადაამეტოს 15%. არსებითია, რომ თითოეული ქსელი ხასიათდება საკუთარი თავისებურებებით, რის გამოც განხილული დამოკიდებულებებს შეიძლება ჰქონდეთ ნაშრომში მიღებულ შედეგებისაგან განსხვავებული მნიშვნელობები. მაგრამ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენა ქსელის ხარისხობრივ მაჩვენებლების ანალიზის აღწერილ მიდგომას აზრი აქვს გამოყენებულ იქნას ქსელის ამა თუ იმ სპეციფიკისაგად დამოუკიდებლად.

ლოგიკური პარამეტრების მართვის შემოთავაზებული ალგორითმის გარდა, რომლებიც პასუხს აგებენ “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურებზე, GSM სტანდარტის ქსელებიში გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, შემოთავაზებულ იქნა ქსელის აწყობის ალგორითმი, რომელიც ითვალისწინებდა GPRS ტექნოლოგიას. თეორიული ანალიზის ჩატარების და პრაქტიკული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საწყის აწყობად, დიდი ხმოვანი ტრაფიკის დროსაც კი მიზანშეწონილია დაყენებულ იქნას MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=1, რამდენადაც აღნიშნული მნიშვნელობა ხმოვან ტრაფიკზე მინიმალური გავლენის დროს უზრუნველყოფს GPRS მომსახურებაზე მიღწევას. მნიშვნელობის MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=0, HIGH\_TRAFFIC ზღვრის აწევა და ფიჭის დავირთვის შეფასების დროის შემცირება, ამცირებს რა TBF წარუმატებელი დანიშვნის სიტუაციას უკუ მიმართულებაში, მაგრამ დაუშვებლად მაღალი რჩება ამ ინდიკატორის ხარისხის მნიშვნელობა. GPRS-ისათვის, ფიჭის მაღალი დატგირთვის პირობებში, რესურსის უფრო ეფექტური გამოყენებისათვის მიზანშეწონილია დაგაყენოთ ფიჭის

დატვირთვის ზღვარი მაღალი, კ.ი. შევასრულოთ რეკომენდაცია HIGH\_TRAFFIC-ის მნიშვნელობის დაყენება ცხრილ 3.2-ის მიხედვით.

შემოთავაზებული ალგორითმები და განხილული ლოგიკური პარამეტრები ერთმანეთზე გავლენას არ ახდენენ, ამიტომ შესაძლებელია GSM სტანდარტის მობილურ ქსელებში გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით მათი ერთობლივი გამოყენება.

დამუშავებული ალგორითმები შეიძლება გამოყენებული იქნას ქსელის მართვის ცენტრიდან სელიო აწყობის დროს. მეორე თაობის მობილური ქსელებისათვის განსაკუთრებულ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს ახალი ოპციის დამუშავება, რომელიც საშუალებას იძლევა აგტომატურად მიმდინარე სიტუაციიდან და დატვირთვის ზრდიდან გამომდინარე, ისე ააწყოს ლოგიკური პარამეტრები, რომ უფრო ეფექტურად იქნეს გამოიყენებული არსებული რესურსები. ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია დატვირთვის ზრდის პროგნოზირებისათვის იმ მათემატიკური მოდელის პარამეტრების განისაზღვრა, რომელიც გამოყენებადი იქნება GSM სტანდარტის მობილური ქსელებისათვის.


## თავი 4. ჰენდოვერების ცვალებადობის ინტენსივობის აღმოჩენის ალბათობა და **GSM** სტანდარტის მობილური ქსელების გადატვირთულობის პროგნოზირება

### 4.1 შესავალი

გადაფარვის ზონების გამოყენებით მობილური კავშირის ქსელების აგებისა და განვითარების დროს, გადატვირთულობის შესამცირებლად, იმ შემთხვევაში თუ მომსახურებად საბაზო სადგურზე გადაფარვის ზონაში მყოფი აბონენტებისათვის არ არსებობს თავისუფალი არხები, ყოველთვისაა გათვალისწინებული მეზობელი საბაზო სადგურების რესურსის გამოყენება. მაგრამ აღნიშნული პროცესი ხორციელდება სტატისტიკურად, ე. ი. მომსახურების ცენტრის ოპერატორი მართვის პროცესში ამა თუ იმ ლოგიკურ პარამეტრებს ისე ანიჭებს განსაზღვრულ მნიშვნელობას, რომ არ იცის, როგორც ფიჭის დატვირთვის მნიშვნელობა და ასევე გაურკვეველია საჭიროა თუ არა რაიმე დონისძიების გატარება მეზობელი საბაზო სადგურების რესურსების გადასანაწილებლად. განსაკუთრებით დიდი ქალაქების შემთხვევაში, ძალიან ხშირად, დატვირთვა იცვლება ძალიან სწრაფად, აბონენტების ქცევის ცვლილებიდან გამომდინარე, როგორიცაა გზებზე “საცობების” წარმოქმნა, მასობრივი დონისძიებების დაწყება და დამთავრება და სხვა. აქედან გამომდინარე ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მოვახდინოთ დატვირთვის სიდიდის პროგნოზირება, როგორც საბაზო სადგურების გადატვირთულობის შედეგი. ამ თავში განხილულია პროგნოზირების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია აბონენტების მობილურობის პარამეტრების ცვლილებაზე და სადაც გათვალისწინებულია **GSM** სტანდარტის მობილურ ქსელებში აბონენტების ადგილმდებარების განსაზღვრის თავისებურებანი. ასევე განსაზღვრულია იმ მათემატიკური მოდელის პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამოყენებას რეალურ ქსელებში.

## 4.2 GSM სტანდარტის მობილურ ქსელებში აბონენტების ადგილმდებარეობის განსაზღვრის თავისებურებანი.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აბონენტების ადგილმდებარეობის განსაზღვრის მრავალი მეთოდი, მაგალითად სხვადასხვა საბაზო სადგურიდან მიღებული სიგნალის დონის შესუსტების შედარების მეთოდი [27], მათმა ვერ პკოვეს ფართო გამოყება წამყვანი მწარმოებლების მოწყობილობებში, ამიტომ განვიხილოთ მეთოდი, რომელიც განსაზღვრულია სტანდარტით [41]. GSM სტანდარტის მობილურ ქსელებში მობილური აპარატების მუშაობის რეჟიმიდან დამოკიდებულებით აბონენტები იყოფიან ორ ჯგუფად – აქტიურ (მობილური ტერმინალები, რომლებიც იმყოფებიან ინფორმაციის გადაცემის რეჟიმში) და არააქტიური (მობილური ტერმინალები, რომლებიც იმყოფებიან გამოძახების მოლოდინის რეჟიმში). თავის მხრივ სისტემა სხვადასხვა სიზუსტით თვალყურს ადევნებს აბონენტების გადაადგილებას. არააქტიური აბონენტებისათვის ადგილმდებარეობა ცნობილია ე.წ. ზონის ადგილმდებარეობის (LA) სიზუსტით, რომელიც წარმოადგენს ფიჭების ჯგუფს (ნახ. 4.1) [1, 49].



ნახ. 4.1 ზონის ადგილმდებარეობა

ზონის ადგილმდებარეობის იდენტიფიკატორის შესახებ ინფორმაცია (LAI) ქსელში დამახსოვრებილია აბონენტის ადგილმდებარეობის

რეგისტრში (VLR) (ეს კვანძი, როგორც წესი ქსელის კომუტატორთანაა გაერთიანებული – MSC). როდესაც მობილური ტერმინალი (MC) გადაკვეთს ორი მეზობელი ფიჭის საზღვარს, რომელიც ეპუთვნიან სხვადასვა LA, ის გადასცემს ქსელში ინფორმაციას ახალი LA-ს შესახებ. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მობილური ტერმინალი იმყოფება მოლოდინის რეჟიმში. ინფორმაცია ახალი ადგილმდებარეობის შესახებ არ გადაიცემა, თუ ორი LAC საზღვარი გადაკვეთა აქტიურმა მობილურმა ტერმინალმა. ეს პროცესი განხორციელდება შეერთების დამთავრების შემდეგ. თუ მობილური ტერმინალი გადაკვეთს ფიჭებს შორის საზღვარს ერთი LA-ს ზონაში, ის ქსელში არ გადაცემს ინფორმაციას ამ პროცესის შესახებ. მობილურ ტერმინალზე შემომავალი გამოძახების შემთხვევის დროს პეიჯინგური შეტყობინება გავრცელდება ყველა იმ ფიჭაში, რომლებიც ეპუთვნიან აღნიშნულ LA-ს. იმისათვის, რომ არ დაიკარგოს შემომავალი გამოძახება, მობილურ ტერმინალში პერიოდულად, დროის განსაზღვრულ მომენტებში, იკითხება ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა მართვის სპეციალურ – პეიჯინგის არხში (PCH). როგორც კი მობილური ტერმინალი განსაზღვრავს, რომ მას ეპუთვნის გამოძახება (პეიჯინგის ბრძანებაში გადაიცემა უნიკალური ნომერი (მობილური აბონენტის საერთაშორისო იდენტიფიკატორი – IMSI), ის ამყარებს კავშირს საბაზო სადგურთან.

ქვემოთ განხილულია სისტემის მიერ მობილური ტერმინალის ადგილმდებარეობის განსაზღვრის მეთოდები, მობილური ტერმინალის გადაადგილების შემდეგი მეთოდების დროს მოლოდინის რეჟიმში:


1. ერთი LA-ს ფარგლებში ფიჭის შეცვლა. მობილური ტერმინალიდან ქსელში, ფიჭის შეცვლის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გადაიცემა. MC განსაზღვრავს, რომ ახალი ფიჭა ეპუთვნის იგივე LA-ს. MC ადარებს წინა LA-ს ახალთან და თუ ისინი ერთნაირია, ეს ნიშნავს იმას, რომ MC-მა LA არ შეიცვალა და არ არის საჭირო ამ პროცესის შესახებ ქსელის ინფორმირება.
2. ფიჭის შეცვლა, რომელიც მდებარეობს სხვა LA-ში, მაგრამ მიეკუთვნება იგივე მოძრავი კავშირის კომუტაციის ცენტრს/ვიზიტორის ადგილმდებარეობის რეგისტრს (MSC/VLR). MC აანალიზებს ინფორმაციას, რომელიც გადაიცემა ახალი ფიჭის BCCH

(გადაცემის ლოგიკური მართვის არხი) არხში, რათა განისაზღვროს LAI. შემდეგ ადარებს მიღებულ LAI-ს, LAI-ის იმ მნიშვნელობასთან, რომელიც დამახსოვრევრებულია MC-ის მეხსიერებაში. თუ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაშინ მიიღება გადაწყვეტილება თავისი ადგილმდებარეობის რეგისტრაციის შესახებ, ე.ო. ე.წ. ადგილმდებარეობის შეცვლის (Location Update) პროცედურის დაწყების შესახებ. MC ახდენს ქსელთან შეერთების ინიცირებას და SDCCH არხის გამოყენებით ხორციელდება ადგილმდებარეობის შეცვლის (Location Update) პროცედურა, რომლის შემდეგ შეერთება მთავრდება.

3. ფიჭის შეცვლა, რომელიც მდებარეობს სხვა LA-ში და მიეკუთვნება სხვა MSC/VLR-ს. რამდენადაც MC-მა არ იცის, რომ იგივე MSC-ს ეკუთვნის თუ არა ახალი LAC-ი, ამიტომ მას შემდეგ, რაც MC –დან ადგილმდებარეობის შეცვლაზე მიღებული მოთხოვნის შემდეგ, ახალი VLR ახდენს შემდეგ მოქმედებებს. VLP ამოწმებს აქვს თუ არა აღნიშნული MC-ის შესახებ ინფორმაცია. თუ VLR-მა აღმოაჩინა, რომ ასეთი ინფორმაცია მას არ გააჩნია, მაშინ ის აგზავნის მოთხოვნას HLR-ში (მონაცემთა ბაზა, სადაც ინახება ქსელის ყველა აბონენტის შესახებ ინფორმაცია), რათა მიიღოს აღნიშნული MC-ს მონაცემების ასლი. HLR აგზავნის VLR-ში მოთხოვნიდ ინფორმაციას, აახლებს თავის ბაზაში აღნიშნული MC-ის ახალ ადგილმდებარეობას და უგზავნის ბრძანებას ჰველ VLR-ს, რათა წაშალოს აღნიშნული MC-ის შესახებ ინფორმაცია. ახალი VLR იმახსოვრებს მობილური ტერმინალის შესახებ ინფორმაციას და აგზავნის დასტურის სიგნალს MC-ზე პროცედურის წარმატებით დამთავრების შესახებ.

მობილურ ქსელში შეიძლება იყოს რამოდენიმე LA, მაგრამ ერთი და იგივე LA არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვადასხვა MSC. ზოგადად მობილური ქსელის მთლიანი სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით (ნახ. 4.2). GSM ქსელის ზონებს შორის მთლიანი იერარქიული ურთიერთკავშირი შეიძლება წარმოდგენილი იქნას ნახაზ 4.3-ზე მოცემული სქემის მიხედვით.


აღსანიშნავია, რომ მოლოდინის რეჟიმი **MC** ქცევის ანალიზის თვალსაზრისით საკმაოდ მწირია, რადგანაც მობილური ქსელში შეგროვილ სტატისტიკაში აისახება მხოლოდ ადგილმდებარეობის შეცვლის პროცედურის წარმოქმნის რაოდენობა ე.ი. შესაძლებელია ვაკონტროლოთ რეგისტრაციის მხოლოდ შემომავალი ნაკადი და მხოლოდ ერთი დიდი ზონისათვის (**LA** შეიძლება შეიცავდეს რამოდენიმე ათეულ ფიჭას). ამიტომ **GSM** სტანდარტის მობილურ ქსელებში აბონენტების მობილურობის დეტალური ანალიზისათვის ეს რეჟიმი არ გამოდგება.



**ნახ. 4.2 მობილური ქსელის მთლიანი სტრუქტურა**

აქტიურ რეჟიმში მობილური ტერმინალის (MC) და სისტემის ურთიერთქმედება გაცილებით რთულია და ის დაწვრილებითაა აღწერილი [6,32]-ში. ავდნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ შემთხვევაში აბონენტის ადგილმდებარეობა ცნობილია სიზუსტით ფიჭამდე. რაც საშუალებას იძლევა სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე ყურადღება მივაქციოთ შემომავალი და გამავალი პენდოვერების რაოდენობას, განისაზღვროს გამოძახებების რაოდენობა და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა

შემომავალი და გამავალი ჰქონდოვერების ნაკადების სიმჭიდროვის ანალიზის შესაძლებლობა. სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ მოცემულ ფიჭაში რესურსების გამოყოფის მოთხოვნის ზრდაზე და გაკეთდეს პროგნოზი გადატვირთულობის წარმოქმნის შესახებ.



**ნახ. 4.3 GSM ქსელის ზონებს შორის მთლიანი იერარქიული ურთიერთკავშირი**

ამრიგად, შემდეგში განხილული იქნება გადატვირთულობის ზრდის პროგნოზირების ალგორითმი იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გაიცვლება ქსელის ელემენტებს შორის MC-ის აქტიურ რეჟიმში მუშაობის დროს.

#### **4.3 მათემატიკური მოდელის აღწერა**

მასობრივი მომსახურების თეორიაში ერლანგის მოდელის ფართოდ გავრცელების გამო [54,76], შემდგომში ყველა ანალიზისა და დასკვნების შემთხვევაში იგულისხმება, რომ სისტემის ქცევა აღიწერება ამ მათემატიკური მოდელით. ასეთი მიახლოებისას ითვლება, რომ მოთხოვნების შემომავალი ნაკადი  $\lambda$  აღიწერება პუასონის კანონით, ხოლო

თითოეული მოთხოვნის მომსახურების ხანგრძლიობა  $1/\mu$  ექვემდებარება ექსპონენციალურ განაწილებას. ამასთან შემომავალი ნაკადის ინტენსივობა ფიჭაში აბონენტების რიცხვის პროპორციულია.

იმისათვის, რომ მოვნახოთ ერლანგის კანონის განაწილება აუცილებელია შევადგინოთ განტოლება, რომელიც აღწერებს მარკოვის პროცესების “დაბადებას” და “დაღუპვას” ჲ დროის უწყვეტი პარამეტრით, რომელსაც გააჩნია მდგომარეობის სასრული რაოდენობა და თითოეულ მათგანში დროის უსასრულოდ მცირე შუალედში, შესაძლებელია სისტემის გადასვა მხოლოდ მეზობელ მდგომარეობაში ნულოვანი ალბათობით. ამის გათვალისწინებით ვდებულობთ შემდგე დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას [54,76]:

$$\begin{cases} \frac{dP_i}{dt} = \lambda P_{i-1} - \lambda P_i + \mu(i+1)P_{i+1} - \mu i P_i, \text{ როცა } i=1,2,\dots,N-1, \\ \frac{dP_0}{dt} = \mu P_1 - \lambda P_0, \end{cases} \quad (4.1)$$

სადაც,  $P_i$  ( $i=0,1,2,\dots,N$ ) – შეერთების რიცხვისათვის ალბათობის განაწილებაა მომსახურებად ფიჭაში,  $N$  გამოძახებების მაქსიმალურად შესაძლებელი რიცხვია, რომელსაც შეიძლება ფიჭა მოემსახუროს. 4.1 ფორმულით გამოსახული განტოლება აღწერს მასობრივი მომსახურების თეორიაში ერთ-ერთ ყველაზე გავტცელებულ მოდელს, სისტემას რიგის გარეშე, ე.ი. იმ შემთხვევაში თუ ფიჭაში არ არსებობს თავისუფალი რესურსი და შემოვიდა მოთხოვნა არხის გამოყოფაზე, მომსახურებაზე მიღებული იქნება უარი.

ამოგხსნით რა 4.1 განტოლებათა [76] სისტემას მივიღებთ ერლანგის ცნობილ ფორმულას:

$$P_i = \frac{\frac{1}{i!} \left(\frac{\lambda}{\mu}\right)^i}{1 + \sum_{j=1}^N \frac{1}{j!} \left(\frac{\lambda}{\mu}\right)^j}, \quad i = 0,1,\dots,N. \quad (4.2)$$

4.2 პარაგრაფში აღწერილი თავისებურებებიდან გამომდინარე, ფიჭაში შემომავალი ჰქნდოვერის მიზეზით, ახალი აბონენტის გამოჩენის

ალბათობა  $\Delta t$  მცირე დროის შუალედში ტოლია **λ<sub>ho</sub>Δt**. ალბათობა იმისა, რომ ფიჭიდან  $\Delta t$  მცირე შუალედში გამავალი პენდოვერის მიზეზით ერთ აბონენტი მაინც დატოვებს ფიჭას იქნება **μ<sub>ho</sub>Δt**. ინტენსივობის პარამეტრებში “ $ho$ ” ინდექსი მიანიშნებს, რომ ისინი მიეკუთვნებიან, როგორც შემომავალ ასევე გამავალ პენდოვერებს, ე.ი. მობილურობის პარამეტრებს, რაღგანაც სწორედ პენდოვერების ინტენსივობა ახასიათებს აბონენტების მობილურობას, რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ თეორიული გათვლები, ექსპერიმენტული ქსელის მონაკვეთის რეალურ სიტუაციას. შევცვლით რა 4.2 გამოსახულებაში

**λ-ho**-ით და **μ-ho**, **μ<sub>ho</sub>**-ით მივიღებთ განაწილებას მობილური აბონენტებისათვის.

მომსახურებად ტერიტორიაზე აბონენტთა რიცხვი, მართლაც წარმოადგენს მობილური კავშირის ნებისმიერი სისტემისათვის მნიშვნელოვან მახასიათებელს, არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს ისეთი პარამეტრიც როგორიცაა ქსელის პროდუქტიულობის პარამეტრი. [80,81] შრომებში გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენდა ერთობლივი განაწილების მოძებნა აბონენტების რიცხვსა და აქტიურ შეერთებებს შორის. ამასთან ივარაუდებოდა, რომ ფიჭის ფარგლებში სისტემის მდგომარეობა აღიწერებოდა ორ განზომილებიანი მარკოვის პროცესით, რომელთა მდგომარეობა განისაზღვრებოდა პარამეტრებით ( $i, n_a$ ), სადაც  $i$  – ფიჭაში აბონენტთა რიცხვია და  $n_a$  – ფიჭაში აქტიური შეერთების რაოდენობაა.

ერლანგის მოდელის შემთხვევაში [81], გამარტივების გათვალისწინებით, რომელიც განპირობებულია აბონენტზე მცირე ხვედრითი დატვირთვით (10-15 ერლანგის ფარგლებში), მიღებულ იქნა შემდეგი გამოსახულება:

$$P_{n_a, i} = e^{-\frac{\lambda_{ho}}{\mu_{ho}}} \frac{\left(\frac{\lambda_{ho}}{\mu_{ho}}\right)^i \left(\frac{\lambda}{\mu}\right)^{n_a}}{\left(1 + \frac{\lambda}{\mu}\right)^i} \frac{C_i^{n_a}}{i!}, \text{ როცა } i \leq N \text{ և } n_a = 0, 1, 2, \dots, i.$$

$$P_{n_a, i} = e^{-\frac{\lambda_{ho}}{\mu_{ho}}} \frac{\left(\frac{\lambda_{ho}}{\mu_{ho}}\right)^i \left(\frac{\lambda}{\mu}\right)^{n_a}}{\sum_{m=0}^N \left(\frac{\lambda}{\mu}\right)^m C_i^m} \frac{C_i^{n_a}}{i!}, \text{ როცა } i > N \text{ և } n_a = 0, 1, 2, \dots, N. \quad (4.3)$$

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება მოინახოს გადატვირთულობის ალბათობა. ნებისმიერ ფიჭაში არსებობს მომსახორებადი აბონენტების  $N$  ფიზიკური ზღვარი, რომელიც განისაზღვრება თავისუფალი ტაიმ-სლოტების რაოდენობით. რამდენადაც უმრავლეს შემთხვევაში ნებისმიერ ოპერატორს აღელვებს საკუთარი ქსელის აღქმა აბონენტების მიერ, ამიტომ ლოგიკურია გადატვირთულობად შეიძლება გავიგოთ ისეთი სიტუაცია, როდესაც აქტიური შეერთების რაოდენობა  $n$  ტოლია მიღწევადი რესურსის რაოდენობის  $N$ . სხვა სიტყვებით, როდესაც შემდეგი მოთხოვნა შეერთებაზე ვერ იქნება დაგმაყოფილებული და აბონენტი მიიღებს უარს რესურსით უზრუნველყოფაზე. ამ შემთხვევაში მთლიანი დატვირთვის ალბათობა განისაზღვრება გამოსახულებით:


$$P_{\text{d}} = \exp\left(-\frac{\lambda_{ho}}{\mu_{ho}}\right) \cdot \left(\frac{\lambda}{\mu}\right)^N \sum_{i=N}^{\infty} \frac{\left(\frac{\lambda_{ho}}{\mu_{ho}}\right)^i C_i^N}{i! \sum_{m=0}^N \left(\frac{\lambda}{\mu}\right)^m C_i^m} \quad (4.4)$$

ზემოთ მოყვანილი გამოსახულების ანალიზისას ძირითად დასკვნად შეიძლება ჩაითვალოს, რომ გადატვირთულობა, რომელიც აღიძვრება აბონენტების მიერ ყველა არსებული რესურსის დაკავებით, ცალსახად დაკავშირებულია მობილურობის პარამეტრების შეფარდებაზე  $\lambda_{ho}/\mu_{ho}$ . აქედან გამომდინარე ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამ პარამეტრების შესაბამისი შეფასების ფორმირება საშუალებას მოგვცემს ვიწინასწარმეტყველოთ გადატვირთულობა და ეს ნიშნავს, რომ წნდება ზომების მიღების შესაძლებლობა, რათა თავიდან აგიცილოთ ასეთი სიტუაცია. შემდგომში, [81]-ში თეორიული გათვლებით მიღებული შედეგების საფუძველზე, მიღებული და შეფასებული იქნება GSM სტანდარტის რეალური ქსელისათვის მათემატიკური მოდელის პარამეტრები.

#### 4.4 მობილურობის პარამეტრების ინტენსივობის ცვლილების მოდელი და მისი პარამეტრები GSM სტანდარტის ქსელისათვის

განვიხილოთ მობილურობის პარამეტრების ცვლილებების ძირითადი შემთხვევები. დავიწყოთ შემომავალი პენდოვერების  $\lambda_{ho}$  ნაკადის ცვლილებით. შეიძლება გამოვყოთ ორი შემთხვევა:

1. ინტენსივობის ნახტომი, რომელიც შეესაბამება უმარტივეს შემთხვევას, როდესაც შემომავალი პენდოვერების ინტენსივობის მნიშვნელობა იცვლება  $\lambda_{ho1}$ -დან  $\lambda_{ho2}$ -მდე (ნახ. 4.4).




ნახ. 4.4 შემომავალი პენდოვერის ინტენსივობის ნახტომის  
დამოკიდებულება დროზე

ასეთი მოდელით შეიძლება აღიწეროს შემდეგი რეალური სიტუაციები: მასობრივი დონისძიების დამთავრება და აბონენტთა ძირითადი მასის მოძრაობა ერთი მიმართულებით (მეტროს სადგური, ავტობუსის გაჩერება და სხვა), ერთ-ერთი საბაზო სადგურის გაუთვალისწინებელი დაზიანება, თვითმფრინავის ან მატარებლის რეისის მოულოდნელი შეცვალა და სხვა.

2. ინტენსივობის ცვლილება ხაზური კანონით – ფიჭაში შემომავალი პენდოვერების ნაკადი აღიწერებიან ხაზური კანონით (ნახ. 4.5):

$$\lambda_{ho}(t) = \lambda_{ho3} + \lambda_{ho4} * t$$



**ნახ. 4.5 ჰემომაგალი ჰენდოვერის ინტენსივობის ხაზური ცვლილების დამოკიდებულება დროზე**

აღნიშნული მოდელი სრულყოფილად აღწერს ისეთ სიტუაციას, როგორიცაა დილით ან სადამოს გზებზე “საცობების” წარმოქმნა, დროს განსაზღვრულ მომენტში აეროპორტში ან რკინიგზის სადგურში გამცილებლების ან დამხვედრების მისვლა.

ეხლა განვიხილოთ გამავალი ჰენდოვერების **μ<sub>ho</sub>** ინტენსივობის ნაკადის ცვლილების შესაძლო კანონები:


1. ინტენსივობის ნახტომი, რომლის დროსაც გამავალი ჰენდოვერების ინტენსივობის ნაკადი იცვლება **μ<sub>ho1</sub>** მნიშვნელობიდან **μ<sub>ho2</sub>** მნიშვნელობამდე, ე.ო. შემთხვევა ნახ. 4.4 სქემაზე მოცემული მაგალითის ანალოგიურია.

რეალური სიტუაციას, რომელიც აღიწერება აღნიშნული მოდელით, მიეკუთვნება რომელიმე მასობრივი დონისძიების დამთავრება და აბონენტების შემდგომი მოძრაობა ფიჭიდან, “საცობების” წარმოქმნა და სხვა.

2. ინტენსივობის უკუპროპორციული კანონით ცვლილება. ამ შემთხვევაში გამავალი ჰენდოვერების ინტენსივობის ნაკადი იცვლება შემდეგი კანონით:

$$\mu_{ho}(t) = \begin{cases} \mu_{ho1}, & \text{როცა } t < t_0, \\ \frac{\mu_{ho2}}{1 + \mu_{ho3} \cdot (t - t_0)}, & \text{როცა } t \geq t_0. \end{cases} \quad (4.5)$$

ნახაზ 4.6-ზე მოცემულია ასეთი სიტუაციის მაგალითები.



ნახ. 4.6 გამავალი პენდოვერის ინტენსივობის დამოკიდებულება დროზე აღნიშნული მოდელით შეიძლება აღიწეროს ისეთი სიტუაციები როგორიცაა “საცობების” გაწოვა, ინსტიტუტში მეცადინეობის დამთავრება და სტუდენტების მოძრაობა მეტროსკენ და ა.შ..

გამოვიყენებთ რა [81]-ში თეორიული გათვლებით მიღებულ შედეგებს განვსაზღვრავთ **GSM** სტანდარტის რეალურ ქსელებში გამოსადეგ შემომავალი და გამავალი პენდოვერების ინტენსივობების ცვლილებების აღმოჩენის ალგორითმების პარამეტრებს.

პუასონის ნაკადის ინტენსივობის ნახტომის აღმოჩენის და უცნობი პარამეტრების შეფასების ერთობლივი ალგორითმი მიღებულია [53]-ე ნაშრომში. ნეიმან-პირსონის კრიტერიუმზე დაფუძნებული აღმოჩენის ალგორითმი შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$\frac{\max_{t \in [0,T]} \left\{ \left( \frac{n_z(t)}{t} \right)^{n_z(t)} \left( \frac{N_z - n_z(t)}{T-t} \right)^{N_z - n_z(t)} \right\}_{H_1}}{\left( \frac{N_z}{T} \right)^{N_z}}_{H_0} < \Pi \quad (4.6)$$

სადაც  $H_0$  პიპოთება შეესაბამება პუასონის ნაკადის მუდმივ ინტენსივობას,  $H_1$  პიპოთება – ინტენსივობის ნახტომს,  $N_z$  – მოთხოვნების საერთო რიცხვს, რომელიც შემოდის ფიჭაში ანალიზის  $[0, T]$  ინტერვალში,  $t$  – ნახტომის წარმოშობის დაშვების მომენტია,  $n_z(t)$  – მოთხოვნების რიცხვია, რომელიც შემოდის  $[0, t]$  დროის ინტერვალში. იმისათვის, რომ ვუზრუნველვყოთ ყალბი განგაში მოცემული ალბათობით  $P_a$  ზღვარი უნდა ავიდოთ

$\Pi = -\ln(P_a)$ .

პარამეტრების შეფასების ალგორითმი, რომელიც განსაზღვრულია სიმართლის მაქსიმალური ვარაუდით გამოისახება შემდეგნაირად:

**H0** პიპოთების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისას  $\lambda_{H01} = N_z/T$ ,

ხოლო **H1** პიპოთებით გადაწყვეტილების მიღებისას კი

$$\begin{cases} \hat{t}_0 = \arg \max_t \left\{ \left( \frac{n_z(t)}{t} \right)^{n_z(t)} \left( \frac{N_z - n_z(t)}{T-t} \right)^{N_z - n_z(t)} \right\}, \\ \hat{\lambda}_{ho1} = \frac{n_z(\hat{t}_0)}{\hat{t}}, \\ \hat{\lambda}_{ho2} = \frac{N_z - n_z(\hat{t}_0)}{T-\hat{t}} \end{cases}$$

[53]-ი ნაშრომში ასევე მოცემულია წარმოდგენილი ერთობლივი ალგორითმის ანალიზი.

დიდი რაოდენობის საცდელი ანათვლების დროს მიიღება შემდეგი გამოსახულებები:


**Н1** პიკოტენის შეცდომით უარყოფის ალბათობა ტოლია

$$P_\beta = 1 - \Phi \left( \sqrt{\lambda_{ho1} T (\tau_0 + q(1-\tau_0))} \left( 1 + \frac{2 \ln(P_\alpha) (\tau_0 + q(1-\tau_0))}{\lambda_{ho1} T \tau_0 (1-\tau_0) (q-1)^2} \right) \right), \quad (4.8)$$

სადაც  $\lambda_{ho1}$  – ნაკადის ინტენსივობის ნამდვილი მნიშვნელობაა ნახტომის მომენტამდე,  $q = \lambda_{ho1}/\lambda_{ho2}$  – ნახტომის შემდეგ დარეგისტრირებული ნაკადის ინტენსივობის შეფარდებაა ნახტომამდე ნაკადის ინტენსივობასთან,  $\tau = t_0/T$  – ნახტომის წარმოქმნის მომენტია,

$$\Phi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{-\infty}^x e^{-\frac{u^2}{2}} du - \text{შეცდომების ინტეგრალია}$$

მოვიყვანოთ 4.8 გამოსახულების ანალიზი. ნახ. 4.8-ზე მოცემულია დამოკიდებულება  $P_\beta(\lambda_{ho1} T)$   $q$  (1.2-დან 1.5-მდე) დაშვებისას  $\tau = 0.5$  და  $P_\alpha = 0.001$ .



ნახ. 4.7  $P_\beta$ -ს დამოკიდებულება  $\lambda_{ho1}T$ -ზე

როგორც გრაფიკიდან ჩანს  $P_\beta$ -ს მცირე მნიშვნელობა (ე.ი. აღმოჩენის ალგორითმის საიმედო მუშაობა) მიიღწევა შემომავალ ჰენდოვერებზე მოთხოვნის 1000-3000 რაოდენობის დროს. იმისათვის, რომ შევაფასოთ ანალიზის მინიმალური ინტერვალი, საჭიროა ვიპოვოთ შემომავალი გამოძახებების სავარაუდო მნიშვნელობა, რომელიც არსებობს ქსელში რეალურ პირობებში. ეს მნიშვნელობები შეიძლება შეფასდეს თუ ვიხელმძღვანელებთ შემდეგი ფორმულებით:

$$\lambda_{ho} = 2R \cdot \sigma^n \cdot v$$

$$\mu_{ho} = 2/\pi \cdot v / R$$

სადაც  $\sigma^n$  - აბონენტების განაწილების ზედაპირული სიმჭიდროვეა,  $R$  - ფიჭის ეფექტური რადიუსია,  $v$  - აბონენტების გადაადგილების სიჩქარეა. დავუშვათ აბონენტების გადაადგილების სიჩქარეა 5 კმ/სთ-ში (ე.ი. განვიხილოთ ფეხით მოსიარულე აბონენტები), ფიჭის ეფექტური რადიუსიდან დამოკიდებულებით (ქალაქის რეალურ პირობებში GSM სტანდარტის ქსელებში ფიჭის ზომები შეადგენს 500-1500 მეტრს),  $\lambda_{ho}$  და  $\mu_{ho}$  დებულობენ შემდეგ მნიშვნელობებს:

$\lambda_{\text{ho}} = 15 \text{ а}/\text{д}.$

$\lambda_{\text{ho}} = 7.4 \text{ а}/\text{д}.$

$\lambda_{\text{ho}} = 5 \text{ а}/\text{д}.$

$\mu_{\text{ho}} = 1.8 * 10^{-1} \text{ а}/\text{д}$

$\mu_{\text{ho}} = 8.8 * 10^{-1} \text{ а}/\text{д}$

$\mu_{\text{ho}} = 5.9 * 10^{-1} \text{ а}/\text{д}$

$R_{\text{роп}} = 500 \text{ м}^2/\text{д},$

$R_{\text{роп}} = 1000 \text{ м}^2/\text{д},$

$R_{\text{роп}} = 1500 \text{ м}^2/\text{д}.$

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალაქის პირობებში  $\lambda_{\text{ho}}$  იცვლება 5-დან 15 აბონენტამდე წუთში და ფიჭა ემსახურება დაახლოებით 8 400-8 500 აბონენტს. აღნიშნული ციფრები მტკიცდება შემდეგი შეფასებებით. პრაქტიკაში როგორც წესი, ზონას აბონენტების პოტენციურად მაღალი აქტივობით ემსახურება დიდი ტევადობის ფიჭა. კერძოდ პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც განსაზღვრულ ზონას ემსახურება ფიჭა HalfRate რეჟიმში მომუშავე 43 არხი, ე.ო. სინამდვილეში არსებობს 86 არხი. ასეთი ტევადობის ფიჭა ლაპარაკის 30 წამიანი ხანგრძლივობით საათში შეიძლება მოემსახუროს დაახლოებით 8 400-8 600 აბონენტს.

ამრიგად, თუ დავუშვებთ, რომ  $\lambda_{\text{ho}} = 15 \text{ а}/\text{д}.$  და გავითვალისწინებთ პენდოვერზე მოთხოვნის ზემოთ მიღებულ მნიშვნელობას, გადატვირთვის აღმოჩენის ალგორითმის საიმედო მუშაობის დრო ტოილ იქნება 100-300 წამს.

შემომავალი პენდოვერის ინტენსივობის ნაკადის ხაზური კანონით ცვლილების შემთხვევაში პიპოთეზით  $H_0$  წარმოადგენს სიტუაციას მუდმივი ინტენსივობით, ხოლო  $H_1$  – პიპოთეზით კი ინტენსივობით, რომელიც იცვლება ხაზური კანონით. [81]-ე ნაშრომში მიღებულია ინტენსივობის ხაზური ზრდის და უცნობი პარამეტრების შეფასების ერთდროული აღმოჩენის ალგორითმი, რომელიც აკმაყოფილებს ნეიმან-პირსონის კრიტერიუმს:

$$\frac{\left(\frac{T}{2} - t_{\text{бсн.}}\right)^2}{D_t} > \frac{H_1}{H_0}, \quad (4.9)$$

$$\text{სადაც } t_{\text{бсн.}} = \frac{1}{N_z} \sum_{i=1}^{N_z} t_i$$

და

$$D_t = \frac{1}{N_z} \sum_{i=1}^{N_z} (t_i - t_{\text{avg}})^2$$

$[0, T]$  – ანალიზის ინტერვალში ნაკადის არჩევითი დისპერსიის მომენტებია,  
და  $\Pi$  – ზღვარი განისაზღვრება გამოსახულებით:

$$\Pi = \frac{h_{P_\alpha/2}^2}{N_z}, \quad (4.10)$$

სადაც  $h_{P_\alpha/2}$  –  $1-P_{\alpha/2}$  ნორმალური სტანდარტული კანონის დონის  
განტილია, რომელიც გამოითვლება ცხრილებით ან მიიღება

$$\frac{P_\alpha}{2} = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{h_{P_\alpha/2}}^{\infty} e^{-\frac{u^2}{2}} du,$$

განტოლების ამოხსნით.

პარამეტრების შეფასება, რომელიც მიიღება მაქსიმალური  
სიმართლესთან ახლოს კრიტერიუმის გამოყენებით, არის შემდეგი სახის:


$$\hat{\lambda}_{ho1} = \frac{N_z}{T} - H_0 \quad (4.11)$$

$$\begin{cases} \hat{\lambda}_{ho3} = \frac{N_z}{T}, \\ \hat{\lambda}_{ho4} = \frac{\frac{t_{\text{avg}} - T/2}{D_t} \cdot \frac{N_z}{T} - H_1}{1 + \frac{T}{2} \cdot \frac{t_{\text{avg}} - T/2}{D_t}}, \end{cases} \quad (4.12)$$

$H_1$  – პიპოტების შეცდომითი უარყოფის ალბათობა შეიძლება  
გამოვითვალოთ ფორმულით:


$$P_\beta \approx 1 - \Phi \left( \sqrt{\frac{N_z}{12}} \frac{\frac{|\lambda_{ho4} T|}{\lambda_{ho3}}}{1 - \frac{1}{2} \frac{\lambda_{ho4} T}{\lambda_{ho3}}} - h_{P_\alpha/2} \right) \quad (4.13)$$

ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ინტენსივობის ხაზური ზრდის გრაფიკულ გამოსახვაში, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ინტენსივობის მუდმივი მდგენელი დაკავშირებულია (მიბმულია) დროის შეალებითან რომელიც ტოლია  $T/2$  (ნახ. 4.8).



ნახ. 4.8 შემომავალი პენდოვერის ინტენსივობის ხაზური ცვლილების  
დამოკიდებულება  $T/2$  დროზე

ნახაზ 4.9-ზე მოცემულია დამოკიდებულება  $P_\beta(\lambda_{ho3}, T)$ , როდესაც  $P_a=0.001$  და  $\lambda_{ho4}T/\lambda_{ho4}=0.2, 0.4$  და  $0.6$ -ის. თუ  $\lambda_{ho3}$ -ის მნიშვნელობას ვუწოდებთ ინტენსივობის მუდმივ მდგენელს, მაშინ  $\lambda_{ho4}T/\lambda_{ho4}$  შეფარდებას შეიძლება ვუწოდოთ მუდმივი ინტენსივობის მიმართ თავისებური სახის აღელვება. პრაქტიკაში პენდოვერების მოთხოვნაზე მხოლოდ მნიშვნელოვანი ხაზურმა ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს გადატვირთულობები, ამიტომ განვიხილავთ შემთხვევებს, როდესაც  $\lambda_{ho4}T/\lambda_{ho4}=0.4, 0.6$ .



ნახ. 4.9  $P_\beta$ -ს დამოკიდებულება  $\lambda_{ho3}T$ -ზე

როგორც ნახ. 4.9-დან ჩანს პეტიონე მნიშვნელობები მიიღწევა შემომავალ პენდოვერებზე მოთხოვნის 1 000-3 200 მნიშვნელობების დროს.  $\lambda_{\text{HO}}=10$  აბ./წმ. ინტენსივობისას, როგორც ზემოთ განვსაზღვრეთ ანალიზისათვის საჭირო ინტერვალი შეადგენს 100-250წმ-ს.

ნაკადის ინტენსივობის ცვლილების და უცნობი პარამეტრების შეფასების ერთობლივი ალგორითმის მიღება გამავალი პენდოვერის შემთხვევაში უფრო რთულია, რამდენათაც ამ უკანასკნელის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ანალიზი უშუალოდ შემომავალი ნაკადის მახასიათებლებზე. აღნიშნული არ ვრცელდება გამავალი ნაკადის შემთხვევაში, რადგანაც მისი ინტენსივობა დამოკიდებულია მათ და i (i – ფიჭაში აბონენტთა რიცხვია) პარამეტრების წარმოებულზე. მათ ცვლილებამ ზოგად შემთხვევაში იწვევს აბონენტების რიცხვის ცვლილებას, ამიტომ მათ პარამეტრის პირდაპირი დინამიური შეფასება მხოლოდ გამავალი ნაკადისათვის ხდება შეუძლებელი. გადაწყვეტილებებში წარმოიშვება კავშირი ფიჭაში აბონენტების რიცხვის ცვლილების დინამიკასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რთულდებიან. დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ პარამეტრის ცვლილების სიდიდე განისაზღვრავს გამავალი პუსონის ნაკადის არა მარტო ამპლიტუდას, არამედ მისი გარდამავალი პროცესის ხანგრძლიობასაც. აღნიშნული ნაკადი ხდება პარამეტრული კავშირის მიხედვით არა სტაციონალური. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განსახილველი მოდელი (4.5) შეიძლება განხილული ყოფილიყო ისეთი სიტუაციების შესაფასებლსდ, როგორიცაა “საცობების” წარმოქმნა. დასაწყისში ხდება მანქანების შეგროვება, მცირე ფართობთან მიმართებაში, და შემდეგ “საცობი” იზრდება, რომელიც ზრდის აბონენტის ერთ და იგივე ფიჭაში ყოფნის დროს. რამდენათაც მათ პარამეტრი განისაზღვრება, როგორც ლაპარაკის საშუალო ხანგრძლივობის უკუ მნიშვნელობა, ამიტომ მათ პარამეტრის მნიშვნელობების ანალიტიკური ცვლილებები შეიძლება აღიწეროს (4.5) ფორმულით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რამდენადაც გამავალი პენდოვერის ინტენსივობის ნაკადის ნახტომი ((4.5) - ის პირველი გამოსახულება),

წარმოადგენს (4.5)-ის მეორე გამოსახულების კერძო შემთხვევას, ამიტომ ანალიზი ჩატარებულ იქნა მხოლოდ ზოგადი შემთხვევის დროს.

სტატისტიკური ანალიზის თეორიაში სიტუაციის ფართო საექტრისათვის ნაჩვენებია, რომ ორი ჰიპოტეზის განსხვავების ოპტიმალური მეთოდი მდგომარეობს მაქსიმალურ სიმართლესთან ახლოს ფიქსირებული ზღვრით შედარებაში. პარამეტრულ აპრიორულ განუსაზღვრელობის დროს მაქსიმალური სიმართლესთან ახლოს დამოკიდებულება ფორმირდება შემდეგნაირად. განისაზღვრება, თითოეული ჰიპოთეზისათვის, ალბათობის პირობითი სიმკვრივე, პოულობენ უცნობი პარამეტრების მიხედვით მათ მაქსიმუმს, და შემდეგ იდებენ ამ სიმკვრივეების შეფარდებას [74,81]. რამდენათაც დასახული ამოცანის პირობები არ განსხვავდება სტანდარტულისაგან, აღნიშნული მიდგომის საშუალებით მიღებულ იქნა ასიმპტოტურად ოპტიმალური (როდესაც ანათვლების მოცულობა მიისწოდის უსასრულობისკენ) ალგორითმი  $H_0$  და  $H_1$  ჰიპოთეზების გარჩევისათვის.

$$\Lambda(\bar{t}, \tau) = \frac{W_{\max}(\bar{t}, \tau | H_1)}{W_{\max}(\bar{t}, \tau | H_0)} = \frac{\left( \frac{K(\bar{t}_0)}{\bar{t}_0 \cdot \Xi_1(\bar{t}_0)} \right)^{K(\bar{t}_0)} \cdot \left( \frac{K - K(\bar{t}_0)}{(T - \bar{t}_0) \cdot \Xi'_1(\bar{t}_0)} \right)^{K - K(\bar{t}_0)}}{\left( \frac{K}{T \cdot \Xi_1(T)} \right)^K} \cdot \exp \left( \frac{1}{4} (K - K(\bar{t}_0)) \frac{\left( \Xi'_2(\bar{t}_0) - 2 \frac{\tau'_{\text{b.o}}(\bar{t}_0)}{T - t_0} \Xi'_1(\bar{t}_0) \right)^2}{\left( \frac{4}{3} \Xi'_3(\bar{t}_0) - \frac{\tau'_{\text{b.o}}(\bar{t}_0)}{T - \bar{t}_0} \Xi'_2(\bar{t}_0) - 2 \frac{D'_r(\bar{t}_0)}{(T - \bar{t}_0)^2} \Xi'_1(\bar{t}_0) \right) \cdot \Xi'_1(\bar{t}_0)} \right), \quad (4.14)$$

სადაც

$$\begin{aligned} \Xi_1(\bar{t}_0) &= (I_0 + n_z(\bar{t}_0) - K(\bar{t}_0)) - \left( n_z(\bar{t}_0) \frac{\tau'_{\text{b.o}}(\bar{t}_0)}{\bar{t}_0} - K(\bar{t}_0) \frac{\tau'_{\text{b.o}}(\bar{t}_0)}{\bar{t}_0} \right), \\ \Xi'_1(\bar{t}_0) &= (I_0 + N_z - K) - \left( (N_z - n_z(\bar{t}_0)) \frac{\tau'_{\text{b.o}}(\bar{t}_0)}{T - \bar{t}_0} - (K - K(\bar{t}_0)) \frac{\tau'_{\text{b.o}}(\bar{t}_0)}{T - \bar{t}_0} \right), \\ \Xi'_2(\bar{t}_0) &= (I_0 + N_z - K) - \left( (N_z - n_z(\bar{t}_0)) \frac{D'_r(\bar{t}_0)}{(T - \bar{t}_0)^2} - (K - K(\bar{t}_0)) \frac{D'_r(\bar{t}_0)}{(T - \bar{t}_0)^2} \right), \\ \Xi'_3(\bar{t}_0) &= (I_0 + N_z - K) - \left( (N_z - n_z(\bar{t}_0)) \frac{S'_r(\bar{t}_0)}{(T - \bar{t}_0)^3} - (K - K(\bar{t}_0)) \frac{S'_r(\bar{t}_0)}{(T - \bar{t}_0)^3} \right), \end{aligned}$$

$$\begin{aligned}
t_{\text{ho}}(\hat{t}_0) &= \frac{1}{n_z(\hat{t}_0)} \sum_{i=1}^{n_z(\hat{t}_0)} t_i, & \tau_{\text{ho}}(\hat{t}_0) &= \frac{1}{K(\hat{t}_0)} \sum_{k=1}^K \tau_k, \\
t'_{\text{ho}}(\hat{t}_0) &= \frac{1}{N_z - n_z(\hat{t}_0)} \sum_{i=n_z(\hat{t}_0)+1}^{N_z} (t_i - \hat{t}_0), & \tau'_{\text{ho}}(\hat{t}_0) &= \frac{1}{K - K(\hat{t}_0)} \sum_{k=K(\hat{t}_0)+1}^K (\tau_k - \hat{t}_0), \\
D'_t(\hat{t}_0) &= \frac{1}{N_z - n_z(\hat{t}_0)} \sum_{i=n_z(\hat{t}_0)+1}^{N_z} (t_i - \hat{t}_0)^2, & D'_\tau(\hat{t}_0) &= \frac{1}{K - K(\hat{t}_0)} \sum_{k=K(\hat{t}_0)+1}^K (\tau_k - \hat{t}_0)^2, \\
S'_t(\hat{t}_0) &= \frac{1}{N_z - n_z(\hat{t}_0)} \sum_{i=n_z(\hat{t}_0)+1}^{N_z} (t_i - \hat{t}_0)^3, & S'_\tau(\hat{t}_0) &= \frac{1}{K - K(\hat{t}_0)} \sum_{k=K(\hat{t}_0)+1}^K (\tau_k - \hat{t}_0)^3,
\end{aligned}$$

$n_z(\hat{t}_0)$  – შემომავალი პენდოვერების რიცხვია  $[0, t]$  ინტერვალზე,

$K(t_0)$  – გამავალ პენდოვერებზე მოთხოვნების რიცხვია  $[0, t]$  ინტერვალზე,

$t_0$  – მაქსიმალური სიმართლესთან ახლოს პირობითი შეფასებაა, უცნობ მომენტი წარმოქმნილი  $t_0$  არასტაციონალური ქცევისათვის.

$\hat{t}_0$  – ფიჭის შიგნით აბონენტების რიცხვი/ზონის ანალიზის საწყის მომენტი.

თვითონ აღმოჩენის აღგორითმს აქვს სახე:

$$\ln(\Lambda(\vec{t}, \vec{\tau})) = M(\vec{t}, \vec{\tau}) \underset{H_0}{\overset{H_1}{\gtrless}} \Pi(P_\alpha) \quad (4.15)$$

ამასთან  $\Pi$  ზღვარი მოიძებნება შემდეგი გამოსახულებით:

$$\Pi(P_\alpha) = -\ln(P_\alpha) \quad (4.16)$$

შეფასება ხორციელდება შემდეგი ფორმულების თანახმად:

$$\begin{cases} \hat{\lambda}_{ho}(H_0) = \frac{N_z}{T}, \\ \hat{\mu}_{ho}(H_0) = \frac{K}{T \cdot \Xi_l(T)}, \end{cases} \quad (4.17)$$

$H_0$  – პიპოთებით გამოტანილი გადაწყვეტილების დროს.

გამავალი პენდოვერის ინტენსივობის ნახტომის პირობებში  $H_1$  – პიპოთებით გამოტანილი გადაწყვეტილების დროს კი:

$$\begin{cases} \hat{t}_0 = \arg \max_{t_0 \in [T_{\min}, T_{\max}]} R_0(t_0), \\ \hat{\lambda}_{ho} = \frac{N_z}{T}, \\ \hat{\mu}_{ho1} = \frac{K(\hat{t}_0)}{\hat{t}_0 \Xi_1(\hat{t}_0)}, \\ \hat{\mu}_{ho2} = \frac{1}{T - \hat{t}_0} \frac{K - K(\hat{t}_0)}{\Xi'_1(\hat{t}_0)}, \\ \hat{\mu}_{ho3} = 0, \end{cases} \quad (4.18)$$

სადაც

$$R_0(t_0) = \left( \frac{K(t_0)}{t_0 \cdot \Xi_1(t_0)} \right)^{K(t_0)} \cdot \left( \frac{K - K(t_0)}{(T - t_0) \cdot \Xi'_1(t_0)} \right)^{K - K(t_0)}$$

მაგ = 0 პირობისას  $H_1$  პიპოვებით გამოტანილი გადაწყვეტილების დროს ა:

$$\begin{cases} \hat{t}_0 = \arg \max_{t_0 \in [T_{\min}, T_{\max}]} R(t_0), \\ \hat{\lambda}_{ho}(H_1) = N_z/T, \\ \hat{\mu}_{ho1}(H_1) = \hat{\mu}_{ho1}(\hat{t}_0) = \frac{K(\hat{t}_0)}{\hat{t}_0 \Xi_1(\hat{t}_0)}, \\ \hat{\mu}_{ho2}(H_1) = \hat{\mu}_{ho2}(\hat{t}_0) = \frac{1}{T - \hat{t}_0} \frac{K - K(\hat{t}_0)}{\Xi'_1(\hat{t}_0) - \frac{1}{2} \frac{4}{3} \Xi'_3(\hat{t}_0) - \frac{\tau'_{ho3}(\hat{t}_0)}{T - \hat{t}_0} \Xi'_2(\hat{t}_0) - 2 \frac{D'_r(\hat{t}_0)}{(T - \hat{t}_0)^2} \Xi'_1(\hat{t}_0)}, \\ \hat{\mu}_{ho3}(H_1) = \hat{\mu}_{ho3}(\hat{t}_0) = \frac{1}{T - \hat{t}_0} \frac{\Xi'_2(\hat{t}_0) - 2 \frac{\tau'_{ho3}(\hat{t}_0)}{T - \hat{t}_0} \Xi'_1(\hat{t}_0)}{\frac{4}{3} \Xi'_3(\hat{t}_0) - \frac{\tau'_{ho3}(\hat{t}_0)}{T - \hat{t}_0} \Xi'_2(\hat{t}_0) - 2 \frac{D'_r(\hat{t}_0)}{(T - \hat{t}_0)^2} \Xi'_1(\hat{t}_0)}, \end{cases} \quad (4.19)$$

სადაც

$$R(t_0) = \left( \frac{K(t_0)}{t_0 \cdot \Xi_1(t_0)} \right)^{K(t_0)} \cdot \left( \frac{K - K(t_0)}{(T - t_0) \cdot \Xi'_1(t_0)} \right)^{K - K(t_0)} \cdot \exp \left\{ \frac{1}{4} (K - K(t_0)) \frac{\left( \Xi'_2(t_0) - 2 \frac{\tau'_{ho3}}{T - t_0} \Xi'_1(t_0) \right)^2}{\left( \frac{4}{3} \Xi'_3(t_0) - \frac{\tau'_{ho3}}{T - t_0} \Xi'_2(t_0) - 2 \frac{D'_r}{(T - t_0)^2} \Xi'_1(t_0) \right) \cdot \Xi'_1(t_0)} \right\}$$

$H_1$  – პიპოვების შეცდომით უარყოფის ალბათობა ტოლია:

$$P_\beta = 1 - Q\left(\sqrt{2}A, \sqrt{2\ln(P_\alpha)}\right) = 1 - Q\left(\sqrt{2}A, \sqrt{-2\ln(P_\alpha)}\right), \quad (4.20)$$


სადაც

$$A = \sqrt{\lambda_{ho} T} \sqrt{(1-\tau_0) \left( \frac{1}{2} \tau_0 \cdot (q_{ho2} - 1)^2 + \frac{2}{3} q_{ho3}^2 \cdot (1-\tau_0)^2 \right)}, \quad q_{ho2} = \mu_{ho2} / \mu_{ho3},$$

$$q_{ho3} = \mu_{ho3} \cdot T \cdot Q(z, x) = \int_x^\infty u \cdot \exp\left(-\frac{u^2 + z^2}{2}\right) \cdot I_0(u \cdot z) du$$

მარტივის ფუნქცია [2].

ნახაზ 4.10-ზე მოცემულია  $P_\beta(\lambda_{ho}T)$  დამოკიდებულება  $q_{ho2}$  და  $q_{ho3}$  სხვადასხვა მნიშვნელობების დროს.



ნახ. 4.10  $P_\beta$ -ს დამოკიდებულება  $\lambda_{ho}T$ -ზე  
როგორც ნახაზიდან ჩანს  $q_{ho2}$  და  $q_{ho3}$  მნიშვნელობებიდან  
დამოკიდებული  $P_\beta = 10^{-3}$  მცირე (მისაღები) მნიშვნელობა მიიღწევა,  
მაშინ როდესაც მოთხოვნის მნიშვნელობა გამავალ პენდოვერზე შეადგენს  
1500-7000, რაც  $\lambda_{ho}=10\text{ძ}/\text{გ}$  განსახილვები ინტენსივობის დროს  
შეესაბამება 150-700გ-ს.

ზემოთ განხილული დამოკიდებულებები და GSM სტანდარტის რეალური სისტემებისათვის ჩატარებულმა ანალიზმა, როგორც გამავალი ასევე შემომავალი ჰენდოვერების ნაკადების ცვლილებისას გვიჩვენა, რომ ჰენდოვერების ინტენსივობის ცვლილებაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დაყოვნება შეადგენს 100-300 წამს. აღნიშნული დრო დაახლოებით 3-4-ჯერ ნაკლებია იმ დროზე, როდესაც წარმოიქმნება რეალურად შესამჩნევი გადატვირთულობა, ისეთი სიტუაციების დროს, როგორიცაა “საცობები”, ავარიული სიტუაციები და სხვა. სხვა სიტყვებით, შეიძლება დავასაბუთოთ, რომ ჰენდოვერების ცვლილების ნაჩვენები ალგორითმი, შეიძლება გამოყენებული იქნეს GSM სტანდარტის ქსელებში ჰენდოვერების ინტენსივობის პარამეტრების შეფასებისას, იმისათვის, რომ ისინი შემდგომში გამოყენებული იქნან გადატვირთულობების წინასწარმეტყველების ალგორითმად.


#### **4.5 ურთიერთკავშირი აქტიურ აბონენტების და პოტენციურად აქტიურ აბონენტების რაოდენობებს შორის**

მობილურობის პარამეტრები, რომლებიც ახასიათებენ გამავალი და შემომავალი ჰენდოვერების ინტენსივობებს, მხედველობაში იღებენ მხოლოდ აქტიურ აბონენტებს, ე.ო. იმ აბონენტებს, რომლებსაც უკვე დაკავებული აქვთ ქსელის რესურსი. მაგრამ ამათ გარდა ფიჭის მომსახურების ზონაში იმყოფებიან აბონენტები, რომელთა მობილური აპარატები იმყოფებიან ლოდინის რეჟიმში, ე.ო. რომლებიც წარმოადგენენ პოტენციურად აქტიურ აბონენტებს.

დატვირთვის ზრდასთან ე.ო. აქტიური აბონენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ხდება პოტენციურად აქტიური აბონენტების რაოდენობის ცვლილება. არსებითად აუცილებელია აღნიშნულის გათვალისწინება დატვირთვის გადანაწილების დროს. აღნიშნული ამოცანა განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. საცობების წარმოქმნის დროს, როდესაც აბონენტები ცდილობენ გააფრთხილონ თავიანთი ახლობლები დაგვიანების შესახებ, ან საგანგებო სიტუაციის დროს. ე.ო. აუცილებელია განისაზღვროს თანაფარდობა აქტიურ და პოტენციალურად აქტიურ აბონენტებს შორის.

დასახული ამოცანის გადაჭრისათვის გაანალიზირებული იქნა სტატისტიკური მონახცემები, რომელიც შეგროვილ იქნა კონტროლურის მიერ ქსელის ექსპერიმენტალურ მონაკვეთზე. განხილულ იქნა იმ მრიცხველების მნიშვნელობები, რომლებიც აღრიცხავდა აბონენტებიდან ინიცირებული გამოძახებების რაოდენობას. მრიგად შეიძლება მივიღოთ პენდოვერების რაოდენობის დამოკიდებულება, რომელიც მოდიდ ერთ გამოძახებაზე, ე.ი. სახვა სიტყვებით, დავადგინოთ ურთიერთკავშირი ფიჭაში არსებულ აქტიურ აბონენტებსა და პოტენციურ გამოძახებებს შორის, რომლებსაც განახორციელებენ აბონენტები, რომლებიც იმყოფებიან აღნიშნული ფიჭის მომსახურების ზონაში და მობილურ აპარატს შორის, რომელიც იმყოფება ლოდინის რეჟიმში.

ნახაზ 4.11 მოყვანილია მიღებული შედეგები. როგორც ჩანს, შემომავალი პენდოვერების დამოკიდებულება გამოძახებების რიცხვიდან, რომელიც იწყება ფიჭაში, ძირითადად იმყოფება 0.5 დან 1.5 საზღვრებში. სხვა სიტყვებით, ფიჭაში პოტენციურად აქტიური აბონენტების რაოდენობა, და საჭირო ტევადობა, შეიძლება შეფასებული იქნეს შემომავალი პენდოვერების რაოდენობის საფუძველზე, ე.ი. ყველანაირი საფუძველი გაგვაჩნია დაუშვათ, რომაბონენტების რაოდენობა, რომლებიც ფიჭაში ახდენენ გამოძახებების ინიცირებას, იქნება მინიმუმ (1.5-2.5)-ჯერ მეტი ვიდრე შემომავალი პენდოვერი.



ნახ.4.11 შემომავალი პენდოვერების დამოკიდებულება გამოძახებების რაოდენობიდან

მონაცემების გაძნევა, რომელიც მოცემულია ნახაზზ 4.11-ზე, განპირობებულია ქსელის ტოპოლოგიაზე დამოკიდებულებით და ტრაფიკ-მოდელით. ამრიგად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, იმის შესახებ რომ შემომავალი ჰენდოვერების ცვლილების შეფასება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ აბონენტების გამოძახებები, რომლებიც შეიძლება ინიცირებულ იქნენ ქსელში.

#### **4.6 GSM სტანდარტის ქსელებში გადატვირთულობის წინასწარ მეტყველების ალგორითმი და მისი პარამეტრები**

4.3 პარაგრაფში ნაჩვენები იყო, რომ აბონენტთა რიცხვი, რომლებიც იმყოფებიან ფიჭის მოქმედების ზონაში და შეერთების დამყარებაზე მოთხოვნების ინტენსივობა ერთმანეთთან დაკავშირებულია ხაზური კანონით, ე.ი. ადგილი აქვს პირდაპირ დამოკიდებულებასფიჭაში დატვირთვის დონესა და მასში აბონენტების რიცხვს შორის. მის გარდა, 4.5 პარაგრაფის თანახმად იმ აბონენტთა რიცხვი, რომლებიც ახდენენ ფიჭაში გამოძახებების ინიცირებასარის მინიმუმ (1.5-2.5)-ჯერ მეტი ვიდრე შემომავალი ჰენდოვერია, ე.ი. გადატვირთულობის პროგნოზის ალგორითმის პრაქტიკული რეალიზაციის დროს აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ზემოთ მოყვანილი თანაფარდობა, და შესაბამისად უნდა იქნეს გათვლილი საჭირო ტევადობა, რომელიც საჭიროა გადსატვირთვის შესამცირებლად რესურსების გადანაწილებისას.

ალბათური პროცესების თეორიიდან ცნობილია [75], რომ თუ ალბათური პროცესი აღიწერება სტოხასტიკური დიფერენციალური განტოლებით, მაშინ გაუსის მიახლოებაში ოპტიმალური შეფასება იქნება, შეფასება, რომელიც ფორმირდება გარდამავალი პროცესის დამოკიდებულების ტენდენციით (ან ტრენდით). ტრენდის დასაწყისში პროცესის შეფასება იქნება მიმდინარე დროის მომენტისათვის. ამრიგად, გადატვირთულობების წინასწარმეტყველებისათვის საჭიროა შესაბამისი გარდამავალი პროცესების განისაზღვროს ანალიტიკური დამოკიდებულებანი. თუ მხედველობაში მივიღებთ შეფასებების საკმარისს სიზუსტეს, რომელიც ფორმირდება 4.4-ში მიღებული გამოსახულებების

საშუალებით, და ასევე, მივიღებთ რა მხედველობაში ამონენტების მობილურების თვისების ცვალებადობას, შეიძლება მივიჩნიოთ სამართლიანად გაუსის მიახლოება გადატვირთულობების წინასწარმეტყველების ექსპონენციალური შეფასების ფორმირებისას. ეს საშუალებას გვაძლევს მოძებნილი ანალიტიკური გამოსახულებები გამოყენებული იქნეს ინტენსივობის ზუსტი მნიშვნელობებით შეფასების ნაცვლად.

ძირითადი პარამეტრი, რომელიც აკაგშირებს გამოსახულებებს გადატვირთულობების ექსტრაპოლირულებულ მნიშვნელობებთან, არის დროის რადაც მომენტ  $t_s$ , რომლის დროსაც დატვირთვის წინასწარმეტყველური დონე მიაღწევა განსაზღვრულ მნიშვნელობას (დონებ), და რომელსაც უწოდებენ კრიტიკულს. ასევე აუცილებელია განხილულ დროის დამატებით მომენტში  $t_s$ . –  $T_{sa}$ , სადაც  $T_{sa}$  საჭირო დროის მინიმალური მნიშვნელობაა, რომელიც საჭიროა ქსელის რესურსების გადანაწილებისათვის.


აუცილებელია აღინიშნოს, რომ აბონენტთა მობილურება დატვირთვის ცვლილების პროცესს ფიჭაში ქმნის საკმაოდ რთულს და საფეხურობრივს. ამასთან შეიძლება გამოვყოთ ორი ეტაპი [81]. პირველ ეტაპზე ხორციელდება მოდელის პარამეტრების ცვლილება, რომელიც აღწერს შემომავალი და გამავალი ჰენდოვერების ინტენსივობებს. მეორე ეტაპზე, აღნიშნული მოდელის პარამეტრების ცვლილებიდან გამომდინარე, წარმოიქმნება გარდამავალი პროცესი, რომელიც აღწერს ფიჭაში ახალი აქტიური აბონენტების რაოდენობას.

ინტეიციურად გასაგებია, რომ ყველაზე ადრეული გადაწყვეტილება გადატვირთულობის შესაძლებლობის შესახებ შეიძლება მიღებული იქნეს მობილურობის პარამეტრების ცვლილების საფუძველზე. მაგრამ ეს გადაწყვეტილება იქნება ყველაზე მცირედ საიმედო და არაეფექტური, რაღაც დატვირთვის მცირე დროითი ამოვარდნები (სპლესკი) (მაგალითად ახალი წლის დროს) მიეყავართ გადატვირთულობის გადაწყვეტილებაზე და რესურსების გადანაწილებაზე, და ასევე სიგნალიზაციის მნიშვნელოვან გადატვირთულობაზე, მით უმეტეს, რომ 10-15 წელიანი დარვირთვის ამოვარდნაზე, პრაქტიკული თვალსაზრისით რეაგირებას არ უნდა მოხდეს. ამრიგად, ლოგიკურად ედერს ფიჭაში

აბონენტთა რიცხვის ცვლილების გარდამავალი პროცესის ანალიზი, რასაც მივყავართ გადატვირთულობების საშიშროების დადასტურების ან უარყოფის დასაბუთებასთან. აღნიშნული ეტაპი დაფუძნებული უნდა იყოს ე.წ. კრიტიკულ დატვირთვაზე |კ. არსებითად აღნიშნული ეტაპის ჩატარება ზრდის პოტენციალური გადატვირთულობის წინასწარმეტყველების განსაზღვრის ალბათობას. ამრიგად, გადასაწყვეტი ხდება ამოცანა თითოეული ეტაპისათვის განისაზღვროს მოსალოდნელი გადატვირთულობის პროგნოზირების ალგორითმის პარამეტრები, ასევე განისაზღვროს ორივე ეტაპის გამოყენების აუცილებლობა.

პირველი ეტაპის აუცილებლობა ნათელია – საჭიროა აღმოვაჩინოთ და შევაფასოთ შეცვლილი მოდელის პარამეტრები, რომელიც აღწერს აბონენტების მობილურობას. ნახტომისებური ცვლილების შემთხვევაში დადებითი გადაწყვეტილების მიღება პოტენციალური გადატვირთულობის შესრულების შესახებ მიიღება λით/მით სიდიდის შედარებით რადაც კრიტიკულ დონესთან რა. თუ ადგილი აქვს შემომავალი და დამავალი ჰქნდოვერების ხაზურ ცვლილებას, მაშინ შესაძლო გადატვირთულობაზე გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში თუ ან მით პარამეტრების შეფასება იქნება ნოლზე მეტი.

მას შემდეგ რაც აღმოვაჩენოთ გადატვირთულობის წარმოშობის საშიშროებას, შეიძლება საჭირო გახდეს აღნიშნული პიპოლების დასაბუთება გარდამავალი პროცესების ანალიზის საფუძველზე, რომელიც მიმდინარეობს ფიჭაში შემომავალი ჰქნდოვერის ინტენსივობის ცვლილების, როგორც ნახტომისებური ასევე ხაზური მახასიათებლის შემთხვევაში. ნახაზ 4.12-ზე მოცემულია ახსნა გარმატებითი მაგალითი, საიდანაც ჩანს, რისგან შედგება შემთავაზებული გარდამავალი პროცესის ანალიზი ინტენსივობის ვარდნის აღმოჩენის შემდეგ (ეს შემთხვევა უფრო თვალსაჩინოა).



ნახ. 4.12 გარდამავალი პროცესის ანალიზი ინტენსივობის ვარდნის დროს

**თ** მომენტში ხდება პირველი ეტაპის ანალიზის დასრულება, ე.ი. მიიღება გადაწყვეტილება შემომავალი პენდოვერის ინტენსივობის ნახტომის წარმოშობასთან დაკავშირებით. **λ<sub>ho1</sub>/μ<sub>ho</sub>** თანაფარდობა, ე.ი. ფიჭაში ნახტომის დამთავრების შემდეგ აბონენტთა რაოდენობის შეფასება იქნება მეტი მაქსიმალურად დასაშვებ მნიშვნელობაზე **I<sub>max</sub>**. ამასთან გარდამავალი პროცესი, დაწყებული **T** მომენტიდან შეიძლება აღწერილ იქნეს ექსპონენციალური მრუდით. თუ მომენტი **t<sub>0</sub>** იმყოფება **T** მომენტიდან მარჯვნივ, მაშინ დაკვირვება **T** მომენტიდან **t<sub>0</sub>-T** შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადატვირთულობის წარმოშობის პიპოთეზის დასაბუთებისათვის ან უარყოფისათვის. ე.ი. აუცილებელია მივიღოთ და გავაანალიზოთ გარდამავალი პროცესის სახე ინტენსივობის ცვლილების, როგორც ნახტომისებური ასევე ხაზური ცვლილების დროს.

ზემოთ მოცემული დაშვების (შემომავალი ნაკადი აღიწერება პუასონის კანონით ინტენსივობით **λ<sub>ho</sub>**, ხოლო გამავალი პუასონის ნაკადით ინტენსივობით **μ<sub>ho</sub>**) აბონენტთა რაოდენობის ნახტომისებური ცვლილება აღიწერება დაბადების და გარდაცვალების მარკოვის პროცესით [76,79], რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი კოეფიციენტები [81]:

$$K_1(i) = \lambda_{ho} - \mu_{ho} \cdot i = -\mu_{ho}(i - I_{bas}),$$

$$K_2(i) = \lambda_{ho} + \mu_{ho} \cdot i = \mu_{ho}(i + I_{bas}) \approx 2\mu_{ho}I_{bas} = 2\lambda_{ho},$$

$$\text{სადაც } I_{bas} = \frac{\lambda_{ho}}{\mu_{ho}}$$

მარკოვის ასეთი პროცესი შეიძლება აღწერილი იყოს სტოხასტიკური განტოლებით:

$$\frac{di(t)}{dt} = -\mu_{ho} \cdot (i - I_{bas}) + \sqrt{2\lambda_{ho}} \cdot n_i(t) \quad (4.21)$$

სადაც  $n_i(t)$  – წარმოშობილი ალბათური პროცესია გაუსის თეორი მძაფრის სახით ერთჯერადი ორმხრივი სიმძლავრის სიმჭიდროვით.

რადგან პრაქტიკაში ინტერესს წარმოადგენს დატვიტოვის ინტენსივობის არა მარტო ნახტომისებური ცვლილება, არამედ ცვლილების ხაზური კანონი, ამიტომ 4.21 განტოლება ჩავწეროთ ზოგადი სახით:

$$\frac{dx(t)}{dt} = -\mu_{ho} \cdot (x(t) - \alpha(t)) + \sqrt{\beta(t)} \cdot n_i(t), \quad (4.22)$$

სადაც

$$\alpha(t) = \begin{cases} \alpha_0 = I_{bas}, & \text{მუდმივი ინტენსივობისას ანალიზის ინტერვალზე} \\ \alpha_0 + \alpha_1 t = \frac{\lambda_{ho3}}{\mu_{ho}} + \frac{\lambda_{ho4}}{\mu_{ho}} t, & \text{ანალიზის ინტერვალზე ინტენსივობის ხაზური კანონის ცვლილებისას} \end{cases}$$

$$\beta(t) = \begin{cases} \beta_0 = 2\lambda_{ho2}, & \text{ანალიზის ინტერვალზე რეგისტრაციის მუდმივი ინტენსივობისას} \\ \beta_0 + \beta_1 t = 2\lambda_{ho3} + 2\lambda_{ho4} t, & \text{ანალიზის ინტერვალზე რეგისტრაციის ინტენსივობის ხაზური კანონის ცვლილებისას} \end{cases}$$

რიგი გარდაქმნების შემდეგ [81], 4.22 განტოლების ამონახსნი იქნება:

$$x(t) = a(t) + \left[ x_0 - \alpha(0) - \int_0^\infty e^{-\mu_{ho}\tau} \cdot [-\alpha'(-\tau) + \sqrt{\beta(-\tau)} \cdot n_i(-\tau)] d\tau \right] e^{-\mu_{ho}t} +$$

$$+ \int_0^\infty e^{-\mu_{ho}\tau} \cdot [-\alpha'(t-\tau) + \sqrt{\beta(t-\tau)} \cdot n_i(t-\tau)] d\tau. \quad (4.23)$$

ინტენსივობის ნახტომისებური ცვლილების შემთხვევაში 4.23 განტოლება გარდაიქმნება შემდეგ გამოსახულებად:

$$i(t) = [i(0) - I_{\text{bs,3}}] e^{-\mu_{ho} t} + I_{\text{bs,3}} + \sqrt{2\lambda_{ho2}} \int_0^t e^{-\mu_{ho}\tau} n_i(\tau) d\tau. \quad (4.24)$$

4.24-ის პირველი შესაკრები გვიჩვენებს იმას, რომ შემომავალი ნაკადის ინტენსივობის ნახტომი გამოიწვევს ფიჭაში გარდამავალ პროცესს. ამასთან ფიჭაში აბონენტთა რიცხვი შეიცვლება ექსპონენციალური კანონით მანამ, სანამ არ მიაღწევს ახალ მდგრად მნიშვნელობას  $i(t) = I_{\text{bs,3}}$ . ცვლილების ანალოგიური კანონი იქნება  $\mu_{ho}$  პარამეტრის ნახტომის ებური ცვლილების დროსაც.


შემომავალი პენდოვერის ინტენსივობის ხაზური კანონით ცვლილების დროს თუ მხედველობაში მივიღებთ 4.22 გამოსახულებას:

$$\begin{aligned} \lambda(t) &= \lambda_{ho3} + \lambda_{ho4}t, \quad a(t) = \frac{\lambda_{ho}(t)}{\mu_{ho}} = \frac{\lambda_{ho3}}{\mu_{ho}} + \frac{\lambda_{ho4}}{\mu_{ho}}t = \alpha_0 + \alpha_1 t, \\ \frac{da(t)}{dt} &= \frac{\lambda_{ho4}}{\mu_{ho}} = \alpha_1, \quad \beta(t) \approx 2(\lambda_{ho3} + \lambda_{ho4}t) \\ i(t) &= \left[ i(0) - \left( \frac{\lambda_{ho3}}{\mu_{ho}} - \frac{\lambda_{ho4}}{\mu_{ho}^2} \right) \right] e^{-\mu_{ho}t} + \\ &+ \left[ \left( \frac{\lambda_{ho3}}{\mu_{ho}} - \frac{\lambda_{ho4}}{\mu_{ho}^2} \right) + \frac{\lambda_{ho4}}{\mu_{ho}}t \right] + \int_0^t e^{-\mu_{ho}\tau} \cdot [\sqrt{2(\lambda_{ho3} + \lambda_{ho4} \cdot (t-\tau))} \cdot n_i(\tau)] d\tau. \end{aligned} \quad (4.25)$$

გამოსახულების პირველი შესაკრები აღწერს გარდამავალი პროცესის მუდმივ მდგრენელს, რომელიც გვიჩვენებს შემომავალი პენდოვერის დროს დროში აბონენტთა რაოდენობის ცვლილებას. მეორე შესაკრები გვიჩვენებს აბონენტთა რაოდენობის ცვლილების დინამიკას დამყარებული რეჟიმის დროს, ხოლო მესამე - ალბათური კომპონენტის მიხედვით.

შესაძლებელი გადატვირთულობის წინასწარმეტყველებისათვის საჭიროა ვისარგებლოთ (4.24) და (4.25) გამოსახულებით, რომლებშიც ალბათური კომპონენტები მიღებულია ნოლის ტოლად. მიღებული გამოსახულებების დასასაბუთებლად შეგადაროთ თეორიული შედეგები GSM სტანდარტის ქსელში რეალურ სიტუაციას.

ნახაზ 4.13-ზე ნაჩვენებია შემომავალი პენდოვერების ზრდის თეორიული დამოკიდებულება, რომელიც აიგება (4.24) გამოსახულებით და პრაქტიკული შედეგები მიღებული მეზობელი ფიჭის გათიშვის დროს (ე.ი. მოდელირებულ იქნა შემომავალი პენდოვერების ინტენსივობის ნაკადის ნახტომის სებური ცვლილების სიტუაცია).



ნახ. 4.13 შემომავალი პენდოვერების დროზე დამოკიდებულება


აღსანიშნავია ერთი თავისებურება: რამდენათაც ქსელის მონიტორინგის პრაქტიკული ამოცანებისათვის სრულიად საქმარისია სტატისტიკის დამუშავება ერთი საათის ინტერვალით, რაც საშუალებას იძლევა დამატებითი ამოცანებით არ გადაირვირთოს ქსელის ელემენტები, ამიტომ გრაფიკზე ქსელის ექსპერიმენტული ელემენტები გაშლილია 3600 წამზე. მაგრამ, როგორც გრაფიკიდან ჩანს, სასაზღვრო წერტილებში თეორიული დამოკიდებულებები და პრაქტიკული შედეგები საკმაოდ კარგად არიან კორელირებული. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაულოთ, რომ შუალედურ წერტილებში შედეგები კორექტულები იქნებიან და მიღებული ფორმულები შეიძლება გადატვირთულობების წინასწარმეტყველებისთვის გამოვიყენოთ.

ანალოგიური ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა შემომავალი პენდოვერების ინტენსივობის ხაზური ცვლილებისას (ნახ. 4.14). როგორც წინა შემთხვევაში, სტატისტიკური მონაცემების შეკრების თავისებურებებიდან გამომდინარე, განხილულ იქნა შემომავალი პენდოვერების ინტენსივობის ცვლილების საკმაოდ ნელი ხაზური კანონი.

რაც შეესაბამება პარასკების საღამოს შუალედის საცობების ნელი წარმოქმნის პერიოდს. რის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა (4.25) გამოსახულების გამოყენება პრაქტიკული მიზნებისათვის.

როგორც ნახავ 4.14-დან ჩანს, ამ სიტუაციაშიც ექსპერიმენტული შედეგები პრაქტიკული გამოყენებისათვის საკმარისი სიზუსტით შეესაბამება თეორიულ შედეგებს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ (4.24) და (4.25) ფორმულები მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შესაძლებელი გადატვირთულობების წინასწარმეტყველებისათვის.



ნახ. 4.14 შემომავალი ჰენდოვერების ინტენსივობის ხაზური ცვლილება

რიგ შემთხვევებში პრაქტიკული გამოყენებისათვის ცნობილია I<sub>ij</sub> და საჭიროა გავითვალოთ დროის მომენტ, როდესაც ეს მნიშვნელობა იქნება მიღწეული, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავიწყოთ რესურსების გადანაწილების პროცედურა ან გადატვირთულობების დასაბუთების მესამე ეტაპი (თუ დამტკიცებული იქნება მისი აუცილებლობა). [81]-ე

ლიტერატურის თანახმად ამ შემთხვევაში შეიძლება ვისარგებლოთ შემდეგი გამოსახულებით, თუ

$$\frac{\hat{\lambda}_{ho2}}{\hat{\mu}_{ho}} > I_{\text{jet}}$$

I<sub>jet</sub>-ზე ინტენსივობის ნახტომების შემთხვევაში კი,

$$t_{\text{jet}} = T - \frac{1}{\hat{\mu}_{ho}} \ln \left( \frac{\frac{\hat{\lambda}_{ho2}}{\hat{\mu}_{ho}} - I_{\text{jet}}}{\frac{\hat{\lambda}_{ho2}}{\hat{\mu}_{ho}} - i(T)} \right) \quad (4.26)$$

და

$$t_{\text{jet}} \approx T + \frac{I_{\text{jet}} - \left( \frac{\hat{\lambda}_{ho3}}{\hat{\mu}_{ho}} - \frac{\hat{\lambda}_{ho4}}{\hat{\mu}_{ho}^2} \right)}{\frac{\hat{\lambda}_{ho4}}{\hat{\mu}_{ho}}} \quad (4.27)$$

იმ შემთხვევაში თუ ინტენსივობის ცვლილება ხდება ხაზური კანონით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო შემთხვევაში დაშვებულ იყო, რომ ინტენსივობის ხაზური ცვლილება ხორციელდებოდა საკმაოდ ნელა და გარდამავალი პროცესი ასწრებდა დასრულებას კრიტიკული მომენტის დადგომამდე. თუ ასეთი პირობა არ სრულდება, მაშინ ზღვრული მომენტის მიღწევის პროგნოზი შეიძლება განისაზღვროს

$$\left[ i(T) - \left( \frac{\hat{\lambda}_{ho3}}{\hat{\mu}_{ho}} - \frac{\hat{\lambda}_{ho4}}{\hat{\mu}_{ho}^2} \right) \right] e^{-\mu_{ho}(t-T)} + \left[ \left( \frac{\hat{\lambda}_{ho3}}{\hat{\mu}_{ho}} - \frac{\hat{\lambda}_{ho4}}{\hat{\mu}_{ho}^2} \right) + \frac{\hat{\lambda}_{ho4}}{\hat{\mu}_{ho}} (t-T) \right] = I_{\text{jet}},$$

განტოლების t ცვლადის ამონასსის რიცხვითი მნიშვნელობით.

როგორც ავღნიშნეთ, პრაქტიკაში შეიძლება საჭირო იყოს რადაც T<sub>3</sub> (კორექტირების დრო) დროითი თადარიგი იმ მომენტამდე სანამ არ მიიღწევა პროგნოზირებადი აბონენტების რიცხვი I<sub>jet</sub>, რომელიც ითხოვს ქსელის რესურსების გადანაწილებას. ამ შემთხვევაში, (4.26) და (4.27)

გამოსახულებებში  $t_{\text{ho}}=0$  მნიშვნელობა  $\eta$  უნდა შევამციროთ  $T_{\text{d}}$  მნიშვნელობით. აქედან გამომდინარეობს, რომ დატვირთვის ზღვრული მნიშვნელობები, გათვლილნი  $\eta$  უნდა იქნას  $t_{\text{ho}} = T_{\text{d}}$  მომენტით კორელირებული აბონენტთა მოსალოდნელი რაოდენობით.

ამრიგად, ინტენსივობის ნახტომის დროს:

$$I_{T_{\text{d}}} = I_{t_{\text{ho}}} - \left( e^{\mu_{\text{ho}} T_{\text{d}}} - 1 \right) \left( \frac{\hat{\lambda}_{\text{ho}2}}{\hat{\mu}_{\text{ho}}} - I_{t_{\text{ho}}} \right), \quad (4.28)$$

და ინტენსივობის ხაზური ცვლილებისას კი


$$I_{T_{\text{d}}} = I_{t_{\text{ho}}} - \frac{\hat{\lambda}_{\text{ho}4}}{\hat{\mu}_{\text{ho}}} T_{\text{d}} .$$

იმისათვის რომ განვსაზღვროთ მეორე ეტაპის მიზანშეწონილობა გადატვირთულობების შესაძლებელი წინასწარმეტყველებისათვის, საჭიროა განისაზღვროს სრულდება ოუ არა პირობა  $t_{\text{ho}} > T_{\text{d}}$ . მეორე ეტაპის გამოყენებას წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არა აქვს. ადრე დამტკიცებულ იქნა, რომ შემომავალი პენდოვერების ინტენსივობის 20% ზრდის დროს ანალიზის ინტერვალი  $\eta$  უნდა იყოს 100-500 წამი. პრაქტიკაში გადატვირთულობების წინასწარმეტყველება განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფიჭებისათვის, რომლებიც ემსახურებიან დიდი აქტიურობის მქონე აბონენტთა ზონებს. ამ შემთხვევაში სალაპარაკო ტრაფიკის მომსახურებისათვის როგორც წესი გამოიყოფა 40-45 ფიზიკური არხი. თითოეულ აბონენტზე 0.7 ერლანგი დატვირთვის დროს ფიჭის მიერ მომსახურებული აბონენტების რიცხვი (30%-იანი მარაგის გათვალისწინებით) შეადგენს დაახლოებით 5000. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მაღალ ინტენსივობად ითვლება  $\lambda_{\text{ho}} = 10 \text{აბ/წმ.-ში}$ . აქედან მივიღებთ შეფასების მნიშვნელობას  $\lambda_{\text{ho}} = 10/5000 = 1/500 \text{წმ.}$  გარდამავალი პროცესი ექვემდებარება ექსპონენციალურ კანონს  $1/\lambda_{\text{ho}}$  მუდმივი დროით, რომლის მინიმალური რაოდენობა შეადგენს 500 წამს, რაც დაახლოებით 1.7-5 ჯერ მეტია დროზე, რომელიც საჭიროა შემომავალი პენდოვერების ფორმირებისათვის დასაბუთებული შეფასებისათვის. ამრიგად, შესაძლო გადატვირთულობების შემოწმება მეორე ეტაპის დასაბუთებისათვის მიზანშეწონილია და გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა.

## 4.7 GSM სტანდარტის ქსელებში სტატისტიკის შეგროვების პრინციპები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული GSM სტანდარტის მობილური ქსელის მდგომარეობის კონტროლისათვის მისი ელემენტებიდან ხდება სხვადასხვა ინფორმაციის შეგროვება. უფრო კონკრეტულად განვიხილოთ, თუ რუგორ ხდება საბაზო სადგურის ქვესისტემაში ინფორმაციის შეგროვება, რაც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ, დავამუშაოდ და დავნერგოთ წინა პარაგრაფში განხილული გადატვირთულობების პროგნოზირების ალგორითმი.

სტატისტიკის საფუძველს წარმოადგენს ე.წ. მრიცხველები, რომელთა მნიშვნელობა იზრდება ამა თუ იმ ინტერფეისზე განსაზღვრული სასიგნალი შეტყობინების შემოსვლის დროს. რამდენათაც ქსელის ნებისმიერ ელემენტზე თითოეულ ზემოქმედებას თან ახლავს ინტერფეისზე რომელიმე შეტყობინების გაგზავნა, ან მიღება, ამიტომ თეორიულად მრიცხველის ჩვენების მიხედვით მთლიანად შეიძლება აღწერილი იქნას ქსელში მიმდინარე სიტუაცია. პრაქტიკულად ქსელის ყველა ინერფეისის ყურადღების მიქცევა, მასზე ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება დიდ სირთულეს წარმოადგენს, ამიტომ მონაცემების შესაგროვებლად საბაზო სადგურის ქვესისტემაში გამოიყენებენ ქსელის შემდეგ ელემენტებს – საბაზო სადდგური, კონტროლერი და მართვის ცენტრი, იხ. ნახ. 4.15.




ნახ. 4.15 სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების სქემა

მოკლედ განვიხილოთ ინფორმაციის შეგროვების მეთოდი. გაზომვების ნაწილი (რადიო არხის მდგომარეობა პირდაპირი მიმართულებით), რომელიც ხდება მობილური აპარატის მიერ, გადაეცემა საბაზო სადგურს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას უმატებს თავისი გაზომვის შედეგებს (მონაცემები რადიო არხის მდგომარეობის შესახებ უკუ მიმართულებით) და გაერთიანებული მონაცემები გადაეცემა კონტროლერს. კონტროლერი ამუშავებს მიღებულ მონაცემებს (მაგ. პენდოვერის შესახებ გადაწყვეტილების მიღება) და ახდენს მის დამასხვრებას. ეს ინფორმაცია შეიძლება აღებულ იქნას უშუალოდ კონტროლერიდან ოპერატორის ტერმინალის (ჩვეულებრივი ლეპტოპი) მიერთების საშუალებით ან გროვდება მართვის ცენტრში სპეციალურ სერვერზე. უმრავლეს შემთხვევაში ხდება ამ უკანასკნელის გამოყენება, რადგანაც ამ დროს ხდება დიდი ხნის განმავლობაში ინფორმაციის შენახვა და შესაძლებელია ქსელის ყველა კონტროლერიდან იქნეს შეგროვებული ინფორმაცია. მართვის ცენტრის ოპერატორს აქვს შესაძლებლობა გასცეს სხვადასხვა ბრძანება, რომელიც საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია, ასევე მოხდეს ლოგიკური პარამეტრების ცვლილება.

არსებობს მრავალი სხვადასხვა სტატისტიკა, რომლებიც შეიძლება აქტივირებულ იქნან კონტროლერზე: მოვლენები ავარიების შესახებ, მოვლენები ამა თუ იმ პროცედურების წარმატებით შესრულება და არ შესრულების შესახებ, რადიოგაზომვების სტატისტიკის შესახებ და ა.შ. როგორც წესი სტატისტიკის შეგროვება შეზღუდულია კონტროლერზე პროცესის გამოთვლის შესაძლებლობების მიხედვით, ამიტომ ყველა სტატისტიკა მუდმივად არაა გაშვებული. ნახაზ 4.16-ზე საბაზო სადგურის კონტროლერის (BSC) სქემა. სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას ახდენს ადმინისტრატორული პროცესორი, კერძოდ MPCC (multiprotocol communication controller – მრავალ პროტოკოლიანი კავშირის კონტროლერი) მიკროპროცესული პლატა (რიგ შემთხვევებში მისი მეხსიერება შეადგენს 64 მეგაბაიტს). UBEX წარმოადგენს შინას, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს შექმნას ინტერფეისი MPCC – სა და კონტროლერის სხვა პლატფორმებს შორის. მონაცემთა ერთდროული შეგროვებაში და სტატისტიკის გაშვებაში არსებული შეზღუდვების

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ციფრები, რომელიც მოცემულია ცხრილ 4.1-ში.

პრაქტიკული თვალსაზრისით მიზანშეწონილია წინა პარაგრაფში განხილული გადატვირთულობების პროგნოზირების ალგორითმი გამოყენებულ იქნას ავტომატურ რეჭიმში, ე. ი. შემომავალი და/ან გამავალი პენდოვერების საფუძველზე, რომლებიც ინახებიან საბაზო სადგურის კონტროლერში (BSC), ჩატარებულ იქნას რიგი გამოთვლების (იხ. 4.5 განყოფილება), რაც საშუალებას მოგვცემს მუდმივად თვალყური ვადევნოთ ქსელში სიტუაციის ცვლილებას. სხვა სიტყვებით „უდავოდ დიდი პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს ქსელში შესაძლო გადატვირთულობების წინასწარმეტყველება და აღმოჩენა. გარდა ამისა აზრი აქვს დაუმატოთ ლოგიკური პარამეტრების განსაზღვრული მეთოდით დინამიური მართვის პროცედურა, რომელიც განხილული იყო წინა თავში. აღნიშნული ალგორითმი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც BSC, ასევე სხვა გარე მოწყობილობებში, მაგალითად მართვის ცენტრში.



ნახ. 4.16 საბაზო სადგურის კონტროლერის სქემა

მრიცხველების ტიპის რაოდენობა	116
გაზომვების საერთო რაოდენობა	884
გაზომვები, რომლებიც არ შეიძლება გაერთიანებული იყვნენ სხვა გაზომვებთან ერთ მრიცხველში	მონაცემები პროცესორის დატვირთვის შესახებ; თავისუფალ ტაიმ-სლოტებზე ინტერფერენციის დონე; ტრანსივერის მიღწევადობის დრო; შიდაკონტროლირული და სხვადასხვა კონტროლული ჰენდრერები.
ერთი მრიცხველით დაკვირვებადი ობიექტების რაოდენობის შეზღუდვა	10 საბაზო სადგური, გამავალი ან შემომაგალი ჰენდრერისთვის; დადიორარხის გაზომვის დროს - 80 არხი.
სტატისტიკის შეგროვების პერიოდი	ყველა სტატისტიკისათვის, გარდა ტრანსივერის დონის და რადიოარხის გაზომვისათვის - 15 ან 60 წუთი.
შეზღუდვა ერთ კონტროლერის ელემენტების რაოდენობაზე	სტატისტიკის ტიპისათვის “statBSC” -1 BSC; სტატისტიკის ტიპისათვის “statBTS” -250 BTS; სტატისტიკის ტიპისათვის “statBTSSincHO” -250 BTS; სტატისტიკის ტიპისათვის “statBTSSoutHO” -250 BTS; სტატისტიკის ტიპისათვის “statSS7” - 8SS7; სტატისტიკის ტიპისათვის “statTRX” - 500TRX;

#### 4.8 დასტგნები მეოთხე თავთან დაკავშირებით

არსებული თეორიული შედეგების და აბონენტთა ადგილმდებარეობის განსაზღვრის თავისებურებების გათვალისწინებით გაანალიზებულ იქნა

**GSM** სტანდარტის მობილურ ქსელებში გადატვირთულობის პროგნოზირების ალგორითმები. ნაჩვენებ იქნა, რომ მიზანშეწონილია გამოყენებულ და ჩატარებულ იქნას შემომავალი და გამავალი ჰენდოვერების ინტენსივობის ცვლილების შეფასება, რადგანაც ეს პარამეტრები, ცალსახად განსაზღვრავენ აბონენტთა გადაადგილებას და საკმარისად მარტივად განისაზღვრებიან რეალურ სიტუაციაში. შემომავალი და გამავალი ჰენდოვერების ინტენსივობის ცვლილება იწვევს დატვირთვის ცვლილების განსაზღვრულ გარდამავალ პროცესებს თვითონ ჰენდოვერებიდან გამომდინარე, ასევე პოტენციურად აქტიური აბონენტების რაოდენობის ცვლილებას.

მობილურობის პარამეტრის ცვლილების აღმოჩენა წარმოადგენს შესაძლო გადატვირთულობის წინასწარმეტყველების და აღმოჩენის ყველაზე ადრეულ ეტაპს. იმისათვის, რომ გაიზარდოს საიმედობა და არ მოხდეს რეაგირება დატვირთვის მცირე ხანგრძლიობის ცვლილებაზე, რაც იგივეა გაიზარდოს განხილული ალგორითმების ეფექტურობა, მიზანშეწონილია ჩატარდეს მეორე ეტაპი, რომელიც დაფუძნებულია ფიჭაში წარმოწმნილ გარდამავალ პროცესების ანალიზთან და დროის განსაზღვრულ ინტერვალში დატვირთვის მოცემული დონის გაზრდასთან.

მიღებული თეორიული გათვლები შემოწმებულ იქნა რეალურ ქსელში (ბილაინი) და ექსპერიმენტულმა შედეგებმა დაამტკიცა მიღებული ალგორითმების გამოყენების მიზანშეწონილობა. **GSM** სტანდარტის მობილური ქსელებისათვის განსაზღვრულ იქნა გადატვირთულობის პროგნოზირების ალგორითმის პარამეტრები, რომლის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი გადატვირთულობის ანალიზისათვის და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო დრო შეადგენს 100-300 წამს. ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონე და გამოთვლითი ტექნიკის სიმძლავრეები საშუალებას იძლევიან აღმოჩენილ იქნას ფიჭის პოტენციური გადატვირთულობა და მოხდეს რესურსების ისეთნაირი გადანაწილება, რათა რეალურ მობილურ ქსელში შემცირებული იქნეს ფიჭების გადატვირთულობა დროის ნაჩვენებ შუალედში.

## საბოლოო დასკვნა

1. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულ იქნა ოპციათა კლასიფიკაცია, რომლებიც საშუალებას იძლევიან GSM სტანდარტის მობილურ ქსელებში გაზარდოს ტევადობა დამატებითი ტრანსივერების დაყენების გარეშე. ისინი ფართოდ გამოიყენებიან ქსელის განვითარების სხვასასხვა ეტაპზე. ყველა ოპცია შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ოპციები, რომლებიც ამცირებენ გადატვირთულობას, ე.ი. რომლებიც საშუალებას იძლევიან გადავანაწილოთ ტრაფიკი მეზობელ ფიქებს შორის (ჰენდოვერების ზოგიერთი ტიპი, ნახევარსიჩქარიანი კოდირების გამოყენება, ქსელის იერარქიული სტრუქტურის გამოყენება); ოპციები, რომლებიც ამცირებენ ინტერფერენციებს მთელი ქსელის ფარგლებში (სიხშირის ფსევდოალბათური გადაწყობა, სიმბლავრის რეგულირება და არამუდმივი გასხივება).
2. პრაქტიკული შედეგების საფუძველზე განსაზღვრულ იქნა GSM სტანდარტის ქსელებში, ქსელის კონფიგურაციიდან, მისი განვითარების ხარისხიდან და აგრეთვე ქსელის ხარისხის ძირითადი მაჩვენებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, განხილული ოპციების გამოყენების თანმიმდევრობა. ქსელის განვითარების პირველ ეტაპზე, როდესაც ძირითად პრობლემას წარმოადგენს ქსელის ტევადობის სიმცირე და აქედან გამომდინარე გადატვირთულობების არსებობა, მიზანშეწონილია პირველ რიგში გამოვიყენოთ და შესაბამისად ავაწყოთ პირველ ჯგუფში არსებული ოპციები. შემდგომში, ოპტიმიზაციის პროცესში, როდესაც ძირითად როლს თამაშობს რადიო პრობლემები, აზრი აქვს დიდი ყურადღება მიექცეს ოპციებს, რომლებიც გაერთიანებულები არიან მეორე ჯგუფში.
3. ჩატარებულ იქნა მობილური ქსელის ხარისხის შეფასების ძირითადი მეოდების ანალიზი, როგორიცაა: ტესტური გამოძახებები ან დრაივ ტესტები, ტრასირების ანალიზი და ქსელის კონტროლერიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება. ქსელის მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად თითოეული ეს მეთოდი მნიშვნელოვანია, ისინი აგსებენ ერთმანეთს, მაგრამ რიგი თავისებულებების გათვალისწინებით ძირითადია ბოლო მეთოდი. მისი

გამოყენება აუცილებელს ქმნის განისაზღვროს ქსელის ხარისხობრივი მაჩვენებლები და რომელთა საშუალებითაც ხდება ქსელის შეფასება.

4. განხილულ იქნა ხარისხის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც დამუშავებულია აპარატურის სხვადასხვა მწარმოებლების თავისებურებობის გათვალისწინებით. ხარისხის ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს წარუმატებელი გამოძახებების პროცენტი – CunSR, რომლის შემადგენლობაში შედიან მართვის არხის წარუმატებელი მონიშვნის პროცენტი (SDAsFR), შეერთების წყვეტის პროცენტი, როდესაც გამოძახება იმყოფება მართვის არხში (SDCDR), ტრაფიკის არხის წარუმატებელი მონიშვნის პროცენტი (TAsFR) და შეერთების წყვეტის პროცენტი, როდესაც გამოძახება იმყოფება ტრაფიკის არხში (TCDR). თითოეული ეს მაჩვენებელი შეიძლება გამოთვლილი იქნეს, როგორც უდს-ში, ასევე ინტეგრალურად სხვა დროის ნებისმიერ შუალედში (როგორც წესი კვირა). როგორც პრაქტიკაში გვიჩვნა, ქსელის ობიექტური შეფასებისათვის მხოლოდ ერთი მეთოდი არაა საკმარისი და მიზანშეწონილია ორივე მეთოდის გამოყენება.
5. ჩატარებულ იქნა იმ ოპციათა გავლენის ანალიზი ქსელის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რომლებიც ზრდიან ქსელის ტევადობას. ეველა ოპცია მიმართებია CunSR მახასიათებლის შემცირებაზე, მაგრამ თითოეული ამ ოპციათაგანი საშუალებას იძლევა შეამციროს ერთი (ან ზოგჯერ ორი) ხარისხის ინდიკატორის მდგენელი. ქსელის განვითარების საწყის ეტაპზე ძირითად ამოცანას წაემციროს გადატვირთულობების შემცირება და პირველ ადგილზე გამოდიან ნახევარსიჩქარიანი კოდირება, „პირდაპირი გადადანიშნულების“ პროცედურა და ორდიაპაზონიანი ქსელის აწყობა (იმ პირობით თუ არსებობს ქსელში ორ დიაპაზონიანი გადამცემები). ქსელის შემდგომი განვითარებისას დღის წესრიგში დგება ქსელში ინტეფერენციის შემცირება და მიზანშეწონილია ისეთი ოპციების გამოყენება, როგორიცაა სიხშირის ფსევდოალბათური გადაწყობა, სიმძლავრის რეგულირება და არამუდმივი გამოსხივება. თითოეული ამ ოპციაზაგანის გამოყენების პრაქტიკული შედეგები აჩვენებენ მათი გამოყენების ეფექტურობას.

6. მიღებული თეორიული შედეგების გათვალისწინებით ჩატარებულ იქნა გადატვირთულობების პროგნოზირება **GSM** სისტემის მობილურ ქსელებში აბონენტების ადგილმდებარეობის განსაზღვრის თავისებურებებიდან გამომდინარე. ნაჩვენებ იქნა, რომ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ და ჩავატაროთ შემომავალი და გამავალი ჰენდოვერების ინტენსივობის შეფასება, რადგანაც ეს პარამეტრები, პირველ რიგში ცალსახად განსაზღვრავენ აბონენტების გადაადგილებას, და მეორეს მხრივ რეალურ ქსელში საკმაოდ მარტივად განისაზღვრებიან. შემომავალი ჰენდოვერის ინტენსივობის ცვლილებას მივყევართ დატვირთვის ცვლილების განსაზღვრულ გარდამავალ პროცესთან, რომელიც თვითონ ჰენდოვერებიდანაა გამოწვეული, და ასევე პოტენციურად აქტიური აბონენტების რაოდენობის ცვლილებასთან. მოსალოდნელი გადატვირთულობის აღმოჩენის და წინასწარმეტყველების ყველაზე ადრეულ ეტაპს წარმოადგენს მობილურობის პარამეტრების ცვლილება. იმისათვის, რომ ამაღლდეს საიმედობა და თავიდან იქნეს აცილებული დატვირთვის მცირე სანგრძლივობიან ამოვარდნებზე რეაგირება და ე.ო. ამაღლდეს გამოყენებული ალგორითმის ეფექტურობა, მიზანშეწონილია ჩატარდეს მეორე ეტაპი, რომელიც დაფუძნებულია ფიჭაში წარმოქმნილი გარდამავალი პროცესების ანალიზზე და დროის განსაზღვრულ ინტერვალში დატვირთვის მოცემული დონის ამაღლებაზე. მიღებული თეორიული შედეგები შემოწმებულ იქნა რეალურ ქსელში და ექსპერიმენტალურმა შედეგებმა დაადასტურა გაანალიზირებული ალგორითმების გამოყენების მიზანშეწონილობა.
7. **GSM** სტანდარტის მობილური ქსელისათვის განისაზღვრა გადატვირთულობის წინასწარმეტყველების ალგორითმის პარამეტრები, რომელთა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათი ანალიზისათვის და შესაძლო გადატვირთულობის შესახებ გადაწყვეტილების მისადებად საჭირო დრო შეადგენს 100-300 წამს. ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონე და გამოთვლითი სიმძლავრეების ხარისხი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელი იქნება პოტენციური გადატვირთულობის აღმოჩენა და

გადატვირთულობადი ფიჭის სასარგებლოთ რესურსების გადანაწილება რეალურ სისტემაში მოხდეს აღნიშნულ დროში.

8. ჩატარებულ იქნა „პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის გავლენის ანალიზი მობილური ქსელის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, როგორიცაა უარის ალბათობა და შეერთების გაწყვეტის მაჩვენებელი. პრაქტიკულმა შედეგებმა და თეორიულმა გათვლებმა 4.ერლანგის მოდიფიცირებული ფორმულის მიხედვით, რომ „პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურა წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს ფიჭური კავშირის ქსელში უარის ალბათობის შესამცირებლად, რაც საშუალებას იძლევა გავზარდოთ გამტარუნარიანობა 25%-ით. დავუყრდნობით რა ექსპერიმენტულ მონაცემებს, მიღებულს უარის ალბათობის და შეერთების გაწყვეტის მნიშვნელობების დამოკიდებულებით ზღვრულ დონეზე მცირე სიგნალებისათვის, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ის ახასიათებს გადაფარვის ზონის ზომას.
9. ჩატარდა შეფასება და მოძებნილ იქნა რეგრესიის კოეფიციენტის სანდოობის ინტერვალი ანალიტიკური გამოსახულებისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა გამოითვალოს **TC**-ისა და შეერთების გაწყვეტებს შორის დამოკიდებულება. აღნიშნული დამოკიდებულობების გამოვლისათვის გამოყენებულ იქნა ქსელის ისეთი მონაკვეთები, რომლებსაც ემსახურებოდნენ ფიჭები, რომლებიც ემსახურებოდნენ ტერიტორიებს რომლებშიც გამოხატული იყო, როგორც ქალაქის ასევე გარეუბნის აბონენტებს სპეციფიკაცია. მიღებული შედეგების საფუძველზე, მივიღეთ რა სიგნალის სასაზღვრო დონედ -95დბმ, შეიძლება ვთქვათ, რომ წარუმატებელი შეერთების მნიშვნელობის შესანარჩუნებლად არა უმეტეს 2%-ისა, იმ დოგიკური პარამეტრების აწყობა რომლებიც პასუხს აგებენ „პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურის მუშაობაზე, უნდა ავაწყოთ ისეთნაირად, რომ ზღვრულ დონეზე ნაკლები სიგნალების წილმა არ უნდა გადაამჟღოს 15%-ს. დამუშავებული ალგორითმი შეიძლება გამოყენებული იქნეს, მართვის ცენტრიდან ხელით აწყობით, ან მის საფუძველზე აიწყოს ახალი ოპცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს მიმდინარე სიტუაციიდან

დამოკიდებულებით ავტომატურად ააწყოს ლოგიკური პარამეტრები, რათა უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული არსებული რესურსი.

10. GSM სტანდარტის მობილური ქსელებისათვის, იმისათვის რომ ავამათლოთ ქსელის გამტარუნარიანობა, შემოთავაზებულ იქნა ქსელის აწყობის ალგორითმი GPRS ტექნოლოგიის გათვალისწინებით. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ „სიჩქმის“ რეჟიმში მაღალი სალაპარაკო ტრაფიკის პირობებშიდაც მიზანშეწონილია დავაყენოთ **MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=1**, რამდენათაც ასეთი მნიშვნელობა საშუალებას გვაძლევს ვუზრუნველყოთ GPRS-ისათვის ხარისხის მაჩვენებლების მისაღები მნიშვნელობა, სალაპარაკო ტრაფიკზე მინიმალური ზეგავლენით. თუ დავაყენებთ მნიშვნელობას **MAX\_PDCH\_HIGH\_TRAFFIC=0**, HIGH\_TRAFFIC ზღვრი ამაღლდება და ფიჭის დატვირთვის შეფასების დრო შემცირდება, ამასთან ქსელში უმჯობესდება სიტუაცია TBF არხების დანიშვნის საიმედობის თვალსაზღისით უკუ მიმართულებაში, მაგრამ ხარისხის ამ ინდიკატორის მნიშვნელობა დაუშვებლად მაღალი რჩება. GPRS რესურსის უფრო ეფექტური გამოყენებისათვის ფიჭის დიდი დატვირთვის დროს მიზანშეწონილია დავაყენოთ ფიჭის დატვირთვის ზღვრული მაღალი დონე, ე.ო. ვიხელმძღვანელოთ HIGH\_TRAFFIC მნიშვნელობის დაყენების რეკომენდაციით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Araujo L.P., de Marca J.R.B. Paging and Locacion update algorithms for cellular systems.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 49, Issue 5, Sep. 2000, pp.1606-1614.
2. Cantrell P.E. Ojha A.K. Comparison of Generalized Q-Functions Algorithms.// IEEE Transactions on Information Theory, Volume IT-33, July 1987, pp.591-596.
3. Chengshan Xiao, Mann K.D., Oliver J.C. Mobile speed estimation for TDMA-based hierarchical cellular systems.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 50, Issue 6, Nov. 2001, pp.981-991.
4. Collman R.R. Evaluation of methods for determining the mobile traffic distribution in cellular radio networks.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 50, Issue 6, Nov. 2001, pp.1629-1635.
5. Cruz-Perez F.A.Ortigoza-Guerrero L. Flexsble resource allocation strategies for class-based QoS provisioning in mjbile networks.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 53, Issue 3, May 2004, pp.805-813.
6. Eberspacjer Jorg, Vogel Hans-Jorg, Bettstetter Christian. GSM Switching Services and Protocols.// John Wiley and Sons, 2001, pp. 120-180.
7. Eberspacjer Jorg, Vogel Hans-Jorg, Bettstetter Christian. GSM Switching Services and Protocols.// John Wiley and Sons, 2001, pp.200-201.
8. Eberspacjer Jorg, Vogel Hans-Jorg, Bettstetter Christian. GSM Switching Services and Protocols.// John Wiley and Sons, 2001, pp.86-88.
9. Halonen T., Romero J., Malero J. GSM, GPRS and EDGE Performance.// John Wiley and Sons, 2003, pp.236-239.
10. Halonen T., Romero J., Malero J. GSM, GPRS and EDGE Performance.// John Wiley and Sons, 2003, pp.47-53.
11. Halonen T., Romero J., Malero J. GSM, GPRS and EDGE Performance.// John Wiley and Sons, 2003, pp. 571-577.
12. Heine G. GSM Networks: Protocols, Terminology, and Implemtation. Artech House Boston, Ljndon, 1999, pp.251-263.Ho Chi-Jui, Chin-Tau Lea, Stuber G.L. Call admission control in the microcell/macrocell overlayning system. IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 50, Issue 4, July 2001, pp. 992-1003.

13. Homnan B., Benjapolakul W., QoS-controlling soft handoff based on simple step control and a fuzzy inference system with the gradient descent method.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 53, Issue 3, May 2004, pp. 820-834.
14. Ho-Shin Cho, Jae Kyun Kwon, Dan Keun Sung. High reuse efficiency of radio resources in urban microcellular systems.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 49, Issue 5, Sep 2000, pp. 1669-1677.
15. Hu F., Sharma N.K. Priority-determined multiclass handoff scheme with guaranteed mobile QoS in wireless multimedia networks.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 53, Issue 1, Jan 2004, pp. 118-135.
16. Huei-Wen Ferng, Yi-Chou Tsai. Using priority, buffering, threshold control, and reservation techniques to improve channel-allocation schemes for the GPRS system.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 54, Issue 1, Jan 2005, pp. 286-306.
17. Iera A., Molinaro A., Marano S. Handoff management with mobility estimation in hierarchical systems.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 51, Issue 5, Sep 2002, pp. 905-909.
18. Ivanovich M., Zukerman M., Fitzpatrick P., Gitlitz M. Performance between circuit allocation schemes for Half- and Full-rate connections in GSM.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 47, 1998, pp. 790-797.
19. Iversen V. Teletraffic Engineering and Network planning. //COM Course 34340. Technical University of Denmark, 2004, c.37-40
20. Jane-Hwa Huang, Szu-Lin Su, Jiann-Hong Chen. Design and performance analysis for data transmission in GSM/GPRS system with voice activity detection.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 51, Issue 4, July 2002, pp. 648-656.
21. Jianxin Yao, Mark J.W., Tung Chong Wong, Yong Huat Chew, Kin Mun Lye, Kee-Chaing Chua. Virtual partitioning resource allocation for multiclass traffic in cellular systems with QoS constraints.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 53, Issue 3, May 2004, pp. 847-860.
22. Krotov Nickolay, Kozirev Victor. Comparison of Transistor-Based Power Amplifiers Amplitude Response Linearization methods.// 1-st IEEE International Conference on Circuits and Systems for Communications. Proceedings. St. Petersburg, 2002, pp. 98-101.

23. Krotov Nikolay, Shorin Oleg. Results of using traffic control algorithms in cellular mobile networks. //2-nd IEEE International Conference on Circuits and Systems for Communications. Proceedings.Moscow, 2004, pp. 111-114.
24. Lei Huang, Kumar S., Kuo C.-C.J. Adaptive resource allocation for multimedia QoS management in wireless networks.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 53, Issue 2, March 2004, pp. 547-558.
25. Li Bo, Wu Cheng Ke, Fukuda A. Performance analysis of flixible hierarchical cellular syatems witha bandwidth-efficient handoff scheme. //IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 50, Issue 4, July 2001, pp. 971-980.
26. Lin D.-B., Juang R.-T. Mobile Location Estimation Based on Differences of Signal Attenuations for GSM syatems.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 54, Issue 4, July 2005, pp. 1447-1454.
27. Morlye G.D., Grover W.D. Strategies to maximize carried traffic in dualmode cellular systems.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 49, Issue 2, March 2000, pp. 357-366.
28. Ortigoza-Guerrero L., Gruz-Perez F.A., Heredia-Ureta H. Call Level Parfomance Analisis for Multiservices Wireless Cellular Networks With Adaptive Resource Allocation Strategies.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 54, Issue 4, July 2005, pp. 1455-1472.
29. Phone Lin, Yi-Bing Lin. Channel allocation for GPRS.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 50, Issue 2, March 2001, pp. 375-387.
30. Recommendation ETSI. //GSM 04.08. Mobile radio interfece layer 3 specification.
31. Recommendation ETSI.// GSM 04.08. Radiolink subsystem layer 3.
32. Recommendation ETSI. //GSM 04.60 V8.1.0. (1999-11), European Standard (Telecommunications Series), Digital Cellular Telecommunications System (phase 2+); General Paket Radio service (GPRS); Mobile Station(MS); Base Station System (BSS) Interface; Radio Link Control/Medium Access Control (RLC/MAC) Protocol (GSM 04.60 Version 8.1.0 Release 1999).
33. Recommendation ETSI. //GSM 05.05. Radio Transmission and reception.
34. Recommendation ETSI.// GSM 05.08. Radiosubsystem link control.
35. Recommendation ETSI.// GSM 06.31. Discontinuous Transmission (DTX) for Foll Rate Speech Traffic Channels.
36. Recommendation ETSI.// GSM 06.32. Voice Activity Detection.

37. Recommendation ETSI. //GSM 06.41. Discontinuous Transmission (DTX) for Half Rate Speech Traffic Channels.
38. Recommendation ETSI.// GSM 06.42. Voice Activity Detection for Half Rate Speech Traffic Channels.
39. Recommendation ETSI.// GSM 05.02. Multiplexing and multiple access on the radio path.
40. Recommendation ETSI.// TBR 036 ed.1 (1998-05) Digital cellular telecommunications system (Phase 2); Attachment requirements for mobile stations in the DCS 1800 band and additional GSM 900 band; Telephony.
41. Saarinen I., Mammela A., Jarvensivu P., Ruotsalainen K. Power control in feedback communications over a fading channel. //IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 50, Issue 5, Sep 2001, pp. 1231-1239.
42. Sampath A., Holtzman J.M. Estimation of maximum Doppler frequency for handoff decisions.// Proceeding IEEE Vehicular Technology Conference, 1993, pp. 859-862.
43. Sung-Hong Wie, Jae-Shin Jang, Byung-Cheol Shin, Dong-Ho Cho. Handoff analysis of the hierarchical cellular system.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 49, Issue 5, Sep 2000, pp. 2027-2036.
44. Wang L., Silventionen M., Honkasalo Z. A new algorithm for estimation mobile speed at the TDMA-based cellular system.// Proceeding IEEE Vehicular Technology Conference, 1996, pp. 1145-1149.
45. Wu Rong Zhang, Bhargava V.K., Ning Guo. Power control by measuring intercell interference. // IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 52, Issue 1, Jan 2003, pp. 96-107.
46. Xiao C., Mann K.D., Oliver L.C. Mobile speed estimation for TDMA-based hierarchical cellular syatems.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 50, 2001, pp. 981-991.
47. Yeo K., Jun Chi-Hyuck. Modeling and analyse of hierarchical cellular networks with general distributions of call and cell residence times.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 51, Issue 6, Nov 2002, pp. 1361-1374.
48. Yi-Bing Lin, Pei-Chun Lee, Chamtae I. Dynamic periodic location area update in mobile networks.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 51, Issue 6, Nov 2002, pp. 1494-1501.
49. Younghuam Cao, Sun H.R., Trivedi K.S. Performance analysis of reservation media-access protocol with access and serving queues under bursty traffic in GPRS/EGPRS.

- // IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 52, Issue 6, Nov 2003, pp. 1627-1641.
50. Young-Uk Chung, Dong-Jun Lee, Dong-Ho Cho, Byung-Cheol Shin. Macrocell/mikrocell selection schemes based on a new velocity estimation in multitier cellular system.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 51, Issue 5, Sep 2002, pp. 893-903.
  51. Yum P., Yeung K. Blockingg and handoff performance analysis of directed retry in cellular mobile systems.// IEEE Transactions on Vehicular Technology, Volume 44, 1995, pp. 645-650.
  52. Демьяненко А.И. Оценка параметров скачок нагрузки в сотовых сетях подвижной связи. //Электросвязь, №1, 2002, с. 33-36.
  53. Косинов М.С.,Шорин О.А. Повышение емкости сотовой системы связи при использовании зон перекрытия.// Электросвязь, № 3.2003, с. 18-20.
  54. Кремер Н.Ш., Теория вероятностей и математическая статистика.// М. Юнити, 2004, с. 466-467
  55. Savo Glisic. Advanced wireless communications 4 G technologies.// John Wiley & Sons, Ltd.-2004. pp. 845-858.
  56. Shinsuke Hara, Romjee Prasad. Multicarier Technoloques fo 4G mobile Communications.// (Artech House mobile communications series) Boston-London, Artech House. Inc. 2003. pp.235-243.
  57. Кротов Н.А., Шорин О.А. Влияние процедуры “прямого переназначения” на качественные показатели сети.// Труды МТУСИ., Москва, 2005, с. 74-82.
  58. Кротов Н.А., Шорин О.А. Экспериментальные результаты применения алгоритмов перераспределения нагрузки в сетях стандарта GSM.// Труды МТУСИ., Москва, 2004, с. 59-66.
  59. Кротов Н.А. Анализ опций, позволяющих увеличить емкость в сетях стандарта GSM.// Деп. в ЦНТИ “Информсвязь”, от 12.07.05 №2266, 2005, с. 2-25.
  60. Кротов Н.А. Разновидности хандовера в сотовых сетях стандарта GSM.// Деп. в ЦНТИ “Информсвязь”, от 04.07.04 №2251, 2004, с. 24-35.
  61. Бабков В.Ю., Вознюк М.А.,Михайлов П.А. “Сети мобильной связи Частотно-территориальное планирование”.// 2-е изд. М. Горячая линия-Телеком, 2007. с.224-234.
  62. [www.kunegin.com/ref1/gsm](http://www.kunegin.com/ref1/gsm)

63. Wang Gl., Tung-Sang Ng. Advances in 2G enhanced Technologies for Wireless Communications.// (Artech House mobile communications series) Boston-London, Artech House. Inc. 2003. pp.265-283.
64. Wang J., Milstein L.B. Approximate interference of microcellular spread spectrum system.// Electronics Letter vol. 31, №20, 1995, pp.1782-1798.
65. ETSI TS 102 250-5. Speech processing and Quality Aspects (STQ);// QoS aspects for popular services in GSM and 3G networks; Part 5; Post processing and statistical methods.
66. ITU-T Recommendation P.862:// “Perceptual evaluation of Speech Quality (PESQ), and objective method for End to end speech quality assessment of narrowband telephone networks and speech codecs”.
67. ETSI: ETR 003:// Network Aspect (NA). General aspects of Quality of services (QoS) and Network Performance (NP). 1994.
68. Premkumar K., Chockalingman F. Performance analysis of RLC/MAC and LLC Layers in a GPRS protocol stack.// IEEE Trans. On Veh. Tech., Sep. 2004.
69. Sherratt R. S. Performance of GPRS coding schema detection under severe multipath and co-channel interference as a function of soft-bit width.// IEEE Wireless Communications and Networking Conference, 2003.
70. Juha korhonen. Introduction to 2G Mobile Communications.// (Artech House mobile communications series) Boston-London, Artech House. Inc. 2003. pp.544-551.
71. Groe J.B., Larson L.E. GSM Mobile Radio Design.// (Artech House mobile communications series) Boston-London, Artech House. Inc. 2000. pp.346-353.
72. Кузнецов М.А., Полпуденко В.И., Рижков А.Е. Хэндовер в сетях GSM 900/1800.// Труды Международной ассоциации связи № 1, с. 24-27.
73. Левин Б.Р. Теоретические основы статистической радиотехники. Книга вторая.// М. Советское радио, 1975, с. 22-27.
74. Левин Б.Р. Теоретические основы статистической радиотехники.// Книга вторая. М. Советское радио, 1975, с. 285-290.
75. Лившиц Б.С., Пшеничников А.П., Харкевич А.Д. Теория телетрафика.// М. Связь, 1979. с. 20-22.
76. Меркулов В.Е., Кротов Н.А. Приближенный анализ вероятностей блокировки в СПСС с учетом повторных вызовов. Радиотехнические системы и устройства.// Деп. В ЦНТИ “Информсвязь” от 04.07.04 № 2251 с.2-12.

77. Ратынский М.В. Основы сотовой связи.// Под ред. Д.Б. Зимина. 2-е тзд. М. Радио и связь, 2000, с. 52-58.
78. Тихонов В.И. Статистическая радиотехника. // М. Радио и связь, 1982, с. 197-201.
79. Шорин О.А. Прогноз перегрузок с учетом подвижности абонентов в сотовых системах связи.// Мобильные системы, №1, 2005, с. 15-19.
80. <http://www.osp.ru/nets/1996/06/141736/>
81. Шорин О.А. Методы оптимального распределения частотно-временного ресурса в системах подвижной радиосвязи.// Москва 2006.
82. შამანაძე გ., შამანაძე ო. სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის საინფორმაციო რესურსების გადანაწილების პარამეტრების აწყობის მეთოდიკა// საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია “მართვის ავტომატიზირებული სისტემები და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები”, საქართველო, თბილისი, სტუ, 20-22 მაისი, 2011. გვ. 283-285.
83. შამანაძე ო., შამანაძე გ., ლაშქარავა ლ. “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენა GSM ქსელის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. //საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი”, №19, თბილისი, 2012, გვ. 207-215.
84. შამანაძე გ., შამანაძე ო., ლაშქარავა ლ. რადიორესურსების მართვის განზოგადებული ალგორითმი. //საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი”, №22, თბილისი, 2013, გვ. 205-211.
85. შამანაძე გ., შამანაძე ო., ლაშქარავა ლ. GSM სტანდარტის ქსელებში გადატვირთულობის წინასწარმეტყველების ალგორითმი და მისი პარამეტრები//საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი”, №22, თბილისი, 2013, გვ. 212-218.
86. შამანაძე გ., შამანაძე ო., ლაშქარავა ლ. GSM ქსელის გადატვირთულობისთვის მათემატიკური მოდელის აღწერა// მოხსენებების კრებული. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, “ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”, ქუთაისი, საქართველო, 2013 – გვ. 349-351.